2) 4

ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 14 იანვარი 1994 № 1 (76) ფასი 7500 კუპონი


**3 მურთაზ ხურცილავა:**



ქართული ფეხბურთი ავადაა

**4 შოთა და არჩილი:**



ბრწყინვალე ტყუპები

**5 გოგრიჭიანი და კაჭარავა:**

კვიპროსული ამბები

**8 მსოფლიოს ჩემპიონატი:**

ყველა შესარჩევი მატჩი

**10 „არმს პარკსა" და "პარკ დე პრენსზე"**

ხვალ მორაგბეთა ხუთი ერის მორიგი პირველობა იწყება

## „სარბიელი" ახალ, 1994 წელს ულოცავს მკითხველს!

1993 გაზეთის ხელმეორედ გამოცემის წელი იყო და, ამდენად — ღირსსახსოვარი რედაქციისთვის, თუმცა ახალ წელს მთლად პირნათელნი ვერ შევხვდით: ვერც წინა, 21 დეკემბრისეულ, მწვანე ქაღალდზე დაბეჭდილ „სარბიელში" დაპირებული საახალწლო ნომერი გავახერხეთ „სამშობლოს" სტამბაში და წლევანდელი პირველი ნომერიც გვარიანად დაგვიგვიანდა — ამჯერად „თელასი" შემოგვწყრა: საბურთალოს იმ ნაწილისთვის, ჩვენი რედაქცია რომ ბინადრობს, დენს დღეში ორიოდ საათით თუ გამოიმეტებდა.

ასე იყო თუ ისე, ძველით ახალი წლისთვის მოგიმზადეთ ორმაგი „სარბიელი", რომელსაც, ბუნებრივია, ფასიც ორმაგი დაედო, და გადავწყვიტეთ, უკეთეს დროებამდის წინასწარ აღარაფერს შეგპირდეთ. არადა, თუ დაგვცალდა, სამომავლოდ საინტერესო იდეები ბლომად გვაქვს.

საპირველგვერდოდ მხოლოდ შარშანდელი წლის შეჯამებას ვაპირებდით, რომ ახალი წლის პირველმა სასიხარულო ამბავმაც მოგვისწრო: თბილისის „დინამომ" გერმანიაში მინი-ფეხბურთის ტურნირი მოიგო!

„დინამოს" ფეხი დაბედებოდეს ყველა ქართველ სპორტსმენს!

## დინამო — კიოლნი 10:3

8 იანვარს თბილისის დინამოელები გერმანიაში გაემგზავრნენ, მეორე დღეს კი კიოლნში ტრადიციულ მინი-ფეხბურთის ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს კიდეც. ამ ტურნირის მსგავსი გერმანიაში ყოველწლიურად რვა ტარდება.

ქვეჯგუფში „დინამომ" დაამარცხა მღონხენგლადბახის „ბორუსია" 4:2 და ფრედ ითამაშა კიოლნის მინი-ფეხბურთის კლუბ „ფორტუნასთან" 3:3 (გერმანელებმა ბოლო წამებზე გაქვითეს ანგარიში). ნახევარფინალში „დინამო" მეორე ქვეჯგუფში („კიოლნი" „ვატენშაიდი", „დუისბურგი") გამარჯვებულ „ვატენშაიდს" შეხვდა და 8:3 მოუგო. მეორე ნახევარფინალში „კიოლნმა" „ფორტუნა" დაამარცხა 6:3. ფინალში დინამოელებმა გაანადგურეს ბუნდესლიგის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი — 10:3. საუკეთესოდ ითამაშა რეზო არველაძემ, რომელმაც ფინალში 5 გოლი გაიტანა, მთლიანად ტურნირში კი — 11 და საუკეთესო ბომბარდირის პრიზიც მოიპოვა. გერმანულმა სპორტულმა პრესამ ქება შეასხა დინამოელებს და „ჯადოქრები" უწოდა. ყველაზე მეტად კი გერმანელები ჯამარაულის, ყაველაშვილის, ნემსაძის, ზოიძის და რეზო არველაძის თამაშმა აღაფრთოვანა. ტურნირში ვერ მიიღო მონაწილეობა გიორგი ქინქლაძემ, რომელსაც უკვე ხელი აქვს მოწერილი „ზაარბრიუკენთან" კონტრაქტს.. წარუმატებლობით გაგულისებულმა „კიოლნმა" დიდ ფეხბურთში დუელი შესთავაზა დინამოელებს. ეს მატჩი დღეს, 14 იანვარს შედგება და სულ 60 წუთს გაგრძელდება. ამ მატჩის გარდა „დინამო" კიდევ ერთ მინი-ფეხბურთის ტურნირში ითამაშებს, რომელიც ზონინგენში გაიმართება 15-16 იანვარს.



რეზო არველაძემ „კიოლნს" 5 გოლი გაუტანა და ალბათ იქვე დაიტოვებენ

„დინამო" შესაძლოა შინ რევაზ არველაძის გარეშე დაბრუნდს, რომელმაც შეიძლება „კიოლნის" მაისური მოიზომოს. თუ ეს გადასვლა შედგა, რეზო სხვა დინამოელთა მსგავსად მაისამდე დარჩება ბუნდესლიგაში.

## ნაკრები კენჭისყრის წინ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ყოველდღე იმართება ნაკრების ხელმძღვანელთა შეხვედრები, არჩევენ კანდიდატებს ეროვნული ნაკრებისთვის. დღეისათვის ცნობილი არ არის ის თექვსმეტი თუ თვრამეტი ფეხბურთელი, რომელიც მალტის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს, მაგრამ უკვე შერჩეულია კანდიდატები საქართველოს გუნდებიდან: თბილისის დინამოელები — ირაკლი ზოიძე, ნიკა ჩხეიძე, გოჩა ტყებუჩავა, გელა ინალიშვილი; გიორგი ნემსაძე, ნუგზარ ლობჟანიძე, ბესიკ ბერაძე, გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ზაზა რევიშვილი, რევაზ არველაძე, გიორგი ანჩაბაძე; ბათუმელები — თეიმურაზ ტუღუში და გელა შეყილაძე, თბილისის შევარდნელები — ზაზა ჯანაშია, გია ჯიშკარიანი, კახი გოგიჩაიშვილი; სამტრედიელები — კახა სიდამონიძე და დავით ჯანაშია, ლანჩხუთელი კახა გოგოლაძე, თემურ კაბისაშვილი („ანცი"), აკაკი დევაძე („კოლხეთი 1913").

კანდიდატთა ამ სიას დაემატებიან გერმანიაში, თურქეთში, კვიპროსში მოთამაშე ლეგიონერები. 8 თებერვალს საქართველოს ნაკრები სლოვენიის ეროვნულ გუნდს შეხვდება, 10-ში — მალტას, 12-ში კი ტუნისის ნაკრებს.





## დაჯილდოება სარკეებიან დარბაზში

საახალწლოდ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკებიან დარბაზში ქვეყნის სპორტული ელიტა შეკრიბა. შამპანურის, კოკა-კოლას, მცირედი ნამცხვრისა და ხილის თანხლებით ჩატარდა რამდენიმე აქცია: სეოკ-ის სპონსორებმა სტიპენდიები დაუნიშნეს ცნობილ მოქმედ სპორტსმენებს, ლილეჰამერს მიმავალმა ზამთრის სახეობათა წარმომადგენლებმა ოლიმპიური ფიცი დადეს, გაფორმდა ხელშეკრულებები ოლიმპიურ კომიტეტსა და ცალკეულ ფედერაციებს შორის, ჯილდოები გადაეცათ წლის საუკეთესო სპორტსმენებს ნინო სალუქვაძეს (სპორტის დეპარტამენტის მუშაკთა ვერსიით) და კახი კახიაშვილს (სპორტულ ჟურნალისტთა ვერსიით). ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ რუსეთში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა მურმან ომანიძემ კახიაშვილს თბილისში ბინის შესაძენად 10 ათასი დოლარი გამოუგზავნა.

გთავაზობთ ორივე ვერსიით ათი საუკეთესო სპორტსმენის სიას და სპორტკომიტეტის მიერ დასახელებული ათი საუკეთესო მწვრთნელის ვინაობას (ამ უკანასკნელს ანბანის მიხედვით)

| დეპარტამენტის ვერსია | ჟურნალისტთა გამოკითხვა | |
|---|---|---|
| 1. ნინო სალუქვაძე, ტყვიის სროლა | კახი კახიაშვილი | |
| 2. დავით ხახალეიშვილი, ძიუდო | ძალოსნობა | 394 |
| 3. კახი კახიაშვილი, ძალოსნობა | გიორგი კანდელაკი | |
| 4. გიორგი კანდელაკი, კრივი | კრივი | 291 |
| 5. ზაურ ცხადაძე, მკლავჭიდი | ზაურ ცხადაძე | |
| 6. თამაზ იმნაიშვილი, | მკლავჭიდი | 251 |
| სასტენდო სროლა | ნინო სალუქვაძე | |
| 7. არჩილ ჩოხელი, სამბო | ტყვიის სროლა | 221,5 |
| 8. ვლადიმერ დგებუაძე, ძიუდო | დავით ხახალეიშვილი | |
| 9. ელდარ კურტანიძე, | ძიუდო | 221,5 |
| თავისუფალი ჭიდაობა | არჩილ ჩოხელი | |
| 10. ნინო ხურციძე, ჭადრაკი | სამბო | 120 |
| | შოთა არველაძე | |
| მწვრთნელები: | ფეხბურთი | 114,5 |
| დემურ არქანია (ძიუდო) | თამაზ იმნაიშვილი | |
| ივანე გრიქუროვი (ძალოსნობა) | სასტენდო სროლა | 112,5 |
| ომარ იაძე (სამბო) | ნინო ხურციძე | |
| შოთა კიკაბიძე (თავისუფალი ჭიდაობა) | ჭადრაკი | 110 |
| ბესიკ ლიპარტელიანი (კალათბურთი) | დავით ჭელიძე | |
| ომარ მერაბიშვილი (ძიუდო) | მკლავჭიდი | 60,5 |
| ზაქარია სულაშვილი (ბატუტზე ხტომა) | | |
| ვახტანგ სალუქვაძე (ტყვიის სროლა) | | |
| ელგუჯა ფხაკაძე (ჭადრაკი) | 43-მა ჟურნალისტმა სულ დაასახელა | |
| ავთანდილ შოშიაშვილი (კრივი) | 18 სახეობის 38 სპორტსმენი. | |

### ქართველების 1993 წლის მონაგარი

**მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

მეორე პრიზიორები:

თამაზ იმნაიშვილი
მრგვალ სტენდზე სროლა
გიორგი კანდელაკი
კრივი, 91 კგ
დავით ხახალეიშვილი
ძიუდო, +95 კგ
კახი კახიაშვილი
ძალოსნობა, 91 კგ
ნანა იოსელიანი
ჭადრაკი

მესამე პრიზიორები:

რამაზ ფალიანი
კრივი, 57 კგ
ელდარ კურტანიძე
თავისუფალი ჭიდაობა, 90 კგ
თენგიზ თედორაძე
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 90 კგ
გიორგი ვაზაგაშვილი
ძიუდო, 60 კგ
დავით ხახალეიშვილი
ძიუდო, აბსოლუტური

**ევროპის ჩემპიონატებზე**

ჩემპიონები:

კახი კახიაშვილი
ძალოსნობა, 91 კგ
დავით ხახალეიშვილი
ძიუდო, +95 კგ
ვლადიმერ დგებუაძე
ძიუდო, 71 კგ
დავით ხახალეიშვილი
ძიუდო, აბსოლუტური
ზაზა ზოზიროვი
თავისუფალი ჭიდაობა, 68 კგ
ნინო სალუქვაძე
მცირეკალიბრიანი დამბაჩით სროლა
გიორგი კანდელაკი
კრივი, 91 კგ.

მეორე პრიზიორები:

სოსო ლიპარტელიანი *
ძიუდო, 78 კგ
ელდარ კურტანიძე
თავისუფალი ჭიდაობა, 90 კგ
რამაზ ფალიანი
კრივი, 57 კგ
ზურაბ სარსანია
კრივი, +91 კგ
რუსუდან ხოფერია, ანა დოლონაძე
ბატუტი, დუეტი
რუსუდან ხოფერია **
ბატუტი, სოლო
ანა დოლონაძე **
ბატუტი, სოლო

მესამე პრიზიორები:

გელა პაპაშვილი
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 48 კგ
თენგიზ ფედორაძე
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 100 კგ
პაატა გვასალია
კრივი, 60 კგ

* ლიპარტელიანმა დოპინგ-კონტროლი არ გა[illegible], და მედალი ჩამოერთვა
** ხოფერიამ და დოლონაძემ თანაბარი ქულები დააგროვეს და ორივეს ვერცხლის მედალი გადაეცა

ამ ჩამონათვალში არ გაგვითვალისწინებია მკლავჭიდელთა და სამბისტთა შედეგები. მკლავჭიდში მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმები არ არსებობს: ლამის ყველა შეჯიბრებას მსოფლიოს ჩემპიონატი ჰქვია, სამბისტები კი მსოფლიოსა და ევროპის არასრულფასოვან, ე.წ. ალტერნატიულ ჩემპიონატებში მონაწილეობდნენ. მაინც შეგახსენებთ, რომ „მსოფლიოს ჩემპიონები" გახდნენ: კობა თოდაძე, ზაურ ცხადაძე (მკლავჭიდი), და არჩილ ჩოხელი (სამბო), „ვერცხლი" და „ბრინჯაო" ცრავალმა მოიპოვა.

პირველი ჯგუფი
აღმოსავლეთი

## ერქვანი 2
## საპოვნელა 2

გურჯაანი, დავით ყიფიანის სტადიონი
9 დეკემბერი

ერქვანი: ნარეკლიშვილი, შალამბერიძე, განიძე, პაპიძე (ყიფიანი 46), ლაცაბიძე (იაკობიშვილი 46), ფოფხაძე, ინიაშვილი, დოლიძე, ყიზილაშვილი, თაბუკაშვილი, მეტრეველი
საპოვნელა: თევზაძე, ხვარეშია, გენაძე, ჭულუხაძე, ძიძიშვილი, უკლება, ბრეგვაძე, ჯულელი, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ჩინჩალაძე (ქურცაძე 46)

0:1 ჯულელი (15)
1:1 მეტრეველი (55)
2:1 ყიფიანი (81 პ)
2:2 გოდერძიშვილი (88 პ)

გაფრთხილება: ინიაშვილი, ძიძიშვილი
გაძევება: ინიაშვილი (35), გენაძე (81)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

## მარგვეთი 4
## ივერია 0

ზესტაფონი, ცენტრალური სტადიონი
16 დეკემბერი

მარგვეთი: ბაბუაძე (ნიქაბერიძე 80), ჩიხლაძე, გურიელიძე, გიგატაძე, ლონლაძე, ნიქარიშვილი, გაბრიჭიძე, ხუნდაძე (მინაშვილი 85), მეგრელაძე, მანაგაძე, შენგელია
ივერია: ტოგონიძე, ჯიკაევი, გ. ჩადუნელი, ბ. ჩადუნელი, სამხარაძე, ხარაზიშვილი (ლაცაბიძე 60), მაქაცარია, ბაკურაძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, მინაშვილი

1:0 მეგრელაძე (23)
2:0 მანაგაძე (44)
3:0 ხუნდაძე (60 პ)
4:0 გიგატაძე (70)

გაფრთხილება: ჯიკაევი
მსაჯი: რ. გარნოვსკი (სამტრედია)

## მარგვეთი 6
## მაღაროელი 2

ზესტაფონი, ცენტრალური სტადიონი
19 დეკემბერი

მარგვეთი: ნიქაბერიძე, ჩიხლაძე (მინაშვილი 85), გურიელიძე, გიგატაძე, ლონლაძე, ნიქარიშვილი (ლანჩავა 80), გაბრიჭიძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, მანაგაძე, შენგელია
მაღაროელი: გველესიანი, იობაშვილი, სამხარაძე, კიპაროიძე, აბრამიშვილი, ბურძენიძე, ბუიშვილი, კავთელაძე, წიკლაური, მწყერაშვილი (10 კაცით ითამაშეს)

1:0 ხუნდაძე (6)
2:0 ჩიხლაძე (28)
3:0 გიგატაძე (35)
4:0 გიგატაძე (66)
4:1 ბუიშვილი (75)
4:2 მწყერაშვილი (80)
5:2 ხუნდაძე (88)
6:2 მანაგაძე (89)

მსაჯი: გ. ტაბატაძე (თბილისი)

## შევარდენი 2
## ივერია 0

თბილისი, სტადიონი „შევარდენი"
20 დეკემბერი

შევარდენი 1906: ჭანტურია, ელიაშვილი, კვიტატიანი, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ბაკურაძე, ტარტარაშვილი, ქოჩლაძე, ჯიქია (გოგიჩაიშვილი 46), ჯანაშია (ბუკია 75)
ივერია: გვენცაძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, ბ. ჩადუნელი, სამხარაძე, გ. ჩადუნელი, მაქაცარია, ბაკურაძე, ლაცაბიძე, ქობელაშვილი, მინაშვილი (ხარზნიშვილი 46)

1:0 ჯიშკარიანი (44)
2:0 ბაკურაძე (87)

გაფრთხილება: ჯიშკარიანი, ქობელაშვილი
მსაჯი: ვ. ტოროსიანი (სოხუმი) — I ტაიმში, რ. ვერულაშვილი (თბილისი) — II ტაიმში

## შევარდენი 3
## მაღაროელი 0

XXII ტური, 21 დეკემბერი
მაღაროელი არ გამოცხადდა

## საპოვნელა 3
## შევარდენი 0

XIV ტური, 23 დეკემბერი
შევარდენი 1906 არ გამოცხადდა

პირველი ეტაპის შემდეგ:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 15 | 1 | 4 | 79-29 | 46 |
| შევარდენი | 20 | 13 | 1 | 6 | 44-28 | 40 |
| მარგვეთი | 20 | 11 | 4 | 5 | 49-27 | 37 |
| დილა | 20 | 11 | 2 | 7 | 34-32 | 35 |
| ივერია | 20 | 10 | 5 | 5 | 38-30 | 35 |
| საპოვნელა | 20 | 10 | 3 | 7 | 36-22 | 33 |
| მაღაროელი | 20 | 7 | 4 | 9 | 29-39 | 25 |
| ერქვანი | 20 | 6 | 5 | 9 | 29-46 | 23 |
| მეტალურგი | 20 | 5 | 1 | 14 | 32-46 | 16 |
| კახეთი | 20 | 4 | 3 | 13 | 25-57 | 15 |
| მრეტები | 20 | 3 | 1 | 16 | 17-56 | 10 |

პირველი ჯგუფი
დასავლეთი

## ოდიში 3
## გურია 4

ზუგდიდი, ცენტრალური სტადიონი
6 დეკემბერი

ოდიში: ჭანტურია, ჯოლოხავა, მესხი, თუთბერიძე, აბსანძე, კუტალია, კვარაცხელია, გუგუჩია, დარასელია, ქაჩანაია, წიტაიშვილი
გურია: კუნჭულია, იმნაძე, თევზაძე (ლორია 46), დანელია, ბუცურეიშვილი, მალანია, ნარიაშვილი, რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე

0:1 თევზაძე (1)
0:2 გოგოლაძე (10)
0:3 ფრიდონაშვილი (30)
1:3 კუტალია (50)
2:3 დარასელია (60)
3:3 დარასელია (75)
3:4 გოგოლაძე (80)

მსაჯი: ბ. გოჩავა (ოჩამჩირე)

## კოლხეთი 7
## ტორპედო 2

ფოთი, სტადიონი „ფაზისი"
6 დეკემბერი

კოლხეთი 1913: გვასალია, თიბილაშვილი (ტორჩინავა 70), კაკაჩია, მაჭავარიანი, ქუნთელია, კიკლიაშვილი, გოროზია, მახარაძე, მიქაბერიძე (ჯულელი 46), დარასელია, ჩხაიძე
ტორპედო: ნიშნიანიძე, ნოზაძე, ჩხაბერიძე, დიდავა, ხართიშვილი, ვოსკანოვი, კვეტენაძე (გიორგობიანი 75), შეყრილაძე, მაღლაკელიძე, ხუჭუა, ვაჩიბერაძე

1:0 დარასელია (10)
2:0 თიბილაშვილი (25)
2:1 კვეტენაძე (42)
3:1 მახარაძე (58)
4:1 მახარაძე (70)
5:1 მახარაძე (71)
6:1 ჯულელი (82)
7:1 მახარაძე (83)
7:2 ვაჩიბერაძე (88)

მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

## შუქურა 4
## ოდიში 2

ქობულეთი, ცენტრალური სტადიონი
9 დეკემბერი

შუქურა: დოლაბერიძე, ხურციძე, კანდელაკი, ჭელიძე, კაკუბავა (კოროტკოვი 65), ბერიძე, წიკლაური, გვიანიძე, გვასალია, ამბიძე, ღლონტი
ოდიში: ჭანტურია, ჯოლოხავა (წიტაიშვილი 46), მესხი, თუთბერიძე, აბსანძე, გაბედავა, კვარაცხელია, გუგუჩია, დარასელია, ქაჩანაია, კუტალია

0:1 ჭანტურია (12 პ)
1:1 წიკლაური (16)
2:1 გვასალია (27)
3:1 გვასალია (35)
4:1 ამბიძე (48)
4:2 დარასელია (79)

მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

## ბათუმი 0
## ტორპედო 2

ბათუმი, ცენტრალური სტადიონი
9 დეკემბერი

ბათუმი: მალაყმაძე, გოგიტიძე, შანიძე, გეთია, შეყილაძე, ფუტკარაძე, მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი, ტუღუში, ყულეჯიშვილი (მუჯირი 70)
ტორპედო: ნიშნიანიძე, ნოზაძე, ჩხაბერიძე, სადილიანი, ხართიშვილი, ვოსკანოვი, გიორგობიანი, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, ხუჭუა, ვაჩიბერაძე

0:1 გიორგობიანი (53)
0:2 ხუჭუა (88)

მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

## ტორპედო 2
## სამგურალი 1

ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი
15 დეკემბერი

ტორპედო: ნიშნიანიძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, სადილიანი, ხართიშვილი (ჯავახაძე 46), ვოსკანოვი (ხერხაძე 46), გიორგობიანი, დიდავა, მაღლაკელიძე, ხუჭუა, კვეტენაძე
სამგურალი: კიკალეიშვილი, მეგრელაძე, ცნობილაძე, ჯანხოთელი, ვ. ფესტვენიძე, ქობულაძე, ვ. ჯანელიძე (გუჩუა 46), რ. იობიძე, ხურცილავა, დვალიშვილი, ლ. ფესტვენიძე

1:0 მაღლაკელიძე (35)
2:0 მაღლაკელიძე (44)
2:1 გუჩუა (86)

მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

## ბათუმი 3
## შუქურა 0

ბათუმი, ცენტრალური სტადიონი
15 დეკემბერი

ბათუმი: მალაყმაძე, გოგიტიძე, შანიძე, გეთია, შეყილაძე, ფუტკარაძე, მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი, ტუღუში, ყულეჯიშვილი
შუქურა: დოლაბერიძე, კოროტკოვი, ჭელიძე, კანდელაკი, კაკუბავა, ბერიძე, წიკლაური, გვიანიძე (კედელაძე 65), გვასალია, ამბიძე, ღლონტი

1:0 ხომერიკი (38)
2:0 ხომერიკი (75)
3:0 ხომერიკი (78)

პენალტი ვერ გაიტანა ამბიძემ (55)
მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)

## სამტრედია 3
## გურია 0

სამტრედია, ეროსი მანჯგალაძის სტადიონი
18 დეკემბერი

სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, ვაშაკიძე, წულაია (გოგიაშვილი 80), ამაშუკელი, ჭყონია (გენძეხაძე 38), ჯანაშია, ფანჩულიძე, ტონია
გურია: აბუსერიძე, პაპავა, იმნაძე, დანელია, ბუცურეიშვილი, მალანია, ნარიაშვილი (ლორია 46), რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე (მეჩხია 46)

1:0 ამაშუკელი (51 პ)
2:0 ჯანაშია (71)
3:0 ტონია (85)

გაფრთხილება: ამაშუკელი, წულაია, ჭყონია, პაპავა, მალანია, მეჩხია
მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)

## ოდიში 3
## შუქურა 0

XVII ტური, 18 დეკემბერი
შუქურა არ გამოცხადდა

## კოლხეთი 2
## სამტრედია 2

ფოთი, სტადიონი „ფაზისი"
VI ტური, 21 დეკემბერი

კოლხეთი 1913: გვასალია, თიბილაშვილი, კაკაჩია, ღლაღანიძე, ქუნთელია, ტორჩინავა, გოროზია (ჯულელი 40), მახარაძე, ბულუხია, დარასელია, ჩხაიძე
სამტრედია: მიქაძე (თოდაძე 46), იონანიძე, ვაშაკიძე, ბზიკაძე, გოგელიძე (ჭყონია 46), წულაია, გოგიაშვილი, გენძეხაძე, ჯანაშია, ფანჩულიძე, ტონია

0:1 ჯანაშია (16)
0:2 იონანიძე (40)
1:2 მახარაძე (68)
2:2 ჯულელი (75)

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

## შუქურა 3
## გურია 2

ქობულეთი, ცენტრალური სტადიონი
XVI ტური, 21 დეკემბერი

შუქურა: დოლაბერიძე, კოროტკოვი, ჭელიძე, კაკუბავა, ხურციძე, ბერიძე, წიკლაური, გვიანიძე, გორგილაძე, ჩელებაძე, ღლონტი
გურია: აბუსერიძე, პაპავა, იმნაძე, ლორია, ბუცურეიშვილი, მალანია, ნარიაშვილი, მეჩხია, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე

0:1 ფრიდონაშვილი (5)
1:1 ჩელებაძე (37)
2:1 გვიანიძე (50)
3:1 წიკლაური (60)
3:2 გოგოლაძე (75)

მსაჯი: გ. ხეჩუაშვილი (კასპი)

## ბათუმი 2
## ოდიში 1

ბათუმი, ცენტრალური სტადიონი
XXII ტური, 21 დეკემბერი

ბათუმი: მალაყმაძე, გოგიტიძე, შანიძე, გეთია, შეყილაძე, ფუტკარაძე, მახარაძე, ჯიჯავაძე, ხომერიკი, ყულეჯიშვილი, მუჯირი
ოდიში: გელენავა, ჯოლოხავა, მესხი, თუთბერიძე, აბსანძე, გაბედავა, ძალამიძე, გუგუჩია, დარასელია, ქაჩანაია, აფაქიძე

1:0 ფუტკარაძე (52)
2:0 ხომერიკი (57)
2:1 გუგუჩია (62)

მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

## სამგურალი 1
## შუქურა 1

წყალტუბო, 26 მაისის სტადიონი
XXII ტური, 24 დეკემბერი

სამგურალი: კიკალეიშვილი, ცნობილაძე, ჯანხოთელი, გუჩუა, ვ. ფესტვენიძე, ქობულაძე, ლ. ფესტვენიძე, რ. იობიძე, ხურცილავა, დვალიშვილი, გუბელაძე (ვ. ჯანელიძე 46)
შუქურა: დოლაბერიძე, კოროტკოვი, ჭელიძე, კანდელაკი, კაკუბავა, ბერიძე, წიკლაური, ბერიშვილი, ჩელებაძე, ამბიძე, ღლონტი

0:1 ამბიძე (20 პ)
1:1 დვალიშვილი (35)

გაფრთხილება: კანდელაკი, კაკუბავა
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

## გურია 6
## სამტრედია 1

ლანჩხუთი, ცენტრალური სტადიონი
IX ტური, 24 დეკემბერი

გურია: აბუსერიძე, პაპავა, იმნაძე (ლორია 42), დანელია, ბუცურეიშვილი, მალანია, ნარიაშვილი, რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე
სამტრედია: მიქაძე, იონანიძე (წულაია 46), ვაშაკიძე, ბზიკაძე, ჭყონია, ამაშუკელი, გოგიაშვილი, გენძეხაძე, ჯანაშია (კალაძე 75), ფანჩულიძე, ტონია

1:0 ნარიაშვილი (7)
2:0 მალანია (27)
3:0 ფრიდონაშვილი (48)
4:0 გოგოლაძე (55)
5:0 გოგოლაძე (64)
6:0 მალანია (80)
6:1 ფანჩულიძე (85)

მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)

## ოდიში 1
## კოლხეთი 2

ზუგდიდი, ცენტრალური სტადიონი
IX ტური, 24 დეკემბერი

ოდიში: გელენავა, ჯოლოხავა, მესხი, თუთბერიძე, აბსანძე, გაბედავა, ძალამიძე, გუგუჩია, დარასელია, ქაჩანაია, აფაქიძე
კოლხეთი 1913: გვასალია, თიბილაშვილი, კაკაჩია, ღლაღანიძე, ქუნთელია, ტორჩინავა, გოროზია, მიქაბერიძე, ბულუხია, დარასელია, ჩხაიძე

0:1 გ. დარასელია (16)
0:2 გ. დარასელია (30)
1:2 ბ. დარასელია (44 პ)

მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

## სამგურალი 2
## ოდიში 3

წყალტუბო, 26 მაისის სტადიონი
XVIII ტური, 27 დეკემბერი

სამგურალი: კიკალეიშვილი, დ. იობიძე, ჯანხოთელი, გუჩუა, ჭ. იობიძე, ქობულაძე, ლ. ფესტვენიძე, ჯანაშია, ხურცილავა, მეგრელაძე, ვ. ჯანელიძე
ოდიში: ჭანტურია, ჯოლოხავა, მესხი, თუთბერიძე, აბსანძე, კუტალია, ძალამიძე, გუგუჩია, დარასელია, ქაჩანაია, აფაქიძე

0:1 აფაქიძე (13)
1:1 ჯანაშია (25)
1:2 ძალამიძე (26)
2:2 მეგრელაძე (40)
2:3 აფაქიძე (68)

მსაჯი: რ. გარნოვსკი (სამტრედია)

პირველი ეტაპის შემდეგ:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი 1913 | 14 | 9 | 2 | 3 | 36-21 | 29 |
| გურია | 14 | 9 | 0 | 5 | 36-22 | 27 |
| ბათუმი | 14 | 8 | 1 | 5 | 31-22 | 25 |
| სამტრედია | 14 | 7 | 2 | 5 | 29-23 | 23 |
| ტორპედო | 14 | 6 | 3 | 5 | 23-27 | 21 |
| შუქურა | 14 | 6 | 2 | 6 | 26-28 | 20 |
| ოდიში | 14 | 4 | 1 | 9 | 29-37 | 13 |
| სამგურალი | 14 | 1 | 1 | 12 | 12-42 | 4 |

მეორე ჯგუფი
დასავლეთი

კოლხეთი (აბაშა) — ეგრისი 0:1
მეშახტე — ულუმბო 3:1
სულორი — ბახმარო 1:1
ულუმბო — უქიმერიონი 3:0
იმერეთი — ეგრისი 1:3
უნივერსიტეტი (ზუგდიდი) (ყოფილი შევარდენი) — იმერეთი 4:3
იმერეთი — კოლხეთი 2:1
გურია-2 — უნივერსიტეტი 1:1
შევარდენი — სულორი 4:0
ჩიხურა — მეშახტე 0:3
ულუმბო — კახაბერი 3:5
ანაკო-მერცხალი — ჩიხურა 3:0
გურია-2 — ჩხერიმელა 0:0
ეგრისი — ბახმარო 4:3
ულუმბო — ანაკო-მერცხალი 3:5
კახაბერი — მეშახტე 0:3
უნივერსიტეტი — მეშახტე 3:0

პირველი წრის შემდეგ:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგრისი | 13 | 11 | 1 | 1 | 33-15 | 34 |
| მეშახტე | 13 | 10 | 2 | 1 | 36-11 | 32 |
| მერცხალი | 13 | 10 | 0 | 3 | 30-12 | 30 |
| ჩხერიმელა | 13 | 7 | 2 | 4 | 31-15 | 23 |
| კოლხეთი | 13 | 7 | 2 | 4 | 22-13 | 23 |
| ბახმარო | 13 | 6 | 2 | 5 | 25-19 | 20 |
| კახაბერი | 13 | 6 | 1 | 6 | 24-26 | 19 |
| უნივერსიტეტი | 13 | 5 | 3 | 5 | 25-28 | 18 |
| იმერეთი | 13 | 5 | 2 | 6 | 21-20 | 17 |
| გურია-2 | 13 | 4 | 3 | 6 | 20-21 | 15 |
| ულუმბო | 13 | 3 | 1 | 9 | 20-38 | 10 |
| უქიმერიონი | 13 | 3 | 0 | 10 | 8-31 | 9 |
| სულორი | 13 | 1 | 3 | 9 | 15-37 | 6 |
| ჩიხურა | 13 | 1 | 2 | 10 | 7-31 | 5 |

## პირველი ჯგუფი. პირველი წრის სტატისტიკა

სტატისტიკურ მონაცემებში არ აისახება სხვადასხვა მიზეზით გაუქმებული მატჩების შედეგები

| | ალმ. | დას. | სულ |
|---|---|---|---|
| მატჩი | 104 | 54 | 158 |
| გოლი | 393 | 216 | 609 |
| საშუალო შედეგიანობა | 3,78 | 4,00 | 3,85 |
| მასპინძლები — სტუმრები: | | | |
| ქულები | 207-90 | 102-54 | 309-144 |
| პროცენტულად | 70-30 | 65-35 | 68-32 |
| ბურთები | 258-135 | 130-86 | 388-221 |
| პროცენტულად | 66-34 | 60-40 | 64-36 |
| გაძევება | 4-6 | 1-4 | 5-10 |
| გაფრთხილება | 34-51 | 15-27 | 49-78 |
| პენალტი | 31-14 | 22-5 | 53-19 |
| გამოყენებულია | 26-9 | 18-4 | 44-13 |
| დიდი ანგარიში | 37 | 14 | 51 |
| „ჰეთ-თრიქი" | 12 | 5 | 17 |
| ფეხბურთელთა რაოდენობა | 212 | 147 | 359 |
| დებიუტანტები | 60 | 37 | 97 |

ბომბარდირები

| | გოლი | თამაში | საშუალოდ | პენალტი |
|---|---|---|---|---|
| ალმოსავლეთი | | | | |
| მერაბ მეგრელაძე, მარგვეთი | 20 | 18 | 1,11 | 1 |
| გივი ქობელაშვილი, ივერია | 17 | 20 | 0,85 | 4 |
| გიორგი ქინქლაძე, დინამო | 13 | 14 | 0,93 | — |
| მამუკა ხუნდაძე, მარგვეთი | 12 | 19 | 0,63 | 2 |
| კარლო ჩინჩალაძე, საპოვნელა | 11 | 19 | 0,58 | — |
| ზაზა ჯანაშია, შევარდენი 1906 | 10 | 14 | 0,71 | — |
| ალექსანდრე იაშვილი, დინამო | 9 | 10 | 0,90 | — |
| მიხეილ ყაველაშვილი, დინამო | 9 | 16 | 0,56 | — |
| ზურაბ ხორგუაშვილი, დილა | 9 | 16 | 0,56 | — |
| ვარლამ კილასონია, მეტალურგი | 9 | 16 | 0,56 | 2 |
| როინ მარლიშვილი, ივერია | 9 | 19 | 0,47 | 1 |
| დასავლეთი | | | | |
| დავით მახარაძე, კოლხეთი 1913 | 14 | 13 | 1,08 | — |
| ლევან ხომერიკი, ბათუმი | 13 | 10 | 1,30 | — |
| კახა გოგოლაძე, გურია | 12 | 14 | 0,86 | — |
| ბაჩვა ამბიძე, შუქურა | 10 | 9 | 1,10 | 4 |
| ბადრი დარასელია, ოდიში | 9 | 12 | 0,75 | 2 |
| გიორგი დარასელია, კოლხეთი 1913 | 9 | 13 | 0,69 | 1 |

პირველი წრის აბსოლუტური ბომბარდირის მერაბ მეგრელაძის შვილმა გიორგიმ (დაიბადა 1978) „სამგურალის" ჩატარებულ 4 მატჩში 3 გოლი გაიტანა.

ერთ მატჩში 5 გოლი გაიტანა მერაბ მეგრელაძემ (მეორედ ეროვნულ ჩემპიონატებში); 4-4 — ალექსანდრე იაშვილმა (დინამო), ზურაბ ხორგუაშვილმა (დილა), ზაზა ჯანაშიამ (შევარდენი 1906), გივი ქობელაშვილმა (ივერია), დავით მახარაძემ (კოლხეთი 1913); 3-3 — ლევან ხომერიკმა (ბათუმი, 2-ჯერ), დავით ჯანაშიამ (სამტრედია), ელდარ გვასალიამ (შუქურა), შოთა არველაძემ, მიხეილ ყაველაშვილმა (დინამო), გიორგი და ვარლამ კილასონიებმა (მეტალურგი), ზაზა ბაკურაძემ (შევარდენი 1906), მამუკა მინაშვილმა (ივერია), კარლო ჩინჩალაძემ (საპოვნელა).

ყველაზე მეტი მატჩი დიდი ანგარიშით მოიგო თბილისის „დინამომ" — 11; 6 — „შევარდენი 1906-მა"; 5 — „საპოვნელამ".
დიდი ანგარიშით არ წაუგია მხოლოდ „კოლხეთი 1913-ს".
ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში პირველად წააგო დიდი ანგარიშით თბილისის „დინამომ" — „შევარდენი 1906-თან" 0:3.

ყველაზე მეტად თერთმეტმეტრიანებს ურტყამდნენ: დავით გოდერძიშვილი (საპოვნელა) — გაიტანა ხუთივე პენალტი; ჯამბულ გაგნიძე (დილა), გივი ქობელაშვილი (ივერია), დავით ნოზაძე (ტორპედო) — 4-დან 4.

აღმოსავლეთ ქვეჯგუფში ყველა — 20 მატჩი შეუცვლელად ითამაშეს: თემურ ვოლკოვმა, გიორგი ბალაშვილმა, ჯამბულ გაგნიძემ, ვაჟა თარხნიშვილმა (დილა) და გიორგი ჯიკაევმა (ივერია).
დილამ ყველაზე ნაკლები — 15 ფეხბურთელი ათამაშა.

დასავლეთის ქვეჯგუფში ყველა — 14 მატჩი შეუცვლელად ითამაშეს: მირზა მაღლაკელიძემ (ტორპედო), იასონ ბზიკაძემ, გელა ფანჩულიძემ (სამტრედია), გელა შეყილაძემ, მალხაზ მახარაძემ (ბათუმი) და მამუკა ბუცურეიშვილმა (გურია).

რევაზ შენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მურთაზ ხურცილავა: ქართული ფეხბურთი შველას ითხოვს

**მურთაზ ხურცილავას ყოველი ინტერვიუს შემდეგ საფეხბურთო საქართველოში დიდი აჟიოტაჟი ტყდება: ერთნი იწონებენ, მეორენი აღშფოთებულნი არიან. ალბათ გაზეთის გამოსვლის შემდეგაც ორად გაიყოფა ქართული საფეხბურთო ბანაკი, მაგრამ ვინც რა უნდა თქვას, ფაქტი ერთია — თბილისის „შევარდენის“ მთავარ მწვრთნელთან, მურთაზ ხურცილავასთან შეხვედრა ყოველთვის საინტერესო უნდა იყოს ჟურნალისტისთვისაც და მკითხველისთვისაც.**



**— ბატონო მურთაზ, როგორ შეაფასებთ მეხუთე ჩემპიონატის პირველ ეტაპს თქვენი გუნდისთვის?**

— ჩვენი მიზანი მუდამ იყო და იქნება ლამაზი, სანახაობრივი ფეხბურთი ვუჩვენოთ მაყურებელს, რომელიც ასე გვაკლია დღეს. რაც შეეხება შედეგს, კმაყოფილნი ვართ მიღწეულით. თუმცა იყო თამაშები, რომელშიც თამაშის ხარისხითაც და ზოგი ფეხბურთელის მოქცევითაც უკმაყოფილო ვარ. არის კიდევ ერთი პრობლემა — ჩემს ფეხბურთელებს გასვლითი თამაშების კომპლექსი გაუჩნდათ, როგორ კარგადაც არ უნდა ვითამაშოთ, მაინც წაგვაგებინებენო. ხანდახან მართლაც აქვს ისეთ ფაქტებს ადგილი, მატჩის დროს რომ მაფიქრებინებს: ტყუილად ხომ არ ვაწვალებ-მეთქი ბიჭებს.

**— მიკერძოებულ მსაჯობას გულისხმობთ?**

— მაგასაც და ბევრ სხვა ფაქტორსაც. როდესაც პირველი ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო, ვამბობდით, პირველი წელიაო და ბევრ რამეზე თვალს ვხუჭავდით, გვეგონა შემდგომში გაუმჯობესდებოდა. პირიქით კი მოხდა. მეხუთე ჩემპიონატში ისეთი საზიზღრობები ხდებოდა, წინა ოთხი ჩემპიონატი მონაგონი იყო.

**— ფაქტებს უფრო კონკრეტულად ხომ არ დაასახელებდით?**

— მხოლოდ რამდენიმე მაგალითს აღვნიშნავ, რომლებიც ალბათ ყველასათვის ცნობილია: ჩავდივართ სათამაშოდ ერთ-ერთ ქალაქში, მატჩი ორ საათზეა დანიშნული. ჩვენ დროულად გამოვედით მოთელვაზე, მასპინძელთა გუნდი კი არა ჩანს, არადა ყველანი სტადიონზე იმყოფებოდნენ. თურმე ფეხბურთელებს გასამრჯელოს არ უხდიდნენ და ისინიც მინდორზე არ გამოვიდნენ;

კიდევ ასეთი შემთხვევა: გუნდი ჩამოდის ჩვენთან ცხრა ფეხბურთელით და ამის გამო მატჩი კვლავ დიდი ხნის დაგვიანებით იწყება. მეათე წუთზე მეათე ფეხბურთელი მოუვიდათ, ნახევარი საათის შემდეგ — მეთერთმეტე;

კვლავ ცხრა კაცით ჩამოდის ჩვენთან გუნდი, რომელიც ხუთეულზე აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ არ გვეთამაშნენ და ის მატჩი რამდენიმე კვირის შემდეგ ჩაგვისვეს, როცა ხუთეულის საკითხი გადაწყვეტილი იყო;

კიდევ ერთი „მარგალიტი“ ინებეთ: ჩვენ სტადიონზე სტუმარი გუნდის ფეხბურთელები შეურაცხყოფას აყენებენ მსაჯს, რომელიც უარს ამბობს მატჩის გაგრძელებაზე და მეორე ტაიმში თამაშს გვერდითი მსაჯი ამთავრებს;

ჩავდივართ ერთ-ერთ ქალაქში და ერთბაშად ორი მსაჯი არ ჩამოდის. მატჩს ადგილობრივი მსაჯობს, როგორც შემდეგ გავიგე, მძღოლი ყოფილა;

ერთ-ერთ გასვლით თამაშში მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელი ორი ხელით იჭერს ბურთს, დებს მიწაზე, აკეთებს გადაცემას და გოლს გვიტანენ. მატჩის შემდეგ აღშფოთებულ ინსპექტორს არბიტრი ეუბნება, რომ ხელით თამაში იმ მომენტში არ მინახიაო. სხვათა შორის, იმ თამაშის შემდეგ ადგილობრივი გულშემატკივრები მოვიდნენ ჩემთან და ინსპექტორთან ერთად ბოდიში მომიხადეს: არ გვინდა, ბატონო მურთაზ, ასეთი მოგებაო;

ერთ-ერთ ქალაქში (ეს უკვე ჩვენს გუნდს არ ეხება) მსაჯი აძევებს ფეხბურთელს. ის კი არ გადის (!) მინდვრიდან და შემდეგ გამარჯვების გოლსაც იტანს. მართალია სადისციპლინო კომისიამ დამნაშავე დასაჯა, მაგრამ განა საქმე აქამდე უნდა მისულიყო? მოკლედ, ამგვარი საზიზღრობები ხდება დღეს საქართველოს ჩემპიონატში და თავს აღარ შეგაწყენთ ჩამოთვლით.

**— თერჯოლაში თქვენც არ გამოცხადდით...**

— მაშინ ავტობუსი გაგვიფუჭდა და ვერ ჩავედით. მატჩის ინსპექტორიც ჩვენთან იყო და არბიტრიც. ფედერაციაში განიხილეს ეს საკითხი: ფულადი ჯარიმა და მატჩის გადათამაშება მოგვისაჯეს. მე ვუთხარი, ფულს არ გადავიხდით და რაც დებულებაში გიწერიათ, ის ქენით-მეთქი. ისევ დაინიშნა მატჩი, ხელმეორედ ჩავედით თერჯოლაში, კვლავ ვერ ვითამაშეთ დიდი თოვლის გამო. ბოლოსდაბოლოს მესამედაც არ შედგა მატჩი.

**— კი მაგრამ, ბატონო მურთაზ, თქვენს მიერ ჩამოთვლილი ფაქტები ხომ კარგი ცხოვრებისაგან არ არის გამოწვეული. ჭირს საწვავი, საკვები, შემცირდა მსაჯთა რიცხვი და კიდევ ათასი პრობლემა გვაქვს...**

— კი მაგრამ, მაინც ხომ ვატარებთ ჩემპიონატს და ბარემ ნორმალურად ჩავატაროთ. ფორმალური სახე კი არ უნდა ჰქონდეს მის ჩატარებას. ზემოჩამოთვლილი ფაქტების აღმოფხვრა დღევანდელ პირობებში სავსებით რეალურადაა შესაძლებელი. სსრკ ჩემპიონატების დროს (უმაღლეს ლიგაში მიმუშავია მწვრთნელად) მეორე ლიგის თამაშებზე ზუგდიდში, სამტრედიაში და სხვა ქალაქებში ნამდვილი ზეიმი იყო, მთელი რაიონი ფეხზე იდგა. დიდი ყურადღება იყო რაიონის ხელმძღვანელთა მხრიდანაც. ახლა რაღამ აუცრუა გული ამ ხალხს? მიზეზი უპირველეს ყოვლის ჩვენს მიერ დაშვებულ შეცდომებში უნდა ვეძიოთ, თითქმის ყველა თამაში ჩხუბით მთავრდება. ჩემი აზრით ყველაზე დიდი შეცდომა იყო ეროვნული ჩემპიონატის თვრამეტი გუნდით დაწყება. მე მაშინაც ვთვლიდი და ახლაც ასე ვთვლი (სხვათაშორის ამაში ბევრი მწვრთნელიც მეთანხმება), რომ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში (დღევანდელი პირველი ჯგუფი) თორმეტი, მაქსიმუმ თოთხმეტი გუნდი უნდა მონაწილეობდეს. იყოს ერთკვირიანი ციკლი და იმისთვის, რომ გუნდებმა ბევრი თამაშები ჩაატარონ, ვითამაშოთ, ვთქვათ, ოთხ წრედ, როგორც შოტლანდიაში, ან კიდევ ორ ეტაპად, როგორც დანიაში. გუნდები პირველივე ჩემპიონატის შემდეგ უნდა შეგვემცირებინა, პირიქით კი გაკეთდა: ჯერ ოცი, შემდეგ ოცდაორი გუნდი! ხარისხზე უნდა გვეფიქრა და არა რაოდენობაზე. ოთხი სეზონია, ფაქტიურად გუნდი არ გავარდნილა.

**— არ გეგონოთ გუნდების რიცხვის გაზრდის მომხრე ვიყო, მაგრამ რით დაასაბუთებთ თქვენი აზრის სისწორეს?**

— მაგას რა დასაბუთება უნდა, ოცდაორგუნდიან ჩემპიონატში ხარისხზე ლაპარაკი ზედმეტია. ვთქვათ უმაღლეს დივიზიონში თორმეტი გუნდი დავუშვით; დარჩენილი ათი გუნდიდან მინიმუმ სამი-ოთხი ძლიერი ფეხბურთელი ხომ მაინც უეჭველად გადავა ამ თორმეტ გუნდში და გააძლიერებს მას? გარდა ამისა, გაძლიერდება პირველი დივიზიონიც (სადაც ასევე უნდა შემცირდეს გუნდების რიცხვი). კიდევ ერთი დადებითი ფაქტორი — არსებულ მსაჯთა რიცხვი თავისუფლად გასწვდება ამ თორმეტი გუნდის მომსახურებას, მსაჯობაც უფრო ხარისხიანი იქნება, რადგან მასში მხოლოდ თორმეტი რჩეული ითამაშებს. ამიტომ მაყურებელიც უფრო ლამაზ და უკომპრომისო ფეხბურთს ნახავს და პირს იბრუნებს სტადიონისკენ.

**— გვინდა თუ არ გვინდა, მსაჯთა თემას გვერდს ვერ ავუვლით.**

— ადრეც მითქვამს, პირველი მომხრე ვიყავი მსაჯთა ასოციაციის შექმნისა, მეგონა გამოსწორდებოდა მსაჯობა, პირიქით კი მოხდა. მე ასოციაციის ხელმძღვანელობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ თუ არ შეეძლოთ, საერთოდ ნუ მოჰკიდებდნენ ხელს ამ საქმეს. მესმის, რომ მსაჯები დაუცველნი არიან, ბევრ მათგანს ბოდიშიც კი უთქვამს თამაშის მერე მიკერძოებული მსაჯობისთვის, მაგრამ ეს მათ არ ამართლებთ: თუ არ შეგეძლო, ნუ მოკიდებ ხელს სასტვენს. პირველი ეტაპის მატჩებში ხანდახან ფაქტიურად მსაჯი კი არა, მეტოქის ფეხბურთელები მსაჯობდნენ.

**— ბატონო მურთაზ, თქვენს მიერ ჩამოთვლილი ფაქტები და კიდევ ბევრი სხვა ლაფსუსი მართლაც ამახინჯებდნენ ჩვენს ჩემპიონატს, მაგრამ ისე არ გამოგვივიდეს, რომ მარტო კრიტიკა ისმოდეს თქვენგან და გამოსწორებაზე არაფერი თქვათ.**

— ჩემი მიზანი ვინმეს გაკრიტიკება არ არის, თუმცა ნუ დაგავიწყდებათ, რომ კრიტიკა ძალიან სასარგებლო საქმეა და ჭკვიანი კაცი, სანამ აღშფოთდება, ჯერ სწორ დასკვნებს გამოიტანს კრიტიკიდან. მე ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ ქართული ფეხბურთი დაღუპვის ზღვარზეა და არა იმიტომ, რომ საქართველოში ომი და გაჭირვებაა. ქართული ფეხბურთი შველას ითხოვს და ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვუშველოთ მას: მწვრთნელებმა, ფეხბურთელებმა, სპეციალისტებმა, მსაჯებმა, ჟურნალისტებმა, გულშემატკივრებმა. საჭიროა დაუყოვნებლივ შევიკრიბოთ, დავთქვათ ადგილი, დრო და ვიმსჯელოთ ჩვენს უბედურებაზე. ასეთი საზიზღრობების გაგრძელება აღარ შეიძლება. ქართულ ფეხბურთს კომპლექსურად უნდა ვუმკურნალოთ. ჩემი კოლეგების მიკვირს, იგივეს მეუბნებიან, ხოლო როცა საქმე საქმეზე მიდგება, პირში წყალს ჩაიგუბებენ. სხვათა შორის, მწვრთნელებთანაც ბევრი საპრეტენზიო უნდა გვქონდეს, რადგან პირველ რიგში მწვრთნელი აძლევს ცუდ მაგალითს ფეხბურთელს. ყველას უჭირს ახლა, დალხინებული არავინაა. განა შეიძლება მწვრთნელი მუდამ მსაჯებს, უბედობას და სხვა მიზეზებს აბრალებდეს წარუმატებლობას, განა შეიძლება ბავშვთა ფეხბურთის ასე გაწირვა? ბავშვთა მწვრთნელს ყველაზე დიდი ხელფასი უნდა ჰქონდეს, გაცილებით მეტი, ვიდრე უმაღლესი გუნდის მწვრთნელს და მაშინ ჩვენი ბავშვთა მწვრთნელები ხარისხზე იმუშავებენ და არა შედეგზე.

მიკვირს ზოგი მატჩის ინსპექტორის, რომელიც ჩქმალავს აღმაშფოთებელ ფაქტებს და ფედერაციაში სრული სიმართლე არ ჩამოაქვს. ინსპექტორს მეტი უფლებები უნდა ჰქონდეს, მისი სიტყვა უნდა ფასობდეს. თუ ინსპექტორი თვლის, რომ მსაჯმა ძალით წააგებინა გუნდს თამაში, მისი სიტყვა საკმარისი უნდა იყოს შედეგის გასაუქმებლად. ის ხომ პროფესიონალია და არაფერი გამოეპარება.

მსაჯებიც სასწრაფოდ უნდა შეგვხვდნენ ჩვენ, გუნდების მწვრთნელებსა და ხელმძღვანელებს. ჩვენზე უკეთ ვინ გაიგებს მათ გასაჭირს და ვინ დაეხმარება. ყველა კლუბის ხელმძღვანელი თანახმა იქნება დამატებით დაიტვირთოს თავი, ოღონდ მსაჯობა გამოსწორდეს. თვითონ მსაჯებმა დაგვიყენონ საკითხი: რა არის საჭირო, რომ ნორმალურად იმსაჯონ და ჩვენ მათ ყველაფერს გავუკეთებთ. ერთი რამ კი დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ მსაჯებმა: უხეშ და უზრდელ ფეხბურთელებთან უკომპრომისო ბრძოლა. ჩვენს სტადიონებზე ლაპარაკი უფრო მეტია, ვიდრე თამაში. ევროპაში გასვლა რომ გვინდა, იქ ხომ პირველივე თამაშში ამდენი ლაპარაკის შემდეგ არცერთი ჩვენი ფეხბურთელი აღარ დარჩება მინდორზე, — ყველას გააძევებენ.

მეორე წრიდანვე მსაჯებმა კიდევ ერთი რამ უნდა გამოასწორონ: მისცენ ფეხბურთელებს თამაშის საშუალება, ყოველი ორთაბრძოლის შემდეგ ნუ უსტვენენ, ამით ტემპი ვარდება და ფეხბურთელიც კაცური მჭიდრო თამაშის ნაცვლად მუდმივად „სიმულიანტობაზე“ ფიქრობს.

მხარში უნდა ამოგვიდგეს პრესა და ტელევიზია. პრესის მესმის, ქაღალდი არა აქვთ, მაგრამ რასაც წერენ, სიმართლე დაწერონ. ტელევიზიის კი მიკვირს, ხომ აკეთებენ „მეორე არხი“, „იბერვიზია“ გადაცემებს საზღვარგარეთულ ფეხბურთზე (რისთვისაც დიდი მადლობა მინდა მოუხადო), ქართულმა ფეხბურთმა რა დააშავა? განა ძნელია ვიდეოკასეტაზე მაინც ჩაიწერონ თამაშები და ლამაზი გოლები ამოკრიბონ, ან სპორტული გადაცემების შესავალი, თუნდაც ლევან ყიფიანის შესანიშნავი გოლით დაიწყონ? მატჩების ანგარიშებს მწვრთნელები ტელევიზიით ვიგებდით — ეს ერთადერთი დროული საშუალება იყო. ბოლო რვა ტურია, სპეციალურად დავაკვირდი „ალიონს“, „მაცნეს“, „ნაშუადღევს“ და სხვა საინფორმაციო საშუალებებს: ერთხელაც არ გადმოუციათ ჩემპიონატის მატჩების ანგარიშები. მატჩების ტრანსლაციასაც ვერ ახერხებენ, იმიზეზებენ, საწვავი არა გვაქვსო. მოვიდნენ ბატონო და თვითონ ფეხბურთელები უშოვნიან ბენზინს.

მოკლედ, ქართულ ფეხბურთს კომპლექსურად უნდა ვუმკურნალოთ, მკურნალობა კი ფეხბურთის ფედერაციიდან უნდა დაიწყოს. სასწრაფოდ უნდა შევიკრიბოთ ყველანი, სპეციალისტებიცა და გულშემატკივრებიც და ეს შეკრება სეზონის დაწყებამდე უნდა მოხდეს, რათა მეორე ეტაპი მაინც ნორმალურად ჩავატაროთ, მითუმეტეს, ათი მართლაც საუკეთესო გუნდია გასული მედლებისთვის საბრძოლველად და ვფიქრობ, საინტერესო და დაძაბული მატჩები გველის, თუ მსაჯებიც შეგვიწყობენ ხელს.

**— ეროვნულ ნაკრებზეც გექნებათ ნაფიქრალი...**

— ოთხი თამაში ძალიან ცოტაა, ნაკრებზე რომ იმსჯელო. ჩემი აზრით, თუ არ გვეყოლება ძლიერი კლუბები, ვერც ნაკრები იქნება ძლიერი.

**— თქვენი აზრით, ლეგიონერები არ გააძლიერებენ ნაკრებს?**

— ლეგიონერი რომ აიყვანო ნაკრებში, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ნაკრებს გამოადგება. მარტო იმიტომ არ უნდა აიყვანო, რომ საზღვარგარეთ თამაშობს. ჩვენ არცერთის თამაში არ გვინახია. შეიძლება ზოგ ლეგიონერს საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელმა აჯობოს. ნაკრების მწვრთნელს სპეციალური სელექციონერი უნდა ჰყავდეს, რომელიც მუდმივად საქმის კურსში იქნება, თუ რა ფორმაშია ესა თუ ის ლეგიონერი.

თუ არის საშუალება, ძლიერ ნაკრებებს ვეთამაშოთ და არ უნდა შეგვეშინდეს მათთან დიდი ანგარიშით წაგებისა, რადგან სჯობია ძლიერ ნაკრებთან წააგო და რაღაცა ისწავლო, ვიდრე სუსტთან მოიგო ან წააგო და — ვერაფერი.

ტრაგედია არ უნდა შეიქმნას ნაკრების წარუმატებლობის შემდეგ, რადგან ჩვენ ახლა ვეცნობით მსოფლიოს, მაგრამ ერთია, მწვრთნელმა ცუდ კვებას და მიკერძოებულ მსაჯობას კი არ უნდა დააბრალოს წარუმატებლობა, არამედ საკუთარ თავს. სხვათა შორის, მივესალმები ფედერაციის გადაწყვეტილებას — თავიანთ ადგილზე დატოვოს ორივე ასაკის ახალგაზრდულ ნაკრებთა მწვრთნელები. ამ ბიჭებს მოხსნა კი არა, მეტი თანადგომა უნდათ.

**— თქვენ მუდამ გულთბილად მოიხსენიებთ იმ ხალხს, ვინც კლუბებს თუ ნაკრებებს ხელს უმართავს...**

— ამ ხალხის ხელშია დღეს ქართული ფეხბურთი. ჩვენ სპონსორები უნდა მოვიზიდოთ, მოვეფეროთ, ისინი რომ არ იყვნენ, დაიღუპებოდა ქართული ფეხბურთი. დარწმუნებული ვარ: გუნდების შემცირება მათ მოზიდვაზეც დადებითად იმოქმედებს, რადგან უმაღლესი დივიზიონის გუნდს მეტი ფასი დაედება. შეიძლება ვინმემ იფიქროს, ამ ომსა და გაჭირვებაში რა ეფეხბურთებათო, მაგრამ ხომ დადგება დრო, როცა გამოსწორდება ყველაფერი და თუ ფეხბურთს ახლა არ მივხედეთ, იმ დროისათვის ქართული ფეხბურთი აღარ იარსებებს. გაიხსენეთ „ლინფილდთან“ მატჩი: მაშინ გაჭირვება იყო, მაგრამ „დინამოს“ ბრწყინვალე თამაშმა თითქმის გაავსო სტადიონი და მთელი საქართველო ერთ მიზნად შეკრა.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ ახლადშექმნილ მწვრთნელთა საბჭოს წევრი ბრძანდებით...**

— მივესალმები საბჭოს შექმნას, მაგრამ თუ საქმეს ვაკეთებთ, კაცურად გავაკეთოთ. ორჯერ ვიყავი საბჭოს სხდომებზე და ფორმალიზმის მომენტები რომ შევნიშნე, გადავწყვიტე, აღარ მივსულიყავი.

**— თქვენც და სხვა მწვრთნელებსაც ხშირად გამოგითქვამთ სინანული იმის გამო, რომ ჩემპიონატის მსვლელობისას არ შეგიძლიათ ქვედა ლიგებიდან გუნდის შევსება-გაძლიერება.**

— ეს კანონიც ფედერაციის ლაფსუსად მიმაჩნია. არცერთ ქვეყანაში არ ხდება მსგავსი რამ. ამ უცნაური და გაუგებარი კანონის გამო ლამის მინი-ფეხბურთიდანაც აღარ შემიძლია მოთამაშის აყვანა. ფანცულაია და ქოჩლაძე მინიდან ავიყვანე, ისიც დიდი გაჭირვებით. არადა, ორივემ გააძლიერა „შევარდენი“. სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს ეს კანონი და მწვრთნელებს უნდა მიეცეთ საშუალება, აიყვანონ ფეხბურთელები ნებისმიერ დროს, თუ რა თქმა უნდა, თვითონ ფეხბურთელი იქნება თანახმა და გუნდების ხელმძღვანელებიც შეთანხმდებიან. რამდენი შემთხვევა ვიცი, ფეხბურთელს კონფლიქტი მოუვიდა ხელმძღვანელობასთან და იგი გაუშვეს გუნდიდან, სხვა გუნდის მწვრთნელს კი მისი აყვანა არ შეუძლია, ამისთვის მთელი სეზონი უნდა გავიდეს. ესეც ძალიან უკან სწევს ქართული ფეხბურთის განვითარებას.

**— თქვენს საარაკო სიმკაცრეზე ლეგენდები დადის...**

— მე ობიექტურად მკაცრი ვარ. რატომ უნდა იგინოს ფეხბურთელმა მინდორზე? მსაჯებს ვეუბნები, პირველად ჩემი ფეხბურთელი გააფრთხილონ. ჩემი ყველაზე დიდი ტკივილია ჩემი შვილი რომ შეეშვა ფეხბურთს. ერთ-ერთ მატჩში მინდვრიდან გააძევეს, არადა მანამდე მოწინააღმდეგე ფეხბურთელს მსაჯმა ათჯერ მეტი დანაშაულისთვის არაფერი უთხრა. გოგაც წამოეგო. იცოდა, ჩემგან რა ელოდა ამის გამო და მიატოვა ვარჯიში. ჩემს ბიჭებს ამ მხრივ მადლობას ვეუბნები, რადგან საქართველოში, სხვებთან შედარებით, ერთ-ერთი კორექტული გუნდი ვართ.

**— მოდით, მკითხველიც დავზოგოთ და ჩვენი ინტერვიუ დროებით დავამთავროთ. სათქმელი კიდევ ბევრი გექნებათ.**

— სათქმელს რა დამილევს. ჩემი ცხოვრება ფეხბურთია, ერთი დღე არ მიცხოვრია უფეხბურთოდ, ამიტომ მტკივა ასე გული. ყველას მინდა ვთხოვო, გამოვფხიზლდეთ და ვუშველოთ ქართულ ფეხბურთს, სასწრაფოდ უნდა შევიკრიბოთ. ყველამ უნდა გაითავისოს ქართული ფეხბურთის გასაჭირი.

ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, როდესაც შემთხვევით პარლამენტის შენობაში მოვხვდი პირად საქმეზე და შესვენებაზე გამოსული დეპუტატები, ნაცნობი თუ უცნობი, ჩვენი ფეხბურთის შესახებ მეკითხებოდა. მიუხედავად უამრავი პრობლემისა, მათ ფეხბურთი აინტერესებდათ.

თუ ამ წერილმა ქართულ ფეხბურთს მცირე სარგებლობა მოუტანა, ან რამდენიმე კაცი მაინც გამოაფხიზლა, ბედნიერი ვიქნები. სიამოვნებით მოვისმენ ოპონენტთა აზრსაც. მე მიზნად კი არ მაქვს ვინმეს გულის ტკენა, ჩემი მიზანია საქართველოში იყოს ნამდვილი ფეხბურთი, რომელსაც ასე მიეჩვია ჩვენი გულშემატკივარი.

მოკლედ, სასწრაფოდ უნდა შევიკრიბოთ და ფეხბურთი გადავარჩინოთ საქართველოში.

ქართული ფეხბურთი შველას ითხოვს!

მამუკა კვარაცხელია




გამოვიდა და უკვე იყიდება რევაზ შენგელიას მიერ შედგენილი

ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი

№ 2, 1993-94

წიგნის ყიდვა შეგიძლიათ „სარბიელის“ რედაქციაშიც

# გივი ნოდია: წელსაც დუბლისთვის ვიბრძვით



ჩემპიონატის მეორე ეტაპისათვის მზადება ყველაზე ადრე დინამოელებმა დაიწყეს... გასული წლის 20 დეკემბრიდან გუნდი ჯერჯერობით სპორტის სასახლეში და ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში გადის მზადებას. ორ-სამ გუნდად დაყოფილი დინამოელები თავგამოდებით ცდილობენ ერთმანეთს ოსტატობა დაუმტკიცონ. გივი ნოდია მსაჯის ფუნქციებით იყო დაკავებული. საფინალო სასტვენის შემდეგ შედგა ჩვენი ინტერვიუ.

**— ბატონო გივი, როგორ შეაფასებდით მეხუთე ჩემპიონატის პირველ ეტაპს?**

— პირველ რიგში მინდა გამოვყო ჩვენი მონაწილეობა ჩემპიონთა თასზე. „ლინფილდთან" ორ თამაშში მოპოვებულმა წარმატებამ დაგვანახა, რომ ჩვენი გუნდი ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელებით კი არა, ჩამოყალიბებულ, მაღალი კლასის მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. ბიჭებმა ვაჟკაცურად გადაიტანეს მათ თავს დამტყდარი ტრაგედია, ისევე შედეგიანად გააგრძელეს პირველი ეტაპის მატჩები და ფაქტიურად პირველ წრეშივე გაინაღდეს ხუთეული. ამის შემდეგ ვისარგებლეთ დებულებით და ვინაიდან მეორე ეტაპზე ქულები არ გადადიოდა, თამამად ჩავაცვით ძირითადი შემადგენლობის მაისური ახალგაზრდათა ჯგუფს. ამით ორი საქმე გავაკეთეთ: ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები დავასვენეთ და ახალგაზრდებსაცსაშუალება მივეცით შეჩვეულიყვნენ ძირითად შემადგენლობას.

**— „დინამო" დატოვეს ძმებმა არველაძეებმა, შელიამ, მალე ქინქლაძეც ზაარბრიუკენს გაემგზავრება...**

— ოთხივენი ჩვენი ნებართვითა და ხელშეწყობით გავუშვით. მათი კონტრაქტი მაისის ბოლოსთვის იწურება და ივნისიდან ისინი უკან დაგვიბრუნდებიან. ამ დროისათვის უკვე გვეცოდინება ჩვენი ევროტურნირზე დაშვება-არდაშვების შესახებ. თუ დაგვიშვეს, ოთხივე დარჩება გუნდში, ხოლო თუ არა და ან იგივე კლუბებში გააგრძელებენ კარიერას, ან რანგით უფრო მაღალ გუნდებში.

**— ზემოხსენებულ ოთხეულს კიდევ ხომ არ მიემატება საზღვარგარეთ მოთამაშე დინამოელი?**

— ერთი ან ორი ფეხბურთელი ალბათ მიემატება ლეგიონერთა რიცხვს.

**— შეძლებენ ახალგაზრდა, 16-17 წლის დინამოელები ღირსეულად შეცვალონ საზღვარგარეთ წასული ლიდერები?**

— ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს, სათანადო გამოცდილების მიღების შემდეგ, ვფიქრობ, ღირსეულად იასპარეზებენ. წელს ჩვენი მიზანია ჩემპიონობაც მოვიგოთ და თასიც. ვიმეორებ, მხოლოდდამხოლოდ დრო უნდა მივცეთ ამ ბიჭებს. ამაში კი ძალიან დაგვეხმარება მეხუთე ჩემპიონატის დებულება.

**— ორიოდე სიტყვა გერმანულ ტურნეზე...**

— 8 იანვარს კიოლნში მივემგზავრებით, მეორე დღეს ერთდღიან ტურნირში ჩავებმებით. მატჩები ათ-ათ წუთიანი ტაიმებისაგან შედგება, კარის ზომებია 2X5, მინდვრისა 20X40. ჩვენს ქვეჯგუფში მოხვდნენ კიოლნის „ფორტუნა" და მიონხენგლადბახის „ბორუსია", მეორე ქვეჯგუფში — „კიოლნი", „დუისბურგი" და „ვატენშაიდი". შემდეგ კიოლნში გავაგრძელებთ მომზადებას და 15 იანვარს ქალაქ ზონინგენში ანალოგიურ ტურნირზე გამოვალთ, აქ ჩვენს გარდა მხოლოდ ერთი მონაწილეა ცნობილი — „კიოლნი". მეორე დღეს, 16 იანვარს მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთ გუნდს შევხვდებით — უკვე დიდ მოედანზე. 19 იანვარს უკან ვბრუნდებით.

**— თვის ბოლოს „ჩემპიონთა ტურნირზე" მიდიხართ მოსკოვში...**

— მოსკოვში 28 იანვარს მივემგზავრებით. 29, 30 და 31 იანვარს ქვეჯგუფში ვითამაშებთ. ჩვენი მეტოქენი იქნებიან ლიტვის ჩემპიონი — მაჟეიკის „როვერი", თურქმენეთის ჩემპიონი — დუშანბეს „სიტორია" და აზერბაიჯანის ჩემპიონი — აღდამის „ყარაბახი". ჩვენს ქვეჯგუფში გამარჯვებული 2 თებერვალს ხვდება მინსკის „დინამოს" (ბელარუსი) ფერღანის „ნეფტჩის" (უზბეკეთი), ბიშკეკის „ალგას" (ყირგიზეთი) და რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს შორის გამარჯვებულს (ეს უკანასკნელი კონკურსგარეშე გამოდის). ფინალი 4 იანვარსაა დანიშნული და ჩვენ ყველა ღონეს ვიხმობთ, მაქსიმუმი მოვიპოვოთ.

**— გერმანიაში რომელი ფეხბურთელები მიგყავთ?**

— ზოიძე, ჩხეიძე, ბერაძე, ქველაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, ტყებუჩავა, სოლოლაშვილი, ინალიშვილი, ნემსაძე, ანჩაბაძე, რევიშვილი, ჯამარაული, რეზო არველაძე, ქინქლაძე, ყაველაშვილი. ქინქლაძე ზაარბრიუკენში დარჩება ტურნირის შემდეგ.

**— ნაკრების წევრები მალტაში მოსკოვიდან გაემგზავრებიან?**

— ტყუპებისა და შელიას გარდა ფეხბურთელებიდან კიდევ ცამეტი კაცია მიწვეული ნაკრებში, ისინი მოსკოვიდანვე გაემგზავრებიან მალტას.

**— ჩამოთვლილი ფეხბურთელების გარდა მოსკოვში ახალგაზრდებსაც წაიყვანთ?**

— მოსკოვში თვრამეტკაციანი გუნდით წავალთ. ზემოაღნიშნულ თხუთმეტ ფეხბურთელს სამი ახალგაზრდა დაემატება.

**— სეზონი ალბათ მარტში დაიწყება, ნაკრები კი თოთხმეტში ბრუნდება მალტიდან. დარჩენილ დროს თბილისში გაატარებთ თუ კიდევ გაქვთ დაგეგმილი უცხოური ტურნე?**

— კლუბის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ახლა ამ პრობლემითაა დაკავებული. რამდენიმე მოწვევა გვაქვს. იმედია, ერთ ტურნირს კიდევ მოვასწრებთ.

მამუკა კვარაცხელია

## ამერიკელი გენერალი — „ერქვანის" პრეზიდენტი

გურჯაანის „ერქვანი" ახალ წელს ახალი უფროსობით შეეგება — კლუბის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს დავით ყიფიანის სახელობის სტადიონის ინფორმატორი, გურჯაანის ტელევიზიის სპორტული განყოფილების გამგე, 27 წლის გელა მეგრელიშვილი. მიხეილ ფურცელაძის პრეზიდენტობიდან წასვლის შემდეგ გუნდი უპრეზიდენტოდაა დარჩენილი და რომ არა ასოციაცია „ერქვანი" (თავმჯდომარე კობა ჯიბლაშვილი) და რაიონის გამგებელი ნიაზ ჯეირანაშვილი, დაიშლებოდა კიდეც. ახალი ვიცე-პრეზიდენტი უკვე შეუდგა მუშაობას. მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ კლუბის სპონსორი ახალ წელსაც ასოციაცია „ერქვანი" იქნება, გუნდს დაუბრუნდება ძველი სახელი — „ალაზანი". კლუბის მწვრთნელი გივი ყალაბეგაშვილი აპირებს ბავშვთა სკოლის ჩამოყალიბებას, სადაც პირველ ეტაპზე ოთხი ასაკობრივი ჯგუფი ეყოლებათ. გელა მეგრელიშვილმა გვაცნობა, რომ კლუბის ხელმძღვანელთა კრებაზე საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს... ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების გაერთიანებული შტაბის უფროსი გენერალი ჯონ მალხაზ შალიკაშვილი, რომლის პაპა გურჯაანელი იყო და მათი ძველი ეზო-კარი სტადიონისგან არც თუ ისე შორს მდებარეობს. გენერალ შალიკაშვილს უკვე გაეგზავნა შესაბამისი ფაქსი.

## მწვრთნელები მიდი-მოდიან

წლის ბოლოს მრავალმა მწვრთნელმა გამოიცვალა გუნდი. საფეხბურთო კლუბ „ანცის" მთავარ მწვრთნელად ნოდარ აკობიას ნაცვლად დანიშნულია გიგა ნორაკიძე. ბატონმა გიგამ ჯერჯერობით თავი შეიკავა ინტერვიუსგან და ზუსტად ერთი თვის შემდეგ შეგვპირდა საუბარს. თელავის „კახეთის" მთავარი მწვრთნელი ჯემალ მახარაშვილი ბავშვთა ფეხბურთში გადავიდა, მის ნაცვლად „კახეთს" ქობულეთის „შუქურადან" გადმოსული ომარ გუგუშვილი წვრთნის. „ბათუმიდან" ექვსწლიანი მუშაობის შემდეგ წამოვიდა შოთა ჭეიშვილი.

# ბრწყინვალე ტყუპები

24 დეკემბერს არველაძეთა ოჯახში დიდი ფაციფუცი იყო: თურქეთიდან შოთას და არჩილს ელოდებოდნენ. ტყუპების ჩამოსვლამდე ასამდე თურქული გაზეთი დავათვალიერე და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს თურქებს ტყუპების გარდა არაფერი აინტერესებდათ: ყველა ნომერში მათი სურათებია, ყველა გვერდზე მათზე სწერია, ჯერ მარტო სათაურები რად ღირს: „ოქროს ბიჭი", „შოთა — ლოკომოტივი", „სუპერ შოთა", „შოთა უსაქმოდ არ ჩერდება", „ბრწყინვალე ტყუპები", „ტყუპები — ტრაბზონსფორის ბურჯებია", „ისევ ქართველები", „ორივე სასწაულია", „ტყუპებმა სიცოცხლე დაგვიბრუნეს", „ბარაქა, შოთა", „არჩილ შოუ" და ასე შემდეგ. აი, ამონაკრებები სტატიებიდან, რომლებიც საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა ზაურ მჭედლიშვილმა გვითარგმნა: „ტრაბზონსფორის ქართველი ფეხბურთელი შოთა უცხოელებიდან პირველი ნომრის სახელის მოპოვების ყველა შანსებს ფლობს"; „დღეს თურქეთში მოთამაშე ყველა უცხოელ ფეხბურთელს შორის შოთას კლასის ფეხბურთელი არ მოიძებნება"; „ტრაბზონსპორში განსაკუთრებით სამი მოთამაშე გამოირჩეოდა: უნალი თავისი მონდომებით, პატარა ორჰანი შრომისუნარიანობით და შოთა, რომელიც ნამდვილად ფეხბურთის ჯადოქარია"; „რაც მართალია — მართალია, ტრაბზონი გაცოცხლდა შოთას და არჩილის მოსვლის შემდეგ. ყოველ მატჩში ბურთი გააქვთ. აქვთ შესანიშნავი ტექნიკა, რეაქცია. წარსულშიც და ახლაც თურქეთში ასეთი უცხოელები ჯერ არ გამოსულან"; „გუშინ სწორედ შოთა იყო ის მოთამაშე, რომელიც თავისი თამაშით, გატანილი გოლით და შექმნილი საგოლე მომენტებით ცეცხლს ანთებდა მთელს მოედანზე. იგი გუნდის სული და გული, მატჩის ნამდვილი გმირი იყო"; ერთი სტატია და ფოტო მთლიანად არჩილის ვარჯიშზე მიღებულ ტრავმას ეძღვნება: თურქები წუხდნენ, რომ არჩილი ვერ ითამაშებდა...

ამასობაში ტყუპებმა კარი შემოაღეს, ატყდა ხვევნა-კოცნა. არჩილი გაზეთების ახალ დასტას მაჩვენებს. მალე არველაძეთა უფროსი, მთავარი „კიჭა", ბატონი იუსტინე ვიდეომაგნიტოფონში კასეტას დებს და ოცამდე კაცი ტელევიზორს მივჩერებივართ. „ტრაბზონსფორი" — „ქაისერსფო- [illegible]



[illegible] უგდებს — 3:1. ენით აუწერელ ღრიანცელში მატჩი თავდება, ტყუპებს ფოტორეპორტიორები და გულშემატკივრები ესევიან.

აგერ პირველი წრის უკანასკნელი გასვლითი მატჩი. კისერგაშეშებული შოთა ვერ თამაშობს და მთელი იმედები არჩილზეა. მატჩის მიწურულს მარჯვენა ფრთიდან კეთდება გადაცემა საჯარიმოში და არჩილს თავისი დარტყმით გამარჯვების გოლი გააქვს — 1:0 (ქვედა ფოტოზე). „ტრაბზონსფორს" სტუმრადაც იმდენი ხალხი უჭერს მხარს, რამდენიც შინ. მატჩის დამთავრებისთანავე გულშემატკივრები არჩილს მხრებზე ისვამენ და მიწაზე ფეხის დადგმის საშუალებას არ აძლევენ.

ბოლოს როგორც იქნა მოვიხელთე ტყუპები სასაუბროდ.

**— თუ თურქულ პრესას დავუჯერებთ, თქვენი „ტრაბზონსფორში" მიწვევის იდეა ჩვენს დამაქცევარ თუროლღუს ეკუთვნის.**

შოთა: თუროლღუმ დააინტერესა „ტრაბზონსფორის" ხელმძღვანელობა. შემდეგ როგორც იქნა, მოგვძებნეს და მერაბ ჟორდანიას ჩვენი გადმოსვლის უფლება სთხოვეს. დიდი ფიქრის შემდეგ მერაბმა ნება დაგვრთო მომავალი წლის მაისამდე „ტრაბზონსფორის" მაისურები ჩაგვეცვა. ეს ბუნებრივია იმიტომ კეთდება, რომ თუ უეფამ ნება დაგვრთო ევროპულ ტურნირზე გამოსვლის, ისევ შევიკრიბოთ და „დინამოს" და საქართველოს სახელი არ შევარცხვინოთ.

**— არჩილ, შენ ჩასვლისთანავე მიიღე ტრავმა.**

— პირველივე ამხანაგურ მატჩში ერთ-ერთ დაბალი ლიგის გუნდს ვეთამაშეთ, პირველ ტაიმში მე და შოთამ ორ-ორი გოლი გავიტანეთ. მეორის დასაწყისშივე მცველთან შეჯახებისას მუხლი დავიშავე და თითქმის თვენახევარი არ მითამაშია.

**— პირველი მატჩის შესახებ მოყევით...**

არჩილი: „გაზიანთეფსფორთან" ვიგებდით 1:0, მეტოქემ ანგარიში გაათანაბრა. შოთას ვერა და ვერ წაუვიდა საგოლე დარტყმა, რამდენიმე ნაღდი მომენტი ვერ გამოიყენა. ჩვენს მწვრთნელს, შენელს ვთხოვე, თუ გინდა შოთამ გოლი გაიტანოს, სარბენ ბილიკზე გამიშვი-მეთქი. როგორც იქნა, დამრთო ნება. დავდექი მეტოქის კარს უკან და ღმერთს შევევედრე: „ღმერთო, შენს სახელს ვენაცვალე, შოთას ერთი საგოლე პასი ჩამოუგდე-მეთქი". მართლაც, ღმერთმა ჩემი ხვეწნა ისმინა და შოთამ გოლი შეაგდო. აღარ მახსოვს, სიხარულისგან რას ვაკეთებდი.

შოთა: არჩილის გამოჩენამ მართლაც ფრთები შემასხა და ვგრძნობდი, რომ აუცილებლად გავიტანდი გოლს.

**— თქვენი ბავშვობის მწვრთნელი ჯემალ ჩიმაკაძეც თან გახლდათ ტრაპიზონში...**

არჩილი: „ჯემალ ფაშას" კონსულტაციებსაც კი სთხოვენ. მეორე წრიდან მას ოფიციალურად გააფორმებენ „ტრაბზონსფორში", როგორც მწვრთნელის თანაშემწეს.

**— არჩილი პირველად „ქაისერისთან" მატჩში გამოჩნდა და თითქმის პირველივე შეხება საგოლე პასით დაამთავრა...**

შოთა: დამთავრებას თხუთმეტიოდე წუთი აკლდა, როცა არჩილი სარბენ ბილიკზე დავინახე მეთოთხმეტე ნომრით და ვიგრძენი, რომ ველარავინ გამაჩერებდა. მართლაც, პირველივე შეტევა არჩილის პა- [illegible]

ნდის ოთხი წევრი: აბდულა, ოგუნი, უნალი და დიდი ორხანი ეროვნული ნაკრების წევრები არიან. მთავარი მწვრთნელი შენელი — ორმოცსმიღწეული ახალგაზრდა კაცია. თავის დროზე თურქეთის ნაკრების მეკარე იყო. მიუხედავად მწვრთნელის ამპლუისა, ვთამაშობთ შემტევ ფეხბურთს.

**— თქვენი მონაგარი როგორია?**

არჩილი: შოთამ ხუთი მატჩი ითამაშა და ექვსი გოლი შეაგდო, მე ორჯერ ვითამაშე და ერთი გოლი გავიტანე. გუნდმა შვიდი თამაშიდან ექვსი მოიგო და მხოლოდ ერთხელ წააგო, დააგროვა თვრამეტი ქულა. გარდა ამისა, თურქეთის თასის მეოთხედფინალში ვითამაშეთ და 4:0 მოვუგეთ მეორე ლიგის ერთ-ერთ გუნდს. მე სამი გოლი გავიტანე, შოთამ — ერთი. ასე რომ, ჩვიდმეტი გოლიდან თერთმეტი ჩვენ შევაგდეთ. ყველას სჯერა, რომ ჩვენ ამ სეზონს პირველ ადგილზე დავამთავრებთ.

**— ტელევიზორში თქვენი რამდენიმე თამაში ვნახე და მივხვდი, რა დღეშია მაყურებელი არათუ გოლების, არამედ თქვენი სახელების გაგონებაზეც კი. სტადიონის გარეთ როგორ იქცევიან?**

— (ამ კითხვაზე შოთას მეუღლე თამუნა მელაძე მპასუხობს): ქალაქში ველარ გაგვივლია, ყველა გვცნობს, ერთი სული აქ-



შოთა მორიგი გოლის შემდეგ

ვთ თურქებს, მათ მაღაზიაში შევიდეთ და რამე ვიყიდოთ.

**— ერთმანეთში არ ერევით თურქ ჟურნალისტებს?**

შოთა: ხშირად ყოფილა, როცა ჩემს ფოტოს ქვეშ არჩილი დაუწერიათ და პირიქით. ბოლოს მიეჩვივნენ და გვცნობენ.

**— ჩემს თურქ კოლეგებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

არჩილი: ტრავმა რომ მივიღე, ერთმა ჟურნალისტმა დაწერა, ინვალიდი შემოგვაჩეჩესო. ჩემი თამაშისა და გოლების შემდეგ ის ჟურნალისტი ხვეწნა-მუდარით მომადგა სახლში და იმდენი ბოდიშები გვიხადა, ბოლოსდაბოლოს შემეცოდა და ინტერვიუ მივეცით.

**— ახალ კლუბში ვარჯიშები ხომ არ გიჭირთ?**

არჩილი: მაქსიმუმ საათნახევრიანი ვარჯიშებია. „დინამოში" უფრო დიდი დატვირთვები გვქონდა.

**— თქვენი კონტრაქტი მაისის ბოლოს თავდება. რას აპირებთ შემდეგ?**

შოთა: კლუბის პრეზიდენტმა შენონმა თქვა, რომ როდესაც სეზონი დამთავრდება, მე, არჩილი და შოთა შევალთ ცალკე ოთახში, იქ გვექნება საუბარი მათ მომავალზეო. მისივე სიტყვებით, „მილანი" და „იუვენტუსიც" დაინტერესებულან ჩვენით. თუ „დინამო" 1994 წლის სექტემბერში ევროტურნირებზე დაუშვეს, მყისვე თბილისში დავბრუნდებით.

**— თქვენს მიერ გატანილი გოლების შემდეგ მაყურებლისკენ გარბიხართ და თქვენებურად ესალმებით. ამაზე თურქები სულ გიჟდებიან — ამას სპეციალურად აკეთებთ?**

არჩილი: ეს თავისებური რიტუალია. როგორც შევამჩნიე, თურქები ფეხბურთის დიდი ცოდნით მაინცდამაინც არ გამოირჩევიან. საკმარისია ორი კაცი მოატყუო, ან რაიმე ფინტი გააკეთო და მერე თუნდაც დაგიკარგია ბურთი. მათთვის მთავარი ლამაზი, ეფექტური თამაშია.

**— მეორე წრე როდის გეწყებათ?**

შოთა: ორ იანვარს უკან უნდა გავემგზავროთ. სამში აუცილებლად კლუბში უნდა ვიყოთ. ანატოლიაში მივემგზავრებით შეკრებაზე. სამწუხაროდ, სახლში ჩამოსვლის დიდი სიხარული ჩაგვიშხამდა ჩვენი უფროსი მეგობრების — ზაზა ვეფხვაძისა და გია სვანაძის დაღუპვით...

...სამშობლომონატრებულ კიჭებს „თანამემამულეებმა" „სიურპრიზი" დაახვედრეს: მათი ახალი მე-9 მარკის წითელი ჟიგული უგზოუკვლოდ გამქრალიყო. ასეა, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს.

მამუკა კვარაცხელია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გოგრიჭიანი

## კვიპროსშიც პირველია



გოჩა გოგრიჭიანი მინდორზეც და მის გარეთაც გამოუცნობი კაცია, მცველებმა არ იციან, რა აზრი მოუვა თავში და რას იზამს მათ წინააღმდეგ, ამიტომ მისი დაჭერა უძნელესი საქმეა. ამას ვერც საქართველოში ახერხებდნენ და ვერც რუსეთში, სადაც გოჩა კიდევ უფრო გაიხსნა და პირველი ლიგის ბომბარდირობის შემდეგ ყველაზე მეტი გოლი გაჰქონდა უმაღლესშიც. რუსეთის ჩემპიონატისათვის არნახული შეფასება — 8,5 დაიმსახურა „სპორტ-ექსპრესისაგან" მოსკოვის „დინამოსთან" მატჩის შემდეგ. ასეთი შეფასება გაზეთს არც მანამდე და არც მას შემდეგ მიუნიჭებია ვინმესთვის. 13 გოლით გოჩა საუკეთესო იყო პირველ წრეში ბომბარდირთა შორის. ჩემი რუსი კოლეგები სატელეფონო საუბრისას მეუბნებოდნენ, რომ „ჟემჩუჟინას" ქართველი თავდამსხმელი რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეც გახდებოდა. გოჩათი დაინტერესდნენ ცსკა, „დინამო" მოსკოვი, ბულგარეთის „ლევსკი", გერმანიის „აინტრახტი", მაგრამ გოჩამ კიდევ ერთხელ განაცვიფრა საფეხბურთო სამყარო და... კვიპროსში აღმოჩნდა — ნიქოზიის „ომონიაში".

გოჩას მეც არაერთხელ გავუკვირრებივარ მინდორზე, მაგრამ ჩემი განცვიფრება მაშინ გენახათ, როდესაც სახლში ტელეფონმა დარეკა და ჩემი მოსაუბრე... გოგრიჭიანი აღმოჩნდა!

— თბილისიდან გირეკავ, ნათესავებთან ვარ. დღეს ჩამოვედი. ხვალ დილას ისევ კვიპროსში მივფრინავ. მეგონა აღარავის ვახსოვდი საქართველოში. დეიდაშვილმა შენი ტელეფონი მომცა, ხშირად გკითხულობსო...

**— კვიპროსში ჩემპიონატი დამთავრდა, თუ შენს საქმეზე ჩამოხვედი?**

— კვიპროსში ჩემპიონატი ახლა ხურდება, პირველი წრის თერთმეტი ტური ვითამაშეთ და სამი კიდევ დაგვრჩა. ზამთარი იქ არ არის.

**— რომელ ადგილზეა „ომონია"?**

— მესამე ადგილი გვიკავია მყარად.

**— შენ რამდენი გოლი გაიტანე ამ თერთმეტ თამაშში?**

— ერთი მატჩი ტრავმის გამო გამოვტოვე. ათ თამაშში თორმეტი გოლი გავიტანე და კვიპროსის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ვარ.

**— დათო ყიზილაშვილი რას შვრება?**

— სამწუხაროდ, დათოს ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ ფაქტიურად აღარ უთამაშია, რადგან ორივე საზარდულის ოპერაცია გაიკეთა. საბედნიეროდ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და დათომ უკვე ვარჯიში დაიწყო, მალე გამოვა მოედანზე...

**— სხვა ქართველები როგორ გვყავს?**

— თემურ ქეცბაია კვლავ პირველი კაცია კვიპროსში, კუდინოვი „აპოელშია", რვა იანვარს მის გუნდს ვხვდებით, მეოთხე ადგილზე მიდიან. კახი კაჭარავა და სოსო ჭედია ძალზე სუსტ კლუბში არიან და მხოლოდ მათ ოსტატობას უნდა უმადლოდეს „ოლიმპიაკოსი", უმაღლესი ლიგიდან რომ არ ვარდება.

**— კვიპროსში კლუბებს სამი უცხოელის ყოლის უფლება აქვთ. თქვენთან ვინ არის მესამე?**

— სერბი დუდიჩი. ძალიან კარგი ბიჭია და მე და დათო ვმეგობრობთ მასთან.

**— ახლა ყველაზე მთავარზე მიპასუხე: რუსეთში პირველი კაცი იყავი და რაღა კვიპროსი ამოირჩიე?**

— დღემდე ვერ გავრკვეულვარ, როგორ მოვხვდი კვიპროსში. ათასი კლუბი მეპატიჟებოდა, მაგრამ ჩემთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები „ომონიამ" შემომთავაზა. ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ მათთან გადავსულიყავი. ძირითადად ოჯახის გამო გადავდგი ეს ნაბიჯი. ჩემი ბინა გუდაუთაში დარბეულია, დედა და ძმა თავის ოჯახით ლია ცის ქვეშ იყვნენ. ახლა იმდენი მაქვს, რომ მათაც ვეხმარები და მეც ბრწყინვალედ ვცხოვრობ. ჩემიანები ამჟამად სოჭში იმყოფებიან, ჩემს ბინაში. შენ „ჟემჩუჟინას" მთავარი მწვრთნელის არსენ ნაიდენოვის გაფართოებული თვალები უნდა გენახა ჩემი დანახვისას! გადაირია კაცი სიხარულით. ჩემი სოჭელი მეგობრების იმედი მაქვს, რომ არაფერს გაუჭირვებენ ჩემიანებს.

**— კვიპროსში როგორ პირობებში ცხოვრობ?**

— სიტყვებით ვერ გადმოგცემ. მე პირველ სართულზე ვცხოვრობ, ყიზილაშვილი მეუღლითურთ — მეოთხეზე. ქუჩაში ხომ ველარ გავდივართ, შემოგვეხვევიან და ავტოგრაფებს გვთხოვენ. მეც და დათოსაც „ნისანის" მარკის ერთნაირი მანქანები გვყავს. ვცხოვრობთ უპრობლემოდ და თავისუფალ დროს ნარდს ვთამაშობთ...

**— კვიპროსში რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვს?**

— ეს სეზონი და კიდევ ერთი სეზონი.

**— გავიგე, გოჩა ცოლის მოყვანას აპირებსო.**

— მართალია. სეზონს მოვრჩები და დავქორწინდები. ჩემი საცოლე ზუგდიდელია, ელისო მაქაცარია ჰქვია.

**— ჩვენი ნაცნობობა და პირველი ინტერვიუ 1990 წელს შედგა ეშერაში, სადაც „ცხუმი" მზადებას გადიოდა. მაშინ მითხარი, რომ შენი მიზანი საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურით რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაში იყო. ახლა რას ფიქრობ?**

— ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებს კიდევ გამოადგება ჩემი გამოცდილება. რამდენადაც ვიცი, თებერვალში საქართველოს ნაკრები მალტაშია მიწვეული. ხომ არ იცი, მიმიწვიეს თუ არა?

**— ნაკრების კანდიდატთა სია ჯერ არ გამოქვეყნებულა. იმედია მოგიწვევენ, მითუმეტეს კვიპროსიდან მალტაში გადასვლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.**

— იცი რა ნატვრა მაქვს? ისევ შეგვახვედროს ღმერთმა ეშერაში, თუმცა რაღა ეშერაში, ჩემთან, გუდაუთაში. მაგ იმედით ვცხოვრობ.

**— კი მაგრამ, შესძლებ ისევ აფხაზების მეზობლად ცხოვრებას?**

— არც კი ვიცი, რა გითხრა. მე გუდაუთაში გავიზარდე, ჩემი პირველი მწვრთნელი ვოვა შამბა იყო, აფხაზი კაცი. მე იგი შვილივით მზრდიდა. აფხაზებში ხომ უამრავი მეგობარი მყავს. დედაჩემი რომან ხაგბამ გადამირჩინა და სამშვიდობოს გამოიყვანა. ამ ხალხთან არც ადრე მქონდა გასაყოფი და არც მომავალში მექნება. დასასჯელს კი ღმერთი არ აპატიებს.

მამუკა კვარაცხელია

# პითონი

უცხოეთში მოთამაშე საქართველოს ფეხბურთელთა რაოდენობით კვიპროსი გამოირჩევა. აქ ექვსი ჩვენი ლეგიონერი გამოდის, მათ შორის ყოფილი თბილისის დინამოელი კახა კაჭარავა. იგი ხშირად რეკავს თბილისში. ახლობლების დარდიც აქვს და აფხაზეთზეც შეწუხებული გვესაუბრება. ხან დასავლეთ საქართველოს ამბები აინტერესებს, ხან თბილისში გაჩაღებული მკვლელობებისა და ბათქა-ბუთქისა. ახალი წლის წინა დღეებშიც შეშფოთებულმა დარეკა, ტელევიზიით გადმოსცეს, ამ დილით თბილისში რაღაც შენობა აუფეთქებიათ და ნანგრევებიც გვაჩვენეს, მაგრამ ის კი ველარ გავიგე, რა მოხდა, რა ამბავიაო. კახა კაჭარავას რომ აქაური ამბები აღელვებს, ბუნებრივია, მაგრამ ჩვენ ჩვენი კვიპროსელი ფეხბურთელების ცხოვრებაც გვაინტერესებს. ამიტომ გადავწყვიტეთ კითხვები იქით დაგვესვა.



## რომელიც კონტრაქტს გვაგონებს

**— კახა, თბილისში ასე ხშირად რომ რეკავთ, ეს იაფი არ უნდა იყოს...**

— თვეში 300-400 დოლარის ქვითარი მომდის, მაგრამ ჩემი სატელეფონო საუბრების ხარჯებს გუნდი იხდის. ეს კონტრაქტითაა გათვალისწინებული. ისე კი გაკვირვებულნი არიან და ხშირადხუმრობით გვეკითხებიან, რა ამბავია, ქართველებს ნეტა ამდენი სალაპარაკო რა გაქვთო. თუმცა, ტელევიზიისა და გაზეთების საშუალებით იციან, საქართველოში რა ამბებიცაა და ამიტომაც ჩვენს სატელეფონო „ახირებას" გაგებით ეკიდებიან, მითუმეტეს, რომ აქაც ბერძნებსა და თურქებს შორის კარგახანია, როგორც იტყვიან, შავ კატას გადაურბენია. ოცი წელი ხდება, რაც კვიპროსის ტერიტორიის 37 პროცენტი თურქეთის ძლიერმა არმიამ დაიპყრო.

**— კვიპროსში ყოფილი საბჭოთა კავშირის გუნდებიდანაც ბევრნი თამაშობენ?**

— არა, მხოლოდ ორნი არიან. ერთერთი მათგანი, მოსკოვის ცსკ-ას მოთამაშე გენადი კორკინი ჩემთან და ჭედიასთან ერთად „ოლიმპიაკოსში" გამოდის.

**— ალბათ სხვა ქვეყნებიდანაც იქნებიან ლეგიონერები არა?**

— ბევრნი არიან იუგოსლავიიდან, გერმანიიდან... თითქმის ყველა საფეხბურთო ქვეყნებიდან. გამონაკლისი მხოლოდ იტალიელები არიან.

**— აქ გვაჩვენეს კვიპროსში გადაღებული ფოტო, რომელზეც თქვენ და გია გურული უშველებელი პითონით შემოხვეულნი ხართ ალბეჭდილნი (კაჭარავა ფოტოზე მარჯვნივაა. რედ.). ერთმა ჩვენმა მეგობარმა ხუმრობით თქვა, ეტყობა, კაჭარავას, ქეცბაიასა და სხვებსაც კვიპროსში გაფორმებული კონტრაქტი ამ პითონივით არსად უშვებს და ახრჩობთ, თორემ სხვა ქვეყნებში გადავიდოდნენ სათამაშოდო...**

— ის სურათი კვიპროსში კი არა, პეტერბურგში გადავიღეთ. გურული კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ საფრანგეთში გადავიდა და იქ თამაშობს. თუმცა, ქართველმა გულშემატკივრებმა ეს კარგად იციან და ამიტომ მასზე აღარ ვისაუბრებ. მე და ქეცბაიას კი კონტრაქტის ვადა მაისში გვითავდება და მერე ვნახოთ. ქეცბაიას იტალიაშიც ეპატიჟებიან, საბერძნეთშიც...

**— თქვენ თვითონ რომელ უცხოურ გუნდში ისურვებდით გამოსვლას?**

— რა თქმა უნდა, ყველა ფეხბურთელი უძლიერეს გუნდში თამაშზე ოცნებობს და არც მე ვარ გამონაკლისი. ისე, თუ არჩევანზე მიდგა საქმე, ინგლისის ძლიერ გუნდში გამოვიდოდი.

**— მაისის მერე რას აპირებთ?**

— ჯერ არ გადამიწყვეტია. აქ თბილისის „დინამოს" პრეზიდენტი ჩამოვა და მასთან საუბარში ალბათ ყველაფერი გაირკვევა.

**— კონტრაქტით კმაყოფილი ხართ?**

— თვეში 3000 დოლარს მიხდიან. თითოეულ მოგებულ მატჩზე დამატებით 500 დოლარს პრემიის სახით მაძლევენ. ამას გარდა, ჩემს ყველა საყოფაცხოვრებო ხარჯებსაც გუნდი იხდის. ბინაც კარგი მაქვს. სამსართულიანი სახლის პირველი სართული და ფარეხი მთლიანად მე მიკავია. ამას გარდა, „რენო" ვიყიდე და მისი ღირებულების ნახევარიც გუნდმა გადაიხადა.

**— გავიგეთ, კაჭარავა მანქანას ისე დააქროლებს, მართვის ნებართვა არ აულიაო...**

— მართვის ნებართვას საგზაო პოლიცია მხოლოდ მაშინ ითხოვს, თუ ავარია მოხდება, ასეთი შემთხვევები არც ისე ცოტაა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ კუნძულზე 320 ათასზე მეტი საკუთარი მანქანაა რეგისტრირებული. ბევრი მათგანი კისრისტეხით დაქრის, მაცდურად კი ამ საქმეში მშვენიერი გზები გვევლინება.

**— თქვენს აქ არყოფნაში მანქანების ქურდობა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი რამ გახდა, თუმცა, ახლა აღარც იპარავენ, იარაღით დაგადგებიან თავზე, მანქანიდან გადმოგაბრძანებენ და უყარე კაკალი. მანდ როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ?**

— აქ მანქანის მოპარვა აზრადაც არავის მოსდის. გზებზე უპატრონოდ მიტოვებული „მერსედესებიც" შემხვედრია ტრიალ მარების მოლოდინში.

**— სხვა ჩვენებურები როგორ პირობებში არიან?**

— ყველაზე უკეთ, მე მგონი, ქეცბაია არის. ლარნაკაში, ზღვის პირას, დიდებულ ვილაში მართლაც მეფურად ცხოვრობს. საცურაო აუზიც აქვს. ჭედიაც დაახლოებით იგივე პირობებშია. დანარჩენების საცხოვრებელი პირობები ჩემსას გავს.

**— გამოდის, ის პითონი, კონტრაქტი რომ მოგვაგონა, ლაოკოონის გველივით მახრჩობელა სულაც არ ყოფილა და ამიტომაც იმ მამა-შვილივით სახეზე ტანჯვა კი არა, მხიარულება გაწერიათ, მაგრამ საერთოდ როგორია ცხოვრების დონე კვიპროსში?**

— საკმაოდ მაღალი. კვიპროსელი ბერძნების შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 10000 დოლარს აჭარბებს. სხვათა შორის, ეს სამჯერ მეტია, ვიდრე კვიპროსელ თურქთა თემის წარმომადგენელთა შემოსავალი. სახელმწიფო ფასების მკაცრ კონტროლს ახორციელებს ძირითად პროდუქტებზე — ხორცზე, რძეზე, პურზე, წვენებზე.

**— თქვენ, მგონი პირველი ქართველი ფეხბურთელი ხართ, რომელსაც უცხოეთში შვილი შეეძინა.**

— გოგონა გვყავს, თეა! 11 თვისაა. მეორესაც ველოდებით, ისიც ნიქოზიაში დაიბადება. აქ ყიზილაშვილი და კუდინოვიც ცოლებთან ერთად ცხოვრობენ, დანარჩენი ჩვენი ბიჭები უცოლოები არიან.

**— მანდ ძირითადად ბერძნები ცხოვრობენ. თურქებიც არ არიან ცოტანი. არიან სომხებიც. თქვენ რა ენაზე საუბრობთ?**

— მართალია, ოფიციალური სახელმწიფო ენები ბერძნული და თურქულია, მაგრამ აქ ინგლისურიც პოპულარულია. ეს არც არის საკვირველი. კვიპროსი ხომ ჯერ ასწლეულობით თურქეთის ხელში იყო, მერე 82 წელი ინგლისის კოლონია გახლდათ. ახლაც კუნძულის სამხრეთ ნაწილში ინგლისის ორი მსხვილი სამხედრო ბაზაა. ჩვენც ინგლისურად ვსაუბრობთ. ბერძნულსაც ვამტვრევთ. თუმცა ქეცბაიამ, რომელიც უკვე სამი წელია რაც აქ არის, ბერძნულიც კარგად ისწავლა.

**— როგორი ხალხია კვიპროსელები, თქვენ როგორ გეპყრობიან?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენსავით საშინაო პოლიტიკა ძალიან აწეწილი აქვთ და ეს ამბავი აღელვებთ, მაინც მხიარული ხალხია. კვიპროსი საქართველოსავით ღვინის ქვეყანაა და აქ კარგი ღვინის დალევაც უყვართ. ასზე მეტი ჯიშის ვაზი აქვთ და ღვინის ექსპორტსაც ფართო გზა ეთმობა. მიუხედავად ამისა, ქუჩაში მთვრალს ვერ ნახავთ. რაც შეეხება ჩვენდამი კვიპროსელთა დამოკიდებულებას, ისინი დიდი სიმპათიით გვეპყრობიან. აქ ქართველი ფეხბურთელები პოპულარულები არიან და მათზე დიდი მოთხოვნილებაცაა.

**— რაკი ასეა, „ლინდფილდთან" „დინამოს" თამაშებს კვიპროსელები ალბათ დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს.**

— სამწუხაროდ ეს თამაშები ტელევიზიით არ გადმოუციათ, მაგრამ ისე კვიპროსელები ჩვენ გვგულშემატკივრობდნენ. დინამოელთა ბედმა კვიპროსელებს ჩვენსავით გული დაწყვიტა. მოქრთამვის მცდელობა არავინ დაიჯერა, მითუმეტეს მაშინ, როცა გაიგეს შეხვედრას თურქები სჯიდნენო. ამბობდნენ, თურქებისაგან აბა სხვა რა იყო მოსალოდნელიო და კარგადაც აგინებდნენ.

სხვათა შორის კვიპროსელები ჩვენსავით ხშირად კამათობენ პოლიტიკაზე. ფეხბურთიც კი, რომელიც აქ ძალიან პოპულარულია, წარმოუდგენლად პოლიტიზირებულია. ეს გამოიხატება გუნდების ფორმის ფერშიც, რომელიც წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან ასოცირდება. კიდევ ერთი მაგალითი — ამბობენ, რომ თუ სადმე სოფელში მემარცხენეთა მიმდევარი გუნდი ჩამოყალიბდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სულ რამდენიმე დღეში იქ მემარჯვენეთა გუნდიც შეიქმნებაო.

**— კახა, საუბრის დასასრულს „სარბიელის" სახელით თქვენ და საქართველოს კვიპროსელ ფეხბურთელებს ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!**

— გმადლობთ, „სარბიელის" თანამშრომლებს, მათ მკითხველებს ჩვენც გილოცავთ ახალ წელს.

კახა გაბელაია

# საქართველოდან — ბედის საძებრად

სულ უფრო იზრდება იმ ფეხბურთელთა რიცხვი, რომლებიც ტოვებენ საქართველოს და ბედის საძიებლად საზღვარგარეთ მიემგზავრებიან. შარშან, წლის ბოლოს, ოთარ კორღალიძემ ავსტრიის „კაზინოში" მოსინჯა ძალა, მაგრამ ფორმალური საკითხების მოუგვარებლობის გამო კონტრაქტი არ შედგა. ოთარი ამჯერადაც ავსტრიაში იმყოფება, ვენის „ვიენერ შპორტკლუბში" ცდის ბედს. მისი ახალი გუნდი ტრადიციულ მინი ფეხბურთში იღებს მონაწილეობას. პირველ მატჩში ვენელებმა სწორედ „კაზინო" დაამარცხეს — 6:5 (ერთი გოლი კორღალიძის ანგარიშზე მოდის). თვის ბოლოს გაირკვევა, სად ითამაშებს კორღალიძე.

საახალწლოდ თბილისში ლევან ყიფიანიც იყო ჩამოსული, რომელიც მელორ ბიგვავასთან ერთად ობერლიგის „ფორმაცია ვორმსში" გამოდიოდა. ფინანსური პრობლემების გამო კლუბი გაკოტრდა და ლევანი და მელორი იძულებული შეიქმნენ ახალი კლუბი ეძებნათ. ლევან ყიფიანს სულ რამდენიმე წუთით შევხვდით და მცირე ინფორმაცია მივიღეთ მისგან. მას მტკივანი მუხლი აწუხებდა და ცნობილი თურმანიძის მალამოს უშველია, რომელიც ყოველგვარი საფასურის გარეშე გადასცა მკურნალთა გვარის დღევანდელმა წარმომადგენელმა.

გერმანიაში ობერლიგის „ვაკერ 90"-ში მიემგზავრება „მრეტების" ყოფილი თავდამსხმელი ჯუბა ჩუხუა.

იზრდება შეპეტოვკის ქართული ლეგიონიც: „ტემპში" გასასინჯად გაემგზავრნენ ოჩამჩირის „ამირანის" ყოფილი მეკარე გია ბაბუაძე და მცველი ვალტერ გუჩუა. მიხეილ ჯიშკარიანი უკვე კვირაზე მეტია ვარჯიშობს კიევის „დინამოში". ამ კლუბის საბაზო გუნდში, ბელაია ცერკოვის „დინამო-2"-ში გაემგზავრა ჭიათურის „მაღაროელის" მცველი გოჩა თამაზაშვილი.

# ქართული «შევარდნიდან» – რუსულში



გიორგი ძნელაძე

გიორგი ძნელაძე, ანუ „კაუჩუკა", როგორც მას ყველა იცნობს, 1968 წელს დაიბადა, 35-ე სკოლაში ეზიარა ფეხბურთს ოთარ კინწურაშვილთან და თენგიზ კუბლაშვილთან. მისი საფეხბურთო კარიერა თბილისის „შევარდენში" დაიწყო, შემდეგ იგი „გურიაში" გამოდიოდა, მერე მოსკოვის ცსკა-2-ში. ეროვნული ჩემპიონატი რომ დაიწყო, ისევ თბილისის „შევარდენს" დაუბრუნდა და პირველ ჩემპიონატში 31 მატჩი ითამაშა. მეორე ჩემპიონატი გურჯაანში გაატარა და შემდეგ სამარის (ყოფილი კუიბიშევის) „კრილია სოვეტოვში" გადავიდა. მეორე წელია, იგი რუსეთის ჩემპიონატში გამოდის.

**— გიორგი, წელს „კრილია სოვეტოვი" ძლივს გადაურჩა უმაღლესი ლიგის დატოვებას. რა იყო ამის მიზეზი?**

— ვერაფერს გეტყვი. საქმე იმაშია, რომ პირველი წრის მერე მე სარატოვში გადავედი, ამ ქალაქის გუნდი — „სოკოლი" რუსეთის ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოდის, ცენტრალურ ზონაში.

**— შუა სეზონში კლუბიდან კლუბში გადასვლა ერთობ უჩვეულო მოვლენაა. ეტყობა რაღაც სერიოზული მოხდა.**

— ჩემპიონატი „კრილია სოვეტოვში" დავიწყე და სამი მატჩიც ვითამაშე. 14 აპრილს მოულოდნელი დეპეშა მომივიდა სახლიდან: მამაჩემი დაიღუპა ტრაგიკულად. მე წამსვე თბილისში ჩამოვფრინდი. მამის ორმოცამდე აქ ვიყავი, რა დღეში ვიქნებოდი, ადვილი წარმოსადგენია. სამარაში პირველი წრის ბოლოს ჩავედი, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი, რომ ფორმაში არ ვიყავი, თვენახევრის უვარჯიშებლობამ თავისი ჰქნა, რვა კილო მქონდა მომატებული. ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელის ვიქტორ ანტიხოვიჩის რჩევით სარატოვის „სოკოლში" გადავედი და ამ გუნდთან ერთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი.

**— ესე იგი მეორე წრე პირველ ლიგაში გაატარე?**

— ოცდახუთი მატჩი ვითამაშე სარატოვში, ერთი გოლიც შევაგდე. ჩვენი გუნდი მეოთხე ადგილზე გავიდა ცენტრალურ ზონაში, სადაც ტოლიატის „ლადამ" ყველას აჯობა და გადასასვლელ ტურნირში მოიპოვა კიდეც უმაღლესი ლიგის საგზური. ჰოდა, ჩემი ერთადერთი გოლიც სწორედ „ლადას" გავუტანე. „ლადას" ჩვენთან შეხვედრის ყველაზე მეტად ეშინოდა, მაგრამ წაუვიდა თამაში და 4:0 გვიგებდა. უცებ „გავგიჟდით" და ორი გოლი გავუტანეთ, მალე მეც შევაგდე მესამე, ის იყო თამაში უნდა მოგვეტრიალებინა, რომ მეხუთე გოლი შეგვიგდეს. ჩვენ ერთი გოლის გატანაღა მოვახერხეთ და 5:4 დავმარცხდით. „ლადას" წარმატების საწინდარი უპირველესად ფინანსური ძლიერებაა.

**— რუსეთში ტრადიციად დამკვიდრდა: სეზონის ბოლოს კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებს უცხოეთში დასასვენებლად უშვებს, „სოკოლის" ხელმძღვანელობა როგორ მოიქცა?**

— ჩვენ ამერიკში გაგვიშვეს, ნიუ-იორკში, ვაშინგტონსა და ატლანტაში ვიყავით ორი კვირით.

**— სარატოვში როდის მიემგზავრები?**

— 10 იანვარს იქ უნდა ვიყო. დიდი დატვირთვები გვექნება, მზადებას ჩრდილოეთკავკასიაში ვიწყებთ ხოლმე. დადგება მწვრთნელი რომელიმე გორაკის თავზე, დაიქირავებს მოტოციკლისტს, რომელიც უკან მოგვყვება. მთის წვერომდე სამი კილომეტრია ხოლმე, კარგი ბიჭი ხარ და გუნდს ჩამორჩი...

**— იმედია, მარტო სირბილით არ შემოიფარგლება თქვენი ვარჯიშები.**

— შენ წარმოიდგინე, მოსამზადებელ პერიოდში... ჰოკეის ვთამაშობთ. მე ციგურებზე დგომა მიჭირს და ამიტომ კარში ვდგავარ. ჩვენი გუნდიდან ოთხი-ხუთი ბიჭი ბობროვივით იყო: დღეს რომ ფეხბურთს ითამაშებდა, ხვალ ჰოკეის თამაშობდა. მე კარში მეკარის ყვანჯის გარეშე ვდგავარ...

**— საქართველოში ცენტრალურ მცველად თამაშობდი. რუსეთში ამპლუა ხომ არ შეგიცვლია?**

— იქაც თავისუფალ მცველად ვთამაშობ.

**— ქართველების წინააღმდეგ თამაშიც მოგიწევდა, როგორ არიან ჩვენი ბიჭები?**

— გოგრიჭიანით მინდა დავიწყო. ჩვენ „ქემჩუჟინამ" 3:1 მოგვიგო, სამივე გოლი გოჩამ გაგვიტანა. პირველი წრე დამთავრებულიც არ იყო, როდესაც გოჩა ცამეტი გატანილი ბურთით ლიდერობდა. ჩემპიონატის ბომბარდირმა პანჩენკომ 21 გოლი გაიტანა, გოჩა ოცდაათს შეაგდებდა და მისი ბადალი ფეხბურთელი რუსეთში არ იქნებოდა, მაგრამ მან დღევანდელი კვერცხი არჩია. ომარ თეთრაძე ხომ ყველას სჯობია მოსკოვის „დინამოში". ბადრი სპანდერაშვილთან ერთად „ალაზანში" ვთამაშობდი. იგი ჯერ სტავროპოლის „დინამოში" თამაშობდა, შემდეგ „როსტსელმაშში" და წამყვანი მოთამაშე იყო, ამასწინათ „ესპანიოლში" იყო გასინჯვაზე, მაგრამ არ დაიტოვეს. კიდევ ერთი ჩემი გურჯაანელი თანაგუნდელი — ივანე კობახიძე ახლა კრასნოდარის „ყუბანშია". გურამ ჩქარეული თუ გახსოვს — ვლადიკავკაზის „ავტოდორში" პირველი კაცია, გუნდის ლიდერი და ლამის მთავარი მწვრთნელია, უგოლოდ არ გადის. ამავე გუნდში თამაშობდა კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე ოლეგ სვინაძე. მეკარე ზურაბ სანაია წარმატებით გამოდის სტავროპოლის „დინამოში". „კრილია სოვეტოვში" ჩემს გვერდით თამაშობდა ცხრამეტი წლის ზურაბ წიკლაური — ძალზე პერსპექტიული თავდამსხმელი. სამარელია, თუმცა ქართული კარგად იცის.

**— რითი განსხვავდება რუსული ფეხბურთი ქართულისგან?**

— პირველ რიგში დაფინანსებით. რუსეთის გუნდებს დიდი ფული აქვთ. „სპარტაკის" შემდეგ მე „როტორს" დავაყენებდი, შემდეგ მოსკოვის „დინამოს".

**— ქართველები რუსეთის გუნდებში ყველგან ლიდერებად გევლინებიან. ეს კანონზომიერებაა თუ შემთხვევითობა?**

— კანონზომიერება. ის კი არა, კიდევ რამდენიმე ათეული ქართველი ფეხბურთელი თავისუფლად ითამაშებდა რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

**— კაუჩუკას რატომ გეძახიან?**

— პირველ კლასში ვიყავი, რომ შემარქვეს. ისე მივეჩვიე, გიორგი რომ დამიძახონ, შეიძლება არც კი მივიხედო.

**— რუსეთს ისე შეეჩვიე, გეტყობა კარგა ხანს არ ჩამოხვალ საქართველოში...**

— მე მართლაც მივეჩვიე იქაურ ფეხბურთსაც და ცხოვრებასაც. თუ გუნდში აგიყვანეს, ჩათვალე, რომ უზრუნველყოფილი იქნები.

მამუკა კვანტალიანი

გიორგი ხურცილავა კარგა ხანია არ გამოჩენილა მწვანე მინდორზე. უკანასკნელად მან 5 სექტემბერს ითამაშა თელავში „კახეთთან" და მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის გააძევეს. გოგა 17 წლისა უკვე „დინამოს" დუბლშემადგენლობის მოთამაშე და სსრკ ჭაბუკთა ნაკრების წევრი იყო. ეროვნული ჩემპიონატის დაწყების შემდეგ კი ერთ სეზონზე მეტი არცერთ ჯგუფში არ გაჩერებულა (I ჩემპიონატი — „გურია" 4 მატჩი; II — სტუ; III — „მრეტები" 29 მატჩი, 9 გოლი; IV — „შევარდენი" 19 მატჩი, 7 გოლი), იყო საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებშიც. გოგა შემთხვევით ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში ვნახე, მინი-ფეხბურთის სათამაშოდ იყო მისული.

# ძნელია ხურცილავობა



გიორგი ხურცილავა

**— გოგა, რას აპირებ?**

— დიდ საქმეებს. იანვრის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში მივემგზავრები სასწავლებლად. ენესის შტატის ქალაქ ნეშვილის კოლეჯში მენეჯმენტს შევისწავლი.

**— მერე ეგ ყველაფერი ფეხბურთთან რა კავშირშია?**

— კოლეჯის ხელმძღვანელობასთან უკვე მქონდა წინასწარი მოლაპარაკება. კოლეჯის ფეხბურთის ნაკრებში გამსინჯავენ. ნაკრები აშშ-ს უმაღლესი სასწავლებლების ჩემპიონატში თამაშობს.

**— ესე იგი, პირველი ქართველი იქნები, ვინც ამერიკის სტუდენტთა ჩემპიონატში ითამაშებ?**

— არა, ჩემამდე ერთი თბილისელი ბიჭი, ლევან სეფერთელაძე წასულა ფლორიდაში. ლევანი თურმე ისევე თამაშობდა, როგორც ყველა თბილისელი ბიჭი, მაგრამ მოსწონებიათ, კოლეჯის ნაკრებში ჩაურიცხავთ და სწავლის ქირასაც არ ახდევინებენ.

**— შენზე აქაც დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ვერა და ვერ გაიხსენი...**

— ვერ წარმოიდგენ, რა ძნელია იყო მურთაზ ხურცილავას შვილი. ჩემგან ყველა სასწაულს ელოდება და ეს ძალიან მძლუდავს. მამაჩემის სახელი მძიმე ტვირთად მაწევს.

**— მამაშენი შენ ნიჭიერად გთვლის, მაგრამ ამბობს, რომ ფეხბურთის ფანატიკური სიყვარული არა გაქვს.**

— მართალი უთქვამს.

**— ამერიკაში რა „ბაგაჟით" მიდიხარ?**

— ინგლისური კარგად ვიცი. გარდა ამისა სწრაფი სწავლების მენეჯერთა ორთვიან სკოლას დავამთავრებ.

**— თუ ფეხბურთში იქაც არ გაგიმართლა?**

— მინი-ფეხბურთს ვითამაშებ. ამერიკაში, ხომ იცი, ქვის სროლაც რომ იცოდე, იმასაც გამოიყენებ.

მამუკა კვანტალიანი

# «ზენიტიდან ფეხს არ მოვიცვლი...»



იური ოყროშიძე

სანქტ-პეტერბურგის „ზენიტი" კარგა ხანია რუსეთის ფეხბურთის ლიდერთა რიგებში აღარ იმყოფება: წელს გუნდს ორი ქულა დააკლდა რუსეთის უმაღლესი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად.

გაზეთ „ფუტბოლნი კურიერის" პეტერბურგელი ჟურნალისტის, ბორის ხოდოროვსკის მეშვეობით „ზენიტის" ბაზის ადგილსამყოფელი დავადგინე და პეტერბურგის გარეუბან უდელნაიაში ფეხით შევუყევი ტყეში გაჭრილ გზას. შესვლისთანავე იქვე მდგარ ორ რუს ფეხბურთელს შევეკითხე, იური ოყროშიძეს ხომ ვერ მაჩვენებთ-მეთქი. „აგერ ეს არისო" — მიმითითა ერთმა მეორეზე. დიდხანს ვუყურე რუსული იერსახის ქართულგვარიან მეკარეს და ინტერვიუ ვთხოვე.

იქაური პრესიდან შევიტყვე, რომ ოყროშიძე პირველი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ყოფილა, მაგრამ პირველად მაინც ის კითხვა დავუსვი, ფეხბურთში ღრმად ჩახედულ ყველა ქართველ გულშემატკივარს რომ აწუხებდა 1986 წლიდან, როდესაც სსრკ ახალგაზრდული ნაკრები, რომლის კარსაც წარმატებით იცავდა იური ოყროშიძე, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა კანადაში.

**— იური, მოდი ერთხელ და სამუდამოდ გამოვარკვიოთ შენი ქართველობის ამბავი.**

— მამაჩემი ალექსანდრე შალვას ძე ოყროშიძე ლუგანსკში დაიბადა, მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად. დედა კი ქუთაისელი რუსია. მე კი ლენინგრადში დავიბადე, მაშინ ჩვენები უკვე აქ ცხოვრობდნენ. ქართულად ვერ ვლაპარაკობ, სამწუხაროდ.

**— შენი საანკეტო მონაცემები გაგვაცანი.**

— დავიბადე 1970 წლის 23 აგვისტოს, სიმაღლე 185 სმ, სათამაშო წონა — 77 კგ. მყავს მეუღლე და ოთხი წლის გოგონა ალიონა.

**— ფეხბურთზე როდის მიხვედი?**

— ოთხმოცდაოთხ თუ ოთხმოცდახუთ წელში. თავიდან თავდასხმაში ვთამაშობდი, შემდეგ ჩემი ნებით კარში ჩავდექი. მას შემდეგ მეკარე ვარ.

**— 1986 წელს სსრკ ჭაბუკთა ნაკრები, რომლის კარსაც შენ იცავდი, კანადაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.**

— ზოგიერთი თამაში ახლაც თვალწინ მიდგას: ჯგუფურ ტურნირში ორი თამაში მოვიგეთ, ნიგერიასთან ფრედ ვითამაშეთ 1:1 და მეოთხედფინალში ფრანგებს ვძლიეთ 3:2. ნახევარფინალში იოლად მოვუგეთ მეტოქეს, ოღონდ აღარ მახსოვს რომელი გუნდი იყო. ფინალში ისევ ნიგერია შეგვხდა. ისევ 1:1 დამთავრდა მატჩი. პენალტების სერიაში მე ერთი პენალტი მოვიგერიე, ერთიც მეტოქემ ააცილა და გავიმარჯვეთ.

**— შემდეგ ვერაფრით მოიკიდე ფეხი „ზენიტის" ძირითად შემადგენლობაში...**

— როგორ მოვიკიდებდი, როცა კარში ბირიუკოვი იდგა, მეორე მეკარე კი მანანნიკოვი იყო. როდესაც ბირიუკოვი ფინეთში წავიდა, ხოლო მანანნიკოვი — როსტოვში, მაშინ კი დავმკვიდრდი ძირითადში. წელს მწვრთნელმა მელნიკოვმა ახალგაზრდული გუნდი შექმნა, თითქმის ყველა 72-74 წლიანები არიან.

**— „ზენიტს" უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად წელს ორად-ორი ქულა დააკლდა.**

— ეს სეზონი ცუდად დავიწყეთ: მეხუთე-მეექვსე ადგილზე მივდიოდით. მეორე წრეში კი მწვრთნელის ძალისხმევით ვირწმუნეთ ჩვენი ძალების და რომ არა მოკლე სათადარიგოთა სკამი, ტოლიატის „ლადასაც" ჩამოვიტოვებდით და უმაღლეს ლიგაშიც ამოვყოფდით თავს.

**— იმედია, უმაღლესზე ფიქრი მომავალი სეზონისთვის გადადე...**

— ძალიან პერსპექტიული გუნდი გვყავს, მომავალ წელს უთუოდ გადავალთ უმაღლეს ლიგაში, თუ კვლავ უსახსრობამ არ შეგვიშალა ხელი. „ზენიტში" თითქმის ყველა პეტერბურგელია, ქალაქის მამები კი არ გვწყალობდნენ. ახლა, როგორც გავიგე, მერია დახმარებას დაგვპირებია. ცოდვაა ამ გუნდის დაშლა. ბიჭებმა ერთმანეთს სიტყვა მივეცით, რომ „ზენიტიდან" ფეხს არ მოვიცვლით, თუ, რა თქმა უნდა, აუტანელი ფინანსური პირობები არ იქნება.

**— შენი საფეხბურთო ოცნება ალბათ რუსეთის უმაღლესი ლიგით არ შემოიფარგლება...**

— ვოცნებობ უეფას ტურნირებზე გამოვიდე და ისეთივე სახელი მოვიხვეჭო, როგორც ჩემმა კერპმა შუმახერმა.

**— ფეხბურთის გარდა სპორტის რა სახეობა გიზიდავს?**

— ხუთი წელი ჩოგბურთს ვთამაშობდი და ახლაც სიამოვნებით გავკრავ ხოლმე ჩოგანს ბურთს. ამ ბოლო დროს აიკიდომ გამიტაცა. სამწუხაროდ, დრო არ მრჩება სავარჯიშოდ და მხოლოდ ცქერით შემოვიფარგლები. ბიძაჩემი სიმონ ოყროშიძე პეტერბურგში აიკიდოს ერთ-ერთი კლუბის სპონსორია.

**— საქართველოში თუ ხარ ნამყოფი?**

— ბავშვობაში ხშირად ჩავდიოდით ხოლმე ქუთაისსა და წყალტუბოში ბაბუასთან, ბებიასთან, დეიდასთან და სხვა ნათესავებთან. ახლა თითქმის ყველანი წამოვიდნენ საქართველოდან, ლუგანსკში გადასახლდნენ. ომმა, შიმშილმა და გაჭირვებამ თავისი ჰქნა, თორემ განა საქართველოში დაბადებული კაცი, რა ჯურისაც არ უნდა იყოს, მიატოვებს ამ მშვენიერ კუთხეს?

**— ოთხმოცდაშვიდ წელს ერთი ამბავი ატყდა საქართველოში შენს გამო: ქართველია და „დინამოში" გადმოვიყვანოთო...**

— მაშინ „დინამოს" ლენინგრადელი გერმან ზონინი წვრთნიდა და მართლაც შემომთავაზეს თბილისში გადასვლა, მაგრამ უარი განვუცხადე, რადგან მე ლენინგრადში დავიბადე, ეს ჩემი ქალაქია და აქედან არსად წასვლას არ ვაპირებ.

**— შენი წინაპრების სამშობლო ახლა დიდ განსაცდელშია. თუ ფიქრობ მასზე?**

— ბევრი მიფიქრია მაგაზე. მე ვინ მკითხავს, მაგრამ თუ მზად არ იყავით, არ უნდა გამოყოფოდით რუსებს. მერე თუ გამოყოფა გინდოდათ, განა ჭკვიანურად არ შეიძლებოდა ამის გაკეთება? მე მჯერა, რომ საქართველო ისევ აყვავებული საკურორტო ქვეყანა იქნება. გულდასაწყვეტი ისაა, ამდენი ხალხი რომ შეეწირა ომებს.

...გამომშვიდობებისას იურის აკაკი წერეთლის მინიატურული წიგნი ვაჩუქე. გაუხარდა, მამაჩემს მივუტან, ძალიან გაიხარებსო...

მამუკა კვარაცხელია,
სანქტ-პეტერბურგი

# ბულგარეთი ზღაპრული ქვეყანაა

ქართული ტრანსფერი ბულგარეთსაც გადაწვდა. რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდნენ ბულგარეთის ქალაქ კაზანლიკში ქართველი ფეხბურთელები: დავით ნეფარიძე, გიორგი ლოლუა, თემურ ყიფიანი და ენრიკო ბერიშვილი. კაზანლიკის „როზავაია დალინას" სათავეში „არმაზი 90"-ის ყოფილი მწვრთნელი ბორის დუდაური ედგა. ეს გუნდი ბულგარეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში გამოდის და აუტსაიდერთა რიგებშია. უფრო დაწვრილებით ინფორმაციას კი დავით ნეფარიძე მოგაწვდით:

— ბულგარეთში ივნისის შუა რიცხვებში ჩავედით. ქალაქი კაზანლიკი ულამაზესია ბულგარეთში. გუნდის სპონსორმა, სლივენელმა მილიონერმა ივანოვმა brწყინვალე პირობები შეგვიქმნა. ბულგარეთში ასეა, თუ ფეხბურთელი გქვია, უზრუნველყოფილი უნდა იყო, იქ არ არის საშუალო და ღარიბი გუნდები, ყველა ფეხბურთელი კარგად ცხოვრობს. ივანოვი ბორის დუდაურის ახლო მეგობარი იყო და სწორედ ამიტომ იკისრა გუნდის სპონსორობა. ვითამაშეთ უამრავი ამხანაგური მატჩი. ჩემპიონატის პირველივე მატჩში კი



დავით ნეფარიძე

2:1 მოვიგეთ. გუნდის ხელმძღვანელობამ დადებითად შეაფასა ჩვენი გამოსვლა. მაგრამ მოულოდნელად ჩვენი სპონსორი გვერდზე განგვიდგა, რადგან მისმა თანამოქალაქეებმა ობსტრუქცია მოუწყვეს: ჩვენი ქალაქის, სლივენის გუნდს რატომ არ ეხმარებაო. ფინანსური სიძნელეების გამო გუნდიდან წამყვანი მოთამაშეები წავიდნენ, გუნდი დატოვეს მწვრთნელმა დუდაურმა, ყიფიანმაც და ბერიშვილმაც. მხოლოდ მე და ლოლუა შემოვრჩით, დანარჩენები 14-15 წლის ბიჭები იყვნენ, პირდაპირ სკოლის მერხიდან წამოკრებილი. მიუხედავად ამისა, 18 ქულა მაინც დავაგროვეთ. გუნდის ინტერესებისათვის ერთხელ უკანა მცველადაც კი ვითამაშე. ახლა პირველი წრე დამთავრდა, ჩვენი გუნდი ბოლო, მეთექვსმეტე ადგილზეა, თუმცა მერვე ადგილზე მყოფი გუნდი მხოლოდ ოთხი ქულით გვისწრებს. ამასობაში მე და ლოლუას უმაღლესი დივიზიონის კლუბმა, სტარა ზაგორას „ბეროემ" შემოგვთავაზა მათთან თამაში. ყველაფერი იანვარში გაირკვევა და მეც დაუყონებლივ მოგაწვდით ინფორმაციას.

**P.S.** მასალა დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც დავით ნეფარიძეს „სლივენიდან" ოფიციალური მოწვევა მოუვიდა, ბორის დუდაური კი იმავე გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშნეს.

# ფეხბურთის



# რუკასთან

ეგვიპტის კლუბებმა შარშანდელ აფრიკულ შეჯიბრებებში დუბლი შეიძლეს. კაიროს „ზამალექი" კუმაზეს (განა) „აშანტი კოტოკოს" ჯობნით ხომ დაეუფლა ჩემპიონთა თასს, ეგვიპტის დედაქალაქის მეორე კლუბმა „ალ-აჰლიმ" მანამდე სპილოს ძვლის ნაპირის „აფრიკა სპორტი" დაამარცხა თასების მფლობელთა თასის მოსაპოვებლად გამართული ფინალური მატჩის ჯამში. აბიჯონში პირველი შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა, ქაიროს ეროვნულ სტადიონზე კი „ალ-აჰლმა" აბდულ აბდულ რახმათის მიერ შეგდებული პენალტის წყალობით გაიმარჯვა, რომელიც ხოსან ჰასანის წაქცევისათვის დაინიშნა, მაგრამ ზანგი სტუმრები ამას არ შეეპუენ, მსაჯს ეცნენ და თამაშიც ხუთი წუთით შეფერხდა. საბოლოოდ თასი ეგვიპტელთა მეკარემ აჰმედ შუბერმა ასწია. მესამე შეჯიბრი — აფრიკის კონფედერაციის თასი მოიგო სპილოს ძვლის ნაპირის „სტელა აბიჟონმა", რომელმაც ტანზანიის „სიმბა სპორტ კლაბს" აჯობა. მერე მოხდა საგულისხმო რამ: აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ, რომლის ბინაც ქაიროშია, განისა და სპილოს ძვლის ნაპირის კლუბებს აუკრძალა 1994 წლის ტურნირებში თამაში იმ საბაბით, რომ „აშანტი კოტოკო" — „ასეკ აბიჟონის" შეხვედრამ 25 გულშემატკივარი იმსხვერპლა. ამაზე ჟურნალ „აფრიკან სოკერის" რედაქტორს ემანუელ მანადასს უთქვამს, „აფრიკელებმა ცივილიზებული ქცევა უნდა ვისწავლოთო". განის სხვა კლუბები გაჯავრებულან, „აშანტი კოტოკოს" გამო ჩვენ რად უნდა ვიზარალოთო — თასებზე უთამაშებლად სპონსორებს ვკარგავთო. ერთი სიტყვით, თუ აკრძალვა არ გაუქმდა, წელს ეგვიპტის კლუბები კიდევ უფრო გაპარპაშდებიან.

სამხრეთ აფრიკის უპირველესმა კლუბმა „კაიზერ ჩიფსმა", რომელმაც შარშან საშინაო დუბლი გააკეთა, წელს კი პირველად ბოლო 20 წლის მანძილზე უჯილდოოდ დარჩა და ლიგაშიც VI ადგილს დასჯერდა, მოხსნა ინგლისელი მწვრთნელი ჯეფ ჰადსონი და მის ნაცვლად დანიშნა ფრანგი ფილიპ ტრუსიე, რომელიც მანამდე სპილოს ძვლის ნაპირის ნაკრებს ავარჯიშებდა. სხვათაშორის, ქვეყანაში, სადაც 27 აპრილის პირველი არარასისტული არჩევნების წინა ორომტრიალია, რასობრივი სტატუსკვოს დასარღვევად თეთრთა და ზანგთა ბანაკები ცდას არ აკლებენ. თეთრები ყველა ხერხით ცდილობენ უცხოეთიდან მიიზიდონ თეთრკანიანი, ოღონდ კვალიფიციური მუშახელი, ზანგები კი თურმე საფეხბურთო ყალთაბანდობას ეწევიან. მართალია, კლუბებს ხუთი უცხოელის ყოლისა და სამი მათგანის თამაშების ნება აქვთ დართული, მაგრამ ისინი ამას არ სჯერდებიან და არალეგალურ იმიგრანტებს ყალბ საბუთებს უფორმებენ. დიდი გასავალი ჰქონიათ ლიბერიელებს. ბლუმფონტეინის „სელტიკს" ლიბერიელი ფრაიდი („პარასკევა") რობერტსი ვილიამსად გაუსაღებია და ორი წელი უთამაშებია, მეკარე ენტონი ტოდბერი კი, ასევე გადაკეთებული გვარით, დურბანის „ჩეთვორს რეინჯერზს" გამოუყვანია თასის ნახევარფინალში „ვიტბანკ ესისზის" წინააღმდეგ და კიდეც გაუმარჯვნია, მაგრამ მერე და მერე წაგება მისჯია. იმიგრაციის სამსახურში მოკალათებული თეთრები თურმე არ თვლემენ: გვარგამოცვლილ ლიბერიელ ზანგებს ამხელენ და რესპუბლიკიდან აძევებენ.

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, უფლისწულ ჩიჩიბუს სტადიონზე, 1 იანვარს „იმპერატორის თასისათვის" „იოკოჰამა ფლუგელზმა" დამატებით დროში ოთხი გოლი გაუტანა „კაშიმა ანტლერსს" და 6:2 მოუგო. თამაში, ეტყობა, „ჯეი-ლიგის" წესებით არ გამართულა, თორემ „უეცარი სიკვდილის" პრინციპის თანახმად პირველივე დამატებითი გოლის შეგდებისთანავე შეწყდებოდა. რაც შეეხება ლიგის საშემოდგომო ჩემპიონატს, იგი მოიგო „ვერდი კავასაკიმ", რომელიც წელს ტოკიოში გადაბარგდება.



ერიხ რიბეკი „ბაიერნში" ფრანც ბეკენბაუერმა შეცვალა

ბრაზილიაში პირველობა დეკემბერში დასრულდა. იქაური დებულებით პირველობისათვის ელიტარული ლიგის 6 ლიდერი და ქვედა ლიგების ორი მოწინავე ეჯიბრებოდა ერთმანეთს. შეიქმნა ორი ნახევარფინალური ჯგუფი, რომლებშიც თითო წრე გაიმართა, რის წყალობითაც ერთში სენსაციაც მოხდა: ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის ქალაქ სალვადორის „ვიტორიამ", რომელიც ლიგიდან ალზევებულიყო, შინ მოუგო „კორინთიანსსა" და „სანტოსს", მერე კი „ფლამენგოსთან" ფრე გაახერხა და გავიდა ფინალში, სადაც სან-პაულუს „პალმეირასს" ველარ მოერია. „პალმეირასმა" საქმე ფაქტიურად პირველსავე წრეში მოითავა, როცა სტუმრად, „ფუენტა ნოვაზე", 100 ათასი ქომაგის თვალწინ ედულსონის მიერ 77-ე წუთზე შეგდებული ერთადერთი ბურთით გაიმარჯვა, კვირის თავზე კი შინ 2:0 მოიგო. მერე გამოხდა ათი დღე და ნაშობავებს პელე დაინიშნა სან-პაულუს „სანტოსის" დირექტორად. პელეს თავის დროზე 17 წელი გაუტარებია „სანტოსში", რომელსაც დღესდღეობით ორი მილიონი დოლარი აწევს, ჩემპიონობა კი 1984 წლის მერე ველარ მოუგია. პელეს უბრძანებია, ორი წელი გვადროვეთ და მერე ჩვენ ვიცითო და მწვრთნელად დაუტოვებია თეო პეპე, ვის მხარდამხარაც 12 სეზონი უთამაშია.

გერმანიაშიც დიდი ფეხბურთელი ჩაუდგა სათავეში სახელმოხვეჭილ გუნდს. ფრანც ბეკენბაუერი, ვინაც ერთადერთია, ვისაც მსოფლიო ჩემპიონობა კაპიტნადაც და მწვრთნელად მოუპოვებია, დაინიშნა მშობლიური კლუბის — მიუნხენის „ბაიერნის" მწვრთნელად. კაიზერ ფრანცმა ბავარიის კლუბს 1974-76 წლებში ზედიზედ სამჯერ მოაგებინა ევროპის ჩემპიონთა თასი. გარდა ამისა, მისი წინამძღოლობით „ბაიერნი" დაუფლებია თასების მფლობელთა თასს, საკონტინენტთაშორისო თასსა და რვა საშინაო ტიტულს. თუ „ბაიერნის" მწვრთნელ ერიხ რიბეკის შესაძლო გადადგომაზე გაზეთები კარგა ხანია წერდნენ, ბეკენბაუერის დანიშვნა მოულოდნელი იყო, რადგანაც ორი წლის წინ ფრანცი მარსელში ვერ შეეწყო ტაპის და დაიფიცა, კლუბის მწვრთნელობას აღარასოდეს ვეცდებიო.

ინგლისში საზოგადოება ააფორიაქა უბედურმა შემთხვევამ, რომელიც 24 ნოემბერს „ვაით ჰართ ლეინზე" „ტოტენჰემ" — „უიმბლდონის" თამაშში მოხდა. ნიგერიელმა ჯონ ფაშანუმ კუთხურიდან მოწოდებული ბურთისათვის ახტომისას თვალში იდაყვი უთავაზა „ტოტენჰემის" მცველ გარი მაბუტს, ყვრიმალი ჩაუმტვრია და ლამის იყო დააბრმავა. ინციდენტი მრავალგზის უჩვენეს ტელევიზიით და „მშრომელთა წერილებმაც" არ დააყოვნეს, რის საპასუხოდაც ფეხბურთის ასოციაციამ შექმნა კომისია, რომელმაც ოთხნახევარი საათი იმსჯელა, მაგრამ ფაშანუს ქმედებაში კრიმინალს ჯერ ვერ მიაგნო. სამაგიეროდ, საბრალო მაბუტს, ვისაც ინგლისის ნაკრებში 16-ჯერ უთამაშნია, შვიდი მოტეხილობის გასაბათილებლად კი ლითონის ფირფიტა ჩაუდგეს, საახალწლოდ დედოფალმა ელისაბედმა საპატიო რაინდობა უბოძა. მაბუტი მართლაც ვაჟკაცი ყოფილა, რადგან არც სასამართლოში ჩივილს აპირებს და თან თურმე დიდი ხანია, რაც დიაბეტსაც უძალიანდება და ფეხბურთს თავს არ ანებებს.

პორტუგალიაში ლისაბონის „ბენფიკას" პრეზიდენტმა ჟორჟ დებრიტიუმ ხალხს აღუთქვა, რომ აუცილებლად გადადგება. კლუბს 28 მილიონი დოლარი დავალიანება აქვს, მისი დირექტორატისა და ჟურნალისტთა უკანასკნელი შეხვედრა კი, რომელიც სტადიონზე გაიმართა, მუშტი-კრივით დასრულდა. აყალმაყალი იყო პორტუშიც, სადაც „ბოავიშტა" — „პორტუს" საშობაო თამაშის (1:1) ბოლო 15 წუთში მოედნიდან ოთხი ფეხბურთელი გააძევეს, მატჩის შემდეგ კი დამსწრე საზოგადოება პოლიციის საგანგებო რაზმებს შეება და კიდეც გაილახა.

უკრაინაში კიევის „დინამოს" მწვრთნელობიდან გადააყენეს მცველუყოფილი მიხეილ ფომენკო, რომელმაც ლანჩხუთის „გურია" თავის დროზე სსრკ-ის უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა. მის ნაცვლად დაინიშნა დინამოელი ნახევარმცველყოფილი იოჟეფ საბო. კიევის „დინამოს" მეორე ყოფილი ჰავბეკი, ბოლო დროს ხაფრანგეთის „სოშოში" მოთამაშე 29 წლის პაველ იაკოვენკო ნიკოპოლის „მეტალურგის" მწვრთნელი გახდა. რაც შეეხება უგამოჩენილეს კიეველ ვალერი ლობანოვსკის, იგი ამიერიდან ქუვეითის ნაკრებს უწინამძღოლებს. უკრაინის 1993 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა 24 წლის კიევის დინამოელი ვიქტორ ლეონენკო. მან ყოველკვირეული „ფუტბოლ უკრაინის" გამოკითხვაში 376 ქულა დააგროვა და ბევრად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ტამერლან ჰუსეინოვს („ჩერნომორეცი", 89 ქულა), მესამე ადგილზე დნეპროპეტროვსკელი დმიტრი მიხაილენკო (76 ქულა) გავიდა. ხუთეულში კიევის „დინამოს" კიდევ ორი ფეხბურთელი მოხვდა: მცველი ოლეგ ლუჟნი და მეკარე იგორ კუტეპოვი.



რენე იგიტამ პატიმრობას თავი დააღწია

თურქეთშიც შეიცვალა ერთი მწვრთნელი. გორდონ მილნმა, ვინაც „ბეშიქთაშს" შვიდი სეზონის მანძილზე ჩემპიონობა სამგზის მოაგებინა, იაპონიისაკენ გაუტია. იქ იგი მაჩანჩალას — „ნაგოია გრამპას ეითს" ჩაიბარებს, „ბეშიქთაშს" კი გაწვრთნის კრისტოფ დაუმი, რომელიც მანამდე „შტუტგარტისა" და „კიოლნის" მენეჯერი ყოფილა.

კოლუმბიაში ჩემპიონი გახდა „ატლეტიკო ხუნიორი", რომელმაც „ამერიკას" გადამწყვეტი ბურთი ბოლო წუთზე შეუგდო, 3:2 მოუგო და ბურთების სხვაობით აჯობა „მედელინს". ამ ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა ფიფას კლასიფიკაციაში ერთბაშად 14 საფეხურით მაღლა აიწია და ახლა 21-ეა. ნაკრების 32 წლის კაპიტანი, ნახევარმცველი კარლოს ვალდერამა ზედიზედ მეორედ დაასახელეს სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად გამოკითხვაში, რომელსაც ურუგვაის გაზეთი „ელ-პაისი" მართავს. ცნობილი მეკარე რენე იგიტა ახალი წლის წინადღით თავდებით გამოუშვეს ციხიდან, სადაც ივნისში მოხვდა იმის ბრალდებით, რომ აქაოდა მძევლის დახსნაში ფული აიღოო. არადა, როგორც იგიტა ირწმუნება, ქრთამი კი არ ამიღია, ავაზაკებს მოტაცებული გოგო რომ დავუბრუნე, გახარებულმა მამამისმა დამასაჩუქრაო.

პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი ანჟეი სტრეილაუ ავადმყოფობის გამო კი გადადგა, მაგრამ არც მისი შემცვლელი, ზაბჟეს „გურნიკის" უფროსი ჰენრიკ აპოსტელი ყოფილა მთლად ჯანზედ: მას წელს უკვე უმკურნალია გული.

ესპანეთში მადრიდის „რეალს" ისე უჭირს, რომ 17 მილიონ გირვანქას სთხოვს სესხად თავის მთავარ სპონსორს — „ბანკო ესპანიოლ დე კრედიტოს", ანუ ბანესტოს. უჭირს ბანესტოსაც, მაგრამ შუამავალი ფირმის — „ინფოსას" მეშვეობით 7,5 მილიონი მაინც გამოუყო 1994 წლის ბოლომდე. სათქმელია ისიც, რომ „რეალს" „ინფოსასთან" 25 წლიანი კონტრაქტი აკავშირებს, ენაკვიმატთა თქმით კი კლუბმა ბენიტო ფლორო იმიტომ ვერ მოხსნა მწვრთნელობიდან, რომ მისი გასასტუმრებელი ფული არა აქვსო. სამაგიეროდ, ულხინს „ბარსელონას" და 4 მილიონი გირვანქაც არ ენანება სამისოდ, „ნოუ კამპი" ერთიანად დასაჯდომადგილებიან სტადიონად რომ აქციოს, ოღონდაც ტევადობის შეუმცირებლად. ამ პროექტის ხორცშესასხმელად სეზონის ბოლოს მოედნის დონეს 3 მეტრით დაბლა დასწევენ, რის ხარჯზეც სკამების ცხრა რიგს ჩაამატებენ.

პარაგვაიში შარშან უმაგალითო რამ მოხდა. ხელისუფლება, რომელიც უკმაყოფილო იყო ფეხბურთის მამების საქმიანობით, მათს ფუნქციაში ჩაერია და ქვეყნის ჩემპიონატი დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე შეაწყვეტინა. ჰოდა, ახალი წლის წინ ლიგის კლუბები შეიკრიბნენ და ჩემპიონი... ფარული კენჭისყრით აირჩიეს. ათი ხმით ორის წინააღმდეგ ეს პატივი ერგო ქვეყნის უძველეს კლუბ „ოლიმპიას", რომელიც ხელისუფლების ჩარევის მომენტისათვის დაწინაურებულიყო, მაგრამ ჩემპიონობა სულაც ვერ დაიბევებინა. როგორც ვარაუდობენ, „ოლიმპიის" ჩემპიონად ცნობის წინააღმდეგ ხმა მისცეს უახლოესმა მდევრებმა — „სერო პორტენიომ" და „სერო კორამ". ჩემპიონი კი გამოავლინეს, მაგრამ ახლა საკითხავი ისაა, თუ რას უპასუხებენ პარაგვაელები ფიფას, საშობაო არდადაგების შემდეგ ახსნა-განმარტებას უეჭველად რომ მოითხოვს.

ჰოლანდიის ნაკრების 33 წლის ნახევარმცველი იან ვაუტერსი სამშობლოში დაბრუნდა და კონტრაქტის თანახმად 1996 წლამდე ეინდჰოვენის პ.ს.ვ.-ში ითამაშებს. ფრანს პრესის ცნობით, ამ კლუბმა 1,8 მილიონი დოლარი გადაუხადა მიუნხენის „ბაიერნს", სადაც ვაუტერსი 1991 წლიდან თამაშობს.

რუსეთში ახალი სეზონის დაწყებამდე ორიოდ თვეღა დარჩა და საფეხბურთო ბაზარი გახურებულ მუშაობაშია. ბევრი ფეხბურთელი უცხოეთს წავიდა. მათგან ორს გამოვყოფთ: ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზის" მცველი ახრიკ ცვეიბა იაპონიის „გამბა ოსაკაში" გადავიდა, ხოლო სპარტაკელმა ვლადიმერ ბესჩასტნიხმა გერმანიის ჩემპიონ „ვერდერთან" დადო კონტრაქტი. ახალი გუნდები ჩაიბარეს ცნობილმა მწვრთნელებმა: კონსტანტინ ბესკოვი მოსკოვის „დინამოს" გაწვრთნის, ვალერი გაზაევი მშობლიური ვლადიკავკაზის „სპარტაკს" დაუბრუნდა, ვალენტინ ივანოვი კი რუსულ-არაბულ „ასმარალს" ჩაუდგა სათავეში.

ფიფას აღმასკომის ბოლო სხდომაზე ამ ორგანიზაციაში 13 ახალი წევრი მიიღეს, აქედან 7 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა: აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი,



კარლოს ვალდერამა — სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი

ყირგიზეთი, ყაზახეთი და მოლდოვა. დანარჩენი ადგილები მაკედონიას, სლოვაკეთს, ჩეხეთს, დომინიკას, კუკის კუნძულებს და ტონგას „ერგოთ". ამგვარად, ფიფა-ში შემავალი ქვეყნების რიცხვმა უკვე 190-ს მიაღწია.

სპილოს ძვლის ნაპირის (ახლებურად კოტ დ'ივუარის) ნაკრების ნახევარმცველი ალენ-სერჟ მაგი ამიერიდან მადრიდის „ატლეტიკოში" ითამაშებს. „ჰიანჭველად" წოდებული მაგი, მართალია 23 წლისაა, მაგრამ აგერ უკვე შვიდი (!) წელია, რაც თავისი ქვეყნის ნაკრებში გამოდის და 70-მდე მატჩიც უთამაშია. მან თუ ასე გააგრძელა, მალე ფეხბურთის სტატისტიკოსებს „ორასიანთა კლუბის" ჩამოყალიბება მოუწევთ.

ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ კარგ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი: მესამე წელია, რაც საშობაოდ მთელი ქვეყნის საფეხბურთო სამყარო ერთად იკრიბება. ნაკრების ფეხბურთელები, გუნდების მწვრთნელები, მსაჯები, ვეტერანი ფეხბურთელები და ჟურნალისტები არაფორმალურ ვითარებაში არჩევენ გასული წლის შედეგებს და მომავლის გეგმებს ეცნობიან. ტარდება კონკურსები, ვიქტორინები და სხვა გასართობი ღონისძიებები. კარგი იქნება, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც დანერგავს ასეთ ტრადიციას.

ესპანეთში ფეხბურთელებიც ჩაებნენ ნარკოტიკების-წინააღმდეგ ბრძოლაში. საშობაოდ 90 ათასი მაყურებელი, მათ შორის ქვეყნის მეფე ხუან კარლოსი და დედოფალი სოფია, დაესწრო მატჩს, რომელშიც მადრიდის „რეალმა" 6:1 მოუგო ესპანეთის ლიგის ნაკრებს. მთელი შემოსავალი (2 მილიონი დოლარი ნარკოტიკებთან ბრძოლის ფონდს გადაეცა.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადამდგარი ჟერარ ულიეს ნაცვლად ნკრების მწვრთნელად აირჩია 52 წლის ემანუელ ჟაკე, რომელსაც ორჯერ თავად უთამაშია ნაკრებში, ულიეს თანაშემწეც ყოფილა და „ბორდოსთვის" სამჯერაც მოუგებინებია ქვეყნის ჩემპიონატი. ჯერ ჟაკეს დანიშვნას გამოაცხადებდა, ლიგის პრეზიდენტ ნოელ ლეგრეტს ორი კვირით ადრე უთქვამს, მწვრთნელი უკვე დაგულვებული გვყავს, მაგრამ იგი არაა ლუის ფერნანდესი, რომელმაც თავად შემოგვთავაზა თავი, ჩვენ კი დავიწუნეთო.

# მსოფლიოს XV ჩემპიონატი: ყველა შესარჩევი მატჩი

მსოფლიოს XV ჩემპიონატის 5 ლისყრა 1991 წლის 8 დეკემბერს მოეწყო და ოთხი თვის შემდეგ, 1992 წლის 21 მარტს დომინიკელთა რესპუბლიკისა და პუერტო რიკოს მატჩით დაიწყო შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 129 ქვეყნის ნაკრებმა 491 მატჩი გამართა. მკითხველებისთვის გავიხსენებთ, რომ წინა ჩემპიონატში 103 ქვეყანა მონაწილეობდა და 313 შეხვედრა გაიმართა. რაც შეეხება ფინალისტებს, აღვნიშნავთ, რომ ბრაზილია თხუთმეტივე ფინალის მონაწილეა, ხოლო ოთხი ნაკრები — საბერძნეთი, რუსეთი, საუდის არაბეთი და ნიგერია პირველად ითამაშებს დასკვნით ეტაპზე.

შეგახსენებთ, რომ წინა 14 ჩემპიონატში შვიდჯერ სამხრეთამერიკელებმა იმარჯვეს, შვიდჯერ კი — ევროპელებმა.

ქვემოთ მოყვანილია 1994 წლის ჩემპიონატის ყველა შესარჩევი მატჩი, ისინიც, რომელთა შედეგები გაუქმდა. დასახელებულია ის ნაკრებებიც, რომლებმაც წილისყრაში მონაწილეობა კი მიიღეს, მაგრამ შემდეგ სხვადასხვა მიზეზით თამაშზე უარი თქვეს.

## ევროპა

### I ჯგუფი

16.08.92 ესტონეთი — შვეიცარია 0:6
0?.09.92 შვეიცარია — შოტლანდია 3:1
14.10.92 იტალია — შვეიცარია 2:2
შოტლანდია — პორტუგალია 0:0
25.10.92 მალტა — ესტონეთი 0:0
18.11.92 შოტლანდია — იტალია 0:0
შვეიცარია — მალტა 3:0
19.12.92 მალტა — იტალია 1:2
24.01.93 მალტა — პორტუგალია 0:1
17.02.93 შოტლანდია — მალტა 3:0
24.02.93 პორტუგალია — იტალია 1:3
24.03.93 იტალია — მალტა 6:1
31.03.93 შვეიცარია — პორტუგალია 1:1
14.04.93 იტალია — ესტონეთი 2:0
17.04.93 მალტა — შვეიცარია 0:2
28.04.93 პორტუგალია — შოტლანდია 5:0
01.05.93 შვეიცარია — იტალია 1:0
12.05.93 ესტონეთი — მალტა 0:1
19.05.93 ესტონეთი — შოტლანდია 0:3
02.06.93 შოტლანდია — ესტონეთი 3:1
19.06.93 პორტუგალია — მალტა 4:0
05.09.93 ესტონეთი — პორტუგალია 0:2
08.09.93 შოტლანდია — შვეიცარია 1:1
22.09.93 ესტონეთი — იტალია 0:3
13.10.93 პორტუგალია — შვეიცარია 1:0
იტალია — შოტლანდია 3:1
10.11.93 პორტუგალია — ესტონეთი 3:0
17.11.93 იტალია — პორტუგალია 1:0
მალტა — შოტლანდია 0:2
შვეიცარია — ესტონეთი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია** | 10 | 7 | 2 | 1 | 22-7 | 16 |
| **შვეიცარია** | 10 | 6 | 3 | 1 | 23-6 | 15 |
| პორტუგალია | 10 | 6 | 2 | 2 | 18-5 | 14 |
| შოტლანდია | 10 | 4 | 3 | 3 | 14-13 | 11 |
| მალტა | 10 | 1 | 1 | 8 | 3-23 | 3 |
| ესტონეთი | 10 | 0 | 1 | 9 | 1-27 | 1 |

### II ჯგუფი

09.09.92 ნორვეგია — სან მარინო 10:0
23.09.92 პოლონეთი — თურქეთი 1:0
ნორვეგია — პოლანდია 2:1
07.10.92 სან მარინო — ნორვეგია 0:2
14.10.92 ინგლისი — ნორვეგია 1:1
14.10.92 პოლანდია — პოლონეთი 2:2
28.10.92 თურქეთი — სან მარინო 4:1
18.11.92 ინგლისი — თურქეთი 4:0
16.12.92 თურქეთი — პოლანდია 1:3
17.02.93 ინგლისი — სან მარინო 6:0
24.02.93 პოლანდია — თურქეთი 3:1
10.03.93 სან მარინო — თურქეთი 0:0
24.03.93 პოლანდია — სან მარინო 6:0
31.03.93 თურქეთი — ინგლისი 0:2
28.04.93 ინგლისი — პოლანდია 2:2
ნორვეგია — თურქეთი 3:1
პოლონეთი — სან მარინო 1:0
19.05.93 სან მარინო — პოლონეთი 0:3
29.05.93 პოლონეთი — ინგლისი 1:1
02.06.93 ნორვეგია — ინგლისი 2:0
09.06.93 პოლანდია — ნორვეგია 0:0
08.09.93 ინგლისი — პოლონეთი 3:0
22.09.93 სან მარინო — პოლანდია 0:7
ნორვეგია — პოლონეთი 1:0
13.10.93 პოლანდია — ინგლისი 2:0
პოლონეთი — ნორვეგია 0:3
27.10.93 თურქეთი — პოლონეთი 2:1
10.11.93 თურქეთი — ნორვეგია 2:1
17.11.93 სან მარინო — ინგლისი 1:7
პოლონეთი — პოლანდია 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ნორვეგია** | 10 | 7 | 2 | 1 | 25-5 | 16 |
| **პოლანდია** | 10 | 6 | 3 | 1 | 29-9 | 15 |
| ინგლისი | 10 | 5 | 3 | 2 | 26-9 | 13 |
| პოლონეთი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-15 | 8 |
| თურქეთი | 10 | 3 | 1 | 6 | 11-19 | 7 |
| სან მარინო | 10 | 0 | 1 | 9 | 2-46 | 1 |

### III ჯგუფი

22.04.92 ესპანეთი — ალბანეთი 3:0
28.04.92 ჩრდ. ირლანდია — ლიტვა 2:2
26.05.92 ირლანდია — ალბანეთი 2:0
03.06.92 ალბანეთი — ლიტვა 1:0
12.08.92 ლატვია — ლიტვა 1:2
26.08.92 ლატვია — დანია 0:0
09.09.92 ირლანდია — ლატვია 4:0
ჩრდ. ირლანდია — ალბანეთი 3:0
23.09.92 ლატვია — ესპანეთი 0:0
ლიტვა — დანია 0:0
14.10.92 დანია — ირლანდია 0:0
ჩრდ. ირლანდია — ესპანეთი 0:0
28.10.92 ლიტვა — ლატვია 1:1
11.11.92 ალბანეთი — ლატვია 1:1
18.11.92 ჩრდ. ირლანდია — დანია 0:1
ესპანეთი — ირლანდია 0:0
16.12.92 ესპანეთი — ლატვია 5:0
17.02.93 ალბანეთი — ჩრდ. ირლანდია 1:2
24.02.93 ესპანეთი — ლიტვა 5:0
31.03.93 დანია — ესპანეთი 1:0
ირლანდია — ჩრდ. ირლანდია 3:0
14.04.93 დანია — ლატვია 2:0
ლიტვა — ალბანეთი 3:1
28.04.93 ირლანდია — დანია 1:1
ესპანეთი — ჩრდ. ირლანდია 3:1
15.05.93 ლატვია — ალბანეთი 0:0
25.05.93 ლიტვა — ჩრდ. ირლანდია 0:1
26.05.93 ალბანეთი — ირლანდია 1:2
02.06.93 დანია — ალბანეთი 4:0
ლატვია — ჩრდ. ირლანდია 1:2
ლიტვა — ესპანეთი 0:2
09.06.93 ლატვია — ირლანდია 0:2
16.06.93 ლიტვა — ირლანდია 0:1
25.08.93 დანია — ლიტვა 4:0
08.09.93 ჩრდ. ირლანდია — ლატვია 2:0
ირლანდია — ლიტვა 2:0
ალბანეთი — დანია 0:1
22.09.93 ალბანეთი — ესპანეთი 1:5
13.10.93 დანია — ჩრდ. ირლანდია 1:0
ირლანდია — ესპანეთი 1:3
17.11.93 ჩრდ. ირლანდია — ირლანდია 1:1
ესპანეთი — დანია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ესპანეთი** | 12 | 8 | 3 | 1 | 27-4 | 19 |
| **ირლანდია** | 12 | 7 | 4 | 1 | 19-6 | 18 |
| დანია | 12 | 7 | 4 | 1 | 15-2 | 18 |
| ჩრდ. ირლანდია | 12 | 5 | 3 | 4 | 14-13 | 13 |
| ლიტვა | 12 | 2 | 3 | 7 | 8-21 | 7 |
| ლატვია | 12 | 0 | 5 | 7 | 4-21 | 5 |
| ალბანეთი | 12 | 1 | 2 | 9 | 6-26 | 4 |

### IV ჯგუფი

22.04.92 ბელგია — კვიპროსი 1:0
06.05.92 რუმინეთი — ფარერები 7:0
20.05.92 რუმინეთი — უელსი 5:1
03.06.92 ფარერები — ბელგია 0:3
17.06.92 ფარერები — კვიპროსი 0:2
02.09.92 ჩეხეთი და სლოვაკეთი — ბელგია 1:2
09.09.92 უელსი — ფარერები 6:0
23.09.92 ჩეხეთი და სლოვაკ. — ფარერები 4:0
14.10.92 ბელგია — რუმინეთი 1:0
კვიპროსი — უელსი 0:1
14.11.92 რუმინეთი — ჩეხეთი და სლოვაკ. 1:1
18.11.92 ბელგია — უელსი 2:0
29.11.92 კვიპროსი — რუმინეთი 1:4
13.02.93 კვიპროსი — ბელგია 0:3
24.03.93 კვიპროსი — ჩეხეთი და სლოვაკ. 1:1
31.03.93 უელსი — ბელგია 2:0
14.04.93 რუმინეთი — კვიპროსი 2:1
25.04.93 კვიპროსი — ფარერები 3:1
28.04.93 ჩეხეთი და სლოვაკეთი — უელსი 1:1
22.05.93 ბელგია — ფარერები 3:0
02.06.93 ჩეხეთი და სლოვაკ. — რუმინეთი 5:2
06.06.93 ფარერები — უელსი 0:3
16.06.93 ფარერები — ჩეხეთი და სლოვაკ. 0:3
08.09.93 უელსი — ჩეხეთი და სლოვაკეთი 2:2
ფარერები — რუმინეთი 0:4
13.10.93 უელსი — კვიპროსი 2:0
რუმინეთი — ბელგია 2:1
27.10.93 ჩეხეთი და სლოვაკ. — კვიპროსი 3:0
17.11.93 უელსი — რუმინეთი 1:2
ბელგია — ჩეხეთი და სლოვაკეთი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რუმინეთი** | 10 | 7 | 1 | 2 | 29-12 | 15 |
| **ბელგია** | 10 | 7 | 1 | 2 | 16-5 | 15 |
| ჩეხეთი და სლოვ. | 10 | 4 | 5 | 1 | 21-9 | 13 |
| უელსი | 10 | 5 | 2 | 3 | 19-12 | 12 |
| კვიპროსი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-18 | 5 |
| ფარერები | 10 | 0 | 0 | 10 | 1-38 | 0 |

### V ჯგუფი

იუგოსლავია გაეროს სანქციების გამო არ ათამაშეს

13.05.92 საბერძნეთი — ისლანდია 1:0
03.06.92 უნგრეთი — ისლანდია 1:2
09.09.92 ლუქსემბურგი — უნგრეთი 0:3
07.10.92 ისლანდია — საბერძნეთი 0:1
14.10.92 რუსეთი — ისლანდია 1:0
28.10.92 რუსეთი — ლუქსემბურგი 2:0
11.11.92 საბერძნეთი — უნგრეთი 0:0
17.02.93 საბერძნეთი — ლუქსემბურგი 2:0
31.03.93 უნგრეთი — საბერძნეთი 0:1
14.04.93 ლუქსემბურგი — რუსეთი 0:4
28.04.93 რუსეთი — უნგრეთი 3:0
20.05.93 ლუქსემბურგი — ისლანდია 1:1
23.05.93 რუსეთი — საბერძნეთი 1:1
02.06.93 ისლანდია — რუსეთი 1:1
16.06.93 ისლანდია — უნგრეთი 2:0
08.09.93 უნგრეთი — რუსეთი 1:3
ისლანდია — ლუქსემბურგი 1:0
12.10.93 ლუქსემბურგი — საბერძნეთი 1:3
27.10.93 უნგრეთი — ლუქსემბურგი 1:0
17.11.93 საბერძნეთი — რუსეთი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საბერძნეთი** | 8 | 6 | 2 | 0 | 10-2 | 14 |
| **რუსეთი** | 8 | 5 | 2 | 1 | 15-4 | 12 |
| ისლანდია | 8 | 3 | 2 | 3 | 7-6 | 8 |
| უნგრეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-11 | 5 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 1 | 7 | 2-17 | 1 |

### VI ჯგუფი

14.05.92 ფინეთი — ბულგარეთი 0:3
09.09.92 ბულგარეთი — საფრანგეთი 2:0
ფინეთი — შვედეთი 0:1
07.10.92 შვედეთი — ბულგარეთი 2:0
14.10.92 საფრანგეთი — ავსტრია 2:0
28.10.92 ავსტრია — ისრაელი 5:2
11.11.92 ისრაელი — შვედეთი 1:3
14.11.92 საფრანგეთი — ფინეთი 2:1
02.12.92 ისრაელი — ბულგარეთი 0:2
17.02.93 ისრაელი — საფრანგეთი 0:4
27.03.93 ავსტრია — საფრანგეთი 0:1
14.04.93 ავსტრია — ბულგარეთი 3:1
28.04.93 საფრანგეთი — შვედეთი 2:1
ბულგარეთი — ფინეთი 2:0
12.05.93 ბულგარეთი — ისრაელი 2:2
13.05.93 ფინეთი — ავსტრია 3:1
19.05.93 შვედეთი — ავსტრია 1:0
02.06.93 შვედეთი — ისრაელი 5:0
16.06.93 ფინეთი — ისრაელი 0:0
22.08.93 შვედეთი — საფრანგეთი 1:1
25.08.93 ავსტრია — ფინეთი 3:0
08.09.93 ბულგარეთი — შვედეთი 1:1
ფინეთი — საფრანგეთი 0:2
13.10.93 საფრანგეთი — ისრაელი 2:3
ბულგარეთი — ავსტრია 4:1
შვედეთი — ფინეთი 3:2
27.10.93 ისრაელი — ავსტრია 1:1
10.11.93 ავსტრია — შვედეთი 1:1
ისრაელი — ფინეთი 1:3
17.11.93 საფრანგეთი — ბულგარეთი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შვედეთი** | 10 | 6 | 3 | 1 | 19-8 | 15 |
| **ბულგარეთი** | 10 | 6 | 2 | 2 | 19-10 | 14 |
| საფრანგეთი | 10 | 6 | 1 | 3 | 17-10 | 13 |
| ავსტრია | 10 | 3 | 2 | 5 | 15-16 | 8 |
| ფინეთი | 10 | 2 | 1 | 7 | 9-18 | 5 |
| ისრაელი | 10 | 1 | 3 | 6 | 10-27 | 5 |

## ოკეანეთი

დასავლეთი სამოა კენჭისყრაში მონაწილეობდა, თუმცა აღარ უთამაშია

### I ჯგუფი

11.07.92 სოლომონის კ-ბი — ტაიტი 1:1
04.09.92 სოლომონის კ-ბი — ავსტრალია 1:2
11.09.92 ტაიტი — ავსტრალია 0:3
20.09.92 ავსტრალია — ტაიტი 2:0
25.09.92 ავსტრალია — სოლომონის კ-ბი 6:1
09.10.92 ტაიტი — სოლომონის კ-ბი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 4 | 4 | 0 | 0 | 13-2 | 8 |
| ტაიტი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 3 |
| სოლომონის კ-ბი | 4 | 0 | 1 | 3 | 5-13 | 1 |

### II ჯგუფი

07.06.92 ახალი ზელანდია — ფიჯი 3:0
27.06.92 ვანუატუ — ახალი ზელანდია 1:4
01.07.92 ახალი ზელანდია — ვანუატუ 8:0
12.09.92 ფიჯი — ვანუატუ 3:0
19.09.92 ფიჯი — ახალი ზელანდია 0:0
26.09.92 ვანუატუ — ფიჯი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 15-1 | 7 |
| ფიჯი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 5 |
| ვანუატუ | 4 | 0 | 0 | 4 | 1-18 | 0 |

ზონის ფინალი

30.05.93 ახალი ზელანდია — ავსტრალია 0:1
06.06.93 ავსტრალია — ახალი ზელანდია 3:0

## ჩრდილოეთი ამერიკა და კარიბეთი

პირველი ეტაპი

21.03.92 დომინიკელთა რ.—პუერტო რიკო 1:2
29.03.92 პუერტო რიკო — დომინიკ. რესპ. 1:1
22.03.92 სენტ ლუსია — სენტ ვინსენტი 1:0
29.03.92 სენტ ვინსენტი — სენტ ლუსია 3:1

მეორე ეტაპი

19.04.92 ანტილის კ-ბი — ანტიგუა 1:1
26.04.92 ანტიგუა — ანტილის კ-ბი 3:0
26.04.92 ბერმუდა — ჰაიტი 1:0
25.05.92 ჰაიტი — ბერმუდა 2:1
26.04.92 გაიანა — სურინამი 1:2
25.05.92 სურინამი — გაიანა 1:1
24.05.92 ბარბადოსი — ტრინიდადი 1:2
31.05.92 ტრინიდადი — ბარბადოსი 3:0
25.05.92 იამაიკა — პუერტო რიკო 2:1
30.05.92 პუერტო რიკო — იამაიკა 0:1

კუბა არ ეთამაშა სენტ ვინსენტს

მესამე ეტაპი

14.06.92 ანტიგუა — ბერმუდა 0:3
04.07.92 ბერმუდა — ანტიგუა 2:1
05.07.92 ტრინიდადი — იამაიკა 1:2
16.08.92 იამაიკა — ტრინიდადი 1:1
19.07.92 ნიკარაგუა — სალვადორი 0:5
23.07.92 სალვადორი — ნიკარაგუა 5:1
19.07.92 გვატემალა — ჰონდურასი 0:0
26.07.92 ჰონდურასი — გვატემალა 2:0
02.08.92 სურინამი — სენტ ვინსენტი 0:0
30.08.92 სენტ ვინსენტი — სურინამი 2:1
16.08.92 პანამა — კოსტა რიკა 1:0
23.08.92 კოსტა რიკა — პანამა 5:1

მეოთხე ეტაპი

### A ჯგუფი

08.11.92 კოსტა რიკა — ჰონდურასი 2:3
სენტ ვინსენტი — მექსიკა 0:4
15.11.92 მექსიკა — ჰონდურასი 2:0
სენტ ვინსენტი — კოსტა რიკა 0:1
22.11.92 მექსიკა — კოსტა რიკა 4:0
სენტ ვინსენტი — ჰონდურასი 0:4
28.11.92 ჰონდურასი — სენტ ვინსენტი 4:0
29.11.92 კოსტა რიკა — მექსიკა 2:0
05.12.92 ჰონდურასი — კოსტა რიკა 2:1
06.12.92 მექსიკა — სენტ ვინსენტი 11:0
13.12.92 კოსტა რიკა — სენტ ვინსენტი 5:0
ჰონდურასი — მექსიკა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 6 | 4 | 1 | 1 | 22-3 | 9 |
| ჰონდურასი | 6 | 4 | 1 | 1 | 14-6 | 9 |
| კოსტა რიკა | 6 | 3 | 0 | 3 | 11-9 | 6 |
| სენტ ვინსენტი | 6 | 0 | 0 | 6 | 0-29 | 0 |

### B ჯგუფი

18.10.92 ბერმუდა — სალვადორი 1:0
იამაიკა — კანადა 1:1
25.10.92 ბერმუდა — იამაიკა 1:1
სალვადორი — კანადა 1:1
01.11.92 კანადა — იამაიკა 1:0
სალვადორი — ბერმუდა 4:1
08.11.92 კანადა — სალვადორი 2:3
იამაიკა — ბერმუდა 3:2
15.11.92 კანადა — ბერმუდა 4:2
22.11.92 იამაიკა — სალვადორი 0:2
06.12.92 ბერმუდა — კანადა 0:0
სალვადორი — იამაიკა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალვადორი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-6 | 9 |
| კანადა | 6 | 2 | 3 | 1 | 9-7 | 7 |
| იამაიკა | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 4 |
| ბერმუდა | 6 | 1 | 2 | 3 | 7-12 | 4 |

მეხუთე, ფინალური ეტაპი.

04.04.93 ჰონდურასი — კანადა 2:2
სალვადორი — მექსიკა 2:1
11.04.93 კანადა — სალვადორი 2:0
მექსიკა — ჰონდურასი 3:0
18.04.93 კანადა — ჰონდურასი 3:1
მექსიკა — სალვადორი 3:1
25.04.93 მექსიკა — კანადა 4:0
ჰონდურასი — სალვადორი 2:0
02.05.93 ჰონდურასი — მექსიკა 1:4
სალვადორი — კანადა 1:2
09.05.93 სალვადორი — ჰონდურასი 2:1
კანადა — მექსიკა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მექსიკა** | 6 | 5 | 0 | 1 | 17-5 | 10 |
| კანადა | 6 | 3 | 1 | 2 | 10-10 | 7 |
| სალვადორი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-11 | 4 |
| ჰონდურასი | 6 | 1 | 1 | 4 | 7-14 | 3 |

დამატებითი მატჩი

01.08.93 კანადა — ავსტრალია 2:1
15.08.93 ავსტრალია — კანადა 2:1 პ 4:1

## სამხრეთი ამერიკა

### A ჯგუფი

01.08.93 კოლუმბია — პარაგვაი 0:0
პერუ — არგენტინა 0:1
08.08.93 პარაგვაი — არგენტინა 1:3
პერუ — კოლუმბია 0:1
15.08.93 კოლუმბია — არგენტინა 2:1
პარაგვაი — პერუ 2:1
22.08.93 არგენტინა — პერუ 2:1
პარაგვაი — კოლუმბია 1:1
29.08.93 არგენტინა — პარაგვაი 0:0
კოლუმბია — პერუ 4:0
05.09.93 პერუ — პარაგვაი 2:2
არგენტინა — კოლუმბია 0:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **კოლუმბია** | 6 | 4 | 2 | 0 | 13-2 | 10 |
| არგენტინა | 6 | 3 | 1 | 2 | 7-9 | 7 |
| პარაგვაი | 6 | 1 | 4 | 1 | 6-7 | 6 |
| პერუ | 6 | 0 | 1 | 5 | 4-12 | 1 |

დამატებითი მატჩი

31.10.93 ავსტრალია — არგენტინა 1:1
17.11.93 **არგენტინა** — ავსტრალია 1:0

### B ჯგუფი

18.07.93 ეკვადორი — ბრაზილია 0:0
ვენესუელა — ბოლივია 1:7
25.07.93 ბოლივია — ბრაზილია 2:0
ვენესუელა — ურუგვაი 0:1
01.08.93 ურუგვაი — ეკვადორი 0:0
ვენესუელა — ბრაზილია 1:5
08.08.93 ბოლივია — ურუგვაი 3:1
ეკვადორი — ვენესუელა 5:0
15.08.93 ბოლივია — ეკვადორი 1:0
ურუგვაი — ბრაზილია 1:1
22.08.93 ბოლივია — ვენესუელა 7:0
ბრაზილია — ეკვადორი 2:0
29.08.93 ბრაზილია — ბოლივია 6:0
ურუგვაი — ვენესუელა 4:0
05.09.93 ბრაზილია — ვენესუელა 4:0
ეკვადორი — ურუგვაი 0:1
12.09.93 ვენესუელა — ეკვადორი 2:1
ურუგვაი — ბოლივია 2:1
19.09.93 ეკვადორი — ბოლივია 1:1
ბრაზილია — ურუგვაი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბრაზილია** | 8 | 5 | 2 | 1 | 20-4 | 12 |
| **ბოლივია** | 8 | 5 | 1 | 2 | 22-11 | 11 |
| ურუგვაი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-7 | 10 |
| ეკვადორი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-7 | 5 |
| ვენესუელა | 8 | 1 | 0 | 7 | 4-34 | 2 |

## აფრიკა

პირველი ეტაპი

### A ჯგუფი

უგანდამ არ ითამაშა

09.10.92 ალჟირი — ბურუნდი 3:1
25.10.92 ბურუნდი — განა 1:0
20.12.92 განა — ალჟირი 2:0
17.01.93 ბურუნდი — ალჟირი 0:0
31.01.93 განა — ბურუნდი 1:0
26.02.93 ალჟირი — განა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალჟირი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 5 |
| განა | 4 | 2 | 0 | 2 | 4-3 | 4 |
| ბურუნდი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 3 |

### B ჯგუფი

11.10.92 ზაირი — ლიბერია 4:2
18.10.92 კამერუნი — სვაზილენდი 5:0
25.10.92 სვაზილენდი — ზაირი 1:0
10.01.93 ზაირი — კამერუნი 1:2
17.01.93 სვაზილენდი — კამერუნი 0:0
29.02.93 კამერუნი — ზაირი 0:0

ზაირი — სვაზილენდი არ ჩატარდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-1 | 6 |
| სვაზილენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-5 | 3 |
| ზაირი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |

ლიბერიამ ტურნირი მიატოვა

### C ჯგუფი

სიერა ლეონემ არ ითამაშა

09.10.92 ზიმბაბვე — ტოგო 1:0
11.10.92 ეგვიპტე — ანგოლა 1:0
25.10.92 ტოგო — ეგვიპტე 1:4
20.12.92 ზიმბაბვე — ეგვიპტე 2:1
10.01.93 ანგოლა — ზიმბაბვე 1:1
17.01.93 ტოგო — ზიმბაბვე 1:2
18.01.93 ანგოლა — ეგვიპტე 0:0
31.01.93 ეგვიპტე — ტოგო 3:0
ზიმბაბვე — ანგოლა 2:1
28.02.93 ტოგო — ანგოლა 0:1
ეგვიპტე — ზიმბაბვე 2:1

შედეგი გაუქმდა და მატჩი ხელახლა შედგა ნეიტრალურ მინდორზე, საფრანგეთში

15.04.93 ეგვიპტე — ზიმბაბვე 0:0

ანგოლა — ტოგო არ ჩატარდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზიმბაბვე | 6 | 4 | 2 | 0 | 8-4 | 10 |
| ეგვიპტე | 6 | 3 | 2 | 1 | 9-3 | 8 |
| ანგოლა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 4 |
| ტოგო | 5 | 0 | 0 | 5 | 2-11 | 0 |

### D ჯგუფი

ლიბიამ და სან ტომემ არ ითამაშეს

10.10.92 ნიგერია — სამხრეთი აფრიკა 4:0
25.10.92 სამხრეთი აფრიკა — კონგო 1:0
20.12.92 კონგო — ნიგერია 0:1
17.01.93 სამხრეთი აფრიკა — ნიგერია 0:0
31.01.93 კონგო — სამხრეთი აფრიკა 0:1
27.02.93 ნიგერია — კონგო 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 4 | 3 | 1 | 0 | 7-0 | 7 |
| სამხ. აფრიკა | 4 | 2 | 1 | 1 | 2-4 | 5 |
| კონგო | 4 | 0 | 0 | 4 | 0-5 | 0 |

### E ჯგუფი

სუდანმა არ ითამაშა

10.10.92 სპილოს ძვლის ნაპირი—ბოტსვანა 6:0
25.10.92 ნიგერი — სპილოს ძვლის ნაპირი 0:0
20.12.92 ბოტსვანა — ნიგერი 0:1
17.01.93 ბოტსვანა—სპილოს ძვლის ნაპირი 0:0
31.01.93 სპილოს ძვლის ნაპირი — ნიგერი 1:0
28.02.93 ნიგერი — ბოტსვანა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპილოს ძვ. ნაპ. | 4 | 2 | 2 | 0 | 7-0 | 6 |
| ნიგერი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 5 |
| ბოტსვანა | 4 | 0 | 1 | 3 | 1-9 | 1 |

### F ჯგუფი

მალავიმ არ ითამაშა

11.10.92 მაროკო — ეთიოპია 5:0

მატჩი 55-ე წუთზე შეწყდა: ეთიოპიელებმა თამაში 9 კაცით დაიწყეს და ტრავმების გამო ექვსნი დარჩნენ. შედეგი ძალაში დარჩა

ტუნისი — ბენინი 5:1
25.10.92 ეთიოპია — ტუნისი 0:0
ბენინი — მაროკო 0:1
20.12.92 ეთიოპია — ბენინი 3:1
ტუნისი — მაროკო 1:1
17.01.93 ბენინი — ტუნისი 0:5
ეთიოპია — მაროკო 0:1
31.01.93 მაროკო — ბენინი 5:0
ტუნისი — ეთიოპია 3:0
28.02.93 მაროკო — ტუნისი 0:0
ბენინი — ეთიოპია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 6 | 4 | 2 | 0 | 13-1 | 10 |
| ტუნისი | 6 | 3 | 3 | 0 | 14-2 | 9 |
| ეთიოპია | 6 | 1 | 1 | 4 | 3-11 | 3 |
| ბენინი | 6 | 1 | 0 | 5 | 3-19 | 2 |

### G ჯგუფი

მავრიტანიამ არ ითამაშა

11.10.92 გაბონი — მოზამბიკი 3:1
25.10.92 მოზამბიკი — სენეგალი 0:1
19.12.92 გაბონი — სენეგალი 3:2
17.01.93 მოზამბიკი — გაბონი 1:1
30.01.93 სენეგალი — მოზამბიკი 6:1
27.02.93 სენეგალი — გაბონი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენეგალი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-4 | 6 |
| გაბონი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 5 |
| მოზამბიკი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-11 | 1 |

### H ჯგუფი

ბურკინა ფასომ არ ითამაშა

11.10.92 მადაგასკარი — ნამიბია 3:0
ზამბია — ტანზანია 2:0
25.10.92 ნამიბია — ზამბია 0:4
ტანზანია — მადაგასკარი 0:0
19.12.92 ტანზანია — ნამიბია 2:0
20.12.92 მადაგასკარი — ზამბია 2:0
16.01.93 ტანზანია — ზამბია 1:3
17.01.93 ნამიბია — მადაგასკარი 0:1
30.01.93 ზამბია — ნამიბია 4:0
27.02.93 ზამბია — მადაგასკარი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზამბია | 4 | 3 | 0 | 1 | 11-3 | 6 |
| მადაგასკარი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| ნამიბია | 4 | 0 | 0 | 4 | 0-12 | 0 |

ტანზანიამ ტურნირი მიატოვა

### I ჯგუფი

მალიმ და გამბიამ არ ითამაშეს

20.12.92 გვინეა — კენია 4:0
27.02.93 კენია — გვინეა 2:0

ფინალური ეტაპი

### A ჯგუფი

16.04.93 ალჟირი — სპილოს ძვლის ნაპირი 1:1
02.05.93 სპილოს ძვლის ნაპირი — ნიგერია 2:1
03.07.93 ნიგერია — ალჟირი 4:1
18.07.93 სპილოს ძვლის ნაპირი — ალჟირი 1:0
25.09.93 ნიგერია — სპილოს ძვლის ნაპირი 4:1
08.10.93 ალჟირი — ნიგერია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ნიგერია** | 4 | 2 | 1 | 1 | 10-5 | 5 |
| სპილოს ძვ. ნაპ. | 4 | 2 | 1 | 1 | 5-6 | 5 |
| ალჟირი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |

### B ჯგუფი

18.04.93 მაროკო — სენეგალი 1:0
04.07.93 ზამბია — მაროკო 2:1
17.07.93 სენეგალი — მაროკო 1:3
08.08.93 სენეგალი — ზამბია 0:0

სენეგალს მატჩი ნეიტრალურ მინდორზე, სპილოს ძვლის ნაპირზე ჩაატარებინეს

26.09.93 ზამბია — სენეგალი 4:0
10.10.93 მაროკო — ზამბია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მაროკო** | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| ზამბია | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 5 |
| სენეგალი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |

### C ჯგუფი

18.04.93 კამერუნი — გვინეა 3:1
02.05.93 გვინეა — ზიმბაბვე 3:0
04.07.93 ზიმბაბვე — კამერუნი 1:0
17.07.93 გვინეა — კამერუნი 0:1
26.09.93 ზიმბაბვე — გვინეა 1:0
10.10.93 კამერუნი — ზიმბაბვე 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **კამერუნი** | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| ზიმბაბვე | 4 | 2 | 0 | 2 | 3-6 | 4 |
| გვინეა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 2 |

## აზია

პირველი ეტაპი

### A ჯგუფი

იორდანიაში

22.05.93 იორდანია — იემენი 1:1
ჩინეთი — პაკისტანი 5:0
24.05.93 იორდანია — ერაყი 1:1
იემენი — პაკისტანი 5:1
26.05.93 იორდანია — ჩინეთი 0:3
ერაყი — იემენი 6:1
28.05.93 ერაყი — პაკისტანი 8:0
იემენი — ჩინეთი 1:0
30.05.93 ერაყი — ჩინეთი 1:0
იორდანია — პაკისტანი 3:1

ჩინეთში

12.06.93 ჩინეთი — პაკისტანი 3:0
იემენი — იორდანია 1:1
14.06.93 ერაყი — იორდანია 4:0
იემენი — პაკისტანი 3:0
16.06.93 ჩინეთი — იორდანია 4:1
ერაყი — იემენი 3:0
18.06.93 ერაყი — პაკისტანი 4:0
ჩინეთი — იემენი 1:0
20.06.93 ჩინეთი — ერაყი 2:1
იორდანია — პაკისტანი 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ერაყი | 8 | 6 | 1 | 1 | 28-4 | 13 |
| ჩინეთი | 8 | 6 | 0 | 2 | 18-4 | 12 |
| იემენი | 8 | 3 | 2 | 3 | 12-13 | 8 |
| იორდანია | 8 | 2 | 3 | 3 | 12-15 | 7 |
| პაკისტანი | 8 | 0 | 0 | 8 | 2-36 | 0 |

### B ჯგუფი

ბირმამ არ ითამაშა

ირანში

23.06.93 სირია — ტაივანი 2:0
ირანი — ომანი 0:0
25.06.93 ირანი — ტაივანი 6:0
ომანი — სირია 0:0
27.06.93 ირანი — სირია 1:1
ომანი — ტაივანი 2:1

სირიაში

| | | |
|---|---|---|
| 02.07.93 | სირია — ტაივანი | 8:1 |
| | ირანი — ომანი | 5:1 |
| 04.07.93 | ირანი — ტაივანი | 6:0 |
| | სირია — ომანი | 2:1 |
| 06.07.93 | ომანი — ტაივანი | 7:1 |
| | სირია — ირანი | 1:1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 6 | 3 | 3 | 0 | 15-2 | 9 |
| სირია | 6 | 3 | 3 | 0 | 14-4 | 9 |
| ომანი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-5 | 6 |
| ტაივანი | 6 | 0 | 0 | 6 | 3-31 | 0 |

C ჯგუფი

ყატარში

| | | |
|---|---|---|
| 09.04.93 | ჩრდ. კორეა — ვიეტნამი | 3:0 |
| | ყატარი — ინდონეზია | 3:1 |
| 11.04.93 | ჩრდ. კორეა — სინგაპური | 2:1 |
| | ყატარი — ვიეტნამი | 4:0 |
| 13.04.93 | ჩრდ. კორეა — ინდონეზია | 4:0 |
| | სინგაპური — ვიეტნამი | 3:2 |
| 16.04.93 | ყატარი — სინგაპური | 4:1 |
| | ვიეტნამი — ინდონეზია | 1:0 |
| 18.04.93 | სინგაპური — ინდონეზია | 2:0 |
| | ყატარი — ჩრდ. კორეა | 1:2 |

სინგაპურში

| | | |
|---|---|---|
| 24.04.93 | ჩრდ. კორეა — ვიეტნამი | 1:0 |
| | ყატარი — ინდონეზია | 4:1 |
| 26.04.93 | სინგაპური — ჩრდ. კორეა | 1:3 |
| | ყატარი — ვიეტნამი | 4:0 |
| 28.04.93 | ჩრდ. კორეა — ინდონეზია | 2:1 |
| | სინგაპური — ვიეტნამი | 1:0 |
| 30.04.93 | სინგაპური — ყატარი | 1:0 |
| | ინდონეზია — ვიეტნამი | 2:1 |
| 02.05.93 | სინგაპური — ინდონეზია | 2:1 |
| | ყატარი — ჩრდ. კორეა | 2:2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრდ. კორეა | 8 | 7 | 1 | 0 | 19-6 | 15 |
| ყატარი | 8 | 5 | 1 | 2 | 22-8 | 11 |
| სინგაპური | 8 | 5 | 0 | 3 | 12-12 | 10 |
| ინდონეზია | 8 | 1 | 0 | 7 | 6-19 | 2 |
| ვიეტნამი | 8 | 1 | 0 | 7 | 4-18 | 2 |

D ჯგუფი

ლიბანში

| | | |
|---|---|---|
| 07.05.93 | ჰონკონგი — ბაჰრეინი | 2:1 |
| | ლიბანი — ინდოეთი | 2:2 |
| 09.05.93 | ბაჰრეინი — კორეა | 0:0 |
| | ლიბანი — ჰონკონგი | 2:2 |
| 11.05.93 | ჰონკონგი — ინდოეთი | 2:1 |
| | ლიბანი — კორეა | 0:1 |
| 13.05.93 | კორეა — ინდოეთი | 3:0 |
| | ლიბანი — ბაჰრეინი | 0:0 |
| 15.05.93 | ბაჰრეინი — ინდოეთი | 2:1 |
| | კორეა — ჰონკონგი | 3:0 |

კორეაში

| | | |
|---|---|---|
| 05.06.93 | ბაჰრეინი — ლიბანი | 0:0 |
| | კორეა — ჰონკონგი | 3:0 |
| 07.06.93 | ბაჰრეინი — ინდოეთი | 3:0 |
| | კორეა — ლიბანი | 2:0 |
| 09.06.93 | ლიბანი — ჰონკონგი | 2:1 |
| | კორეა — ინდოეთი | 7:0 |
| 11.06.93 | ბაჰრეინი — ჰონკონგი | 3:0 |
| | ლიბანი — ინდოეთი | 2:1 |
| 13.06.93 | ინდოეთი — ჰონკონგი | 3:1 |
| | კორეა — ბაჰრეინი | 3:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორეა | 8 | 7 | 1 | 0 | 22-0 | 15 |
| ბაჰრეინი | 8 | 3 | 3 | 2 | 9-6 | 9 |
| ლიბანი | 8 | 2 | 4 | 2 | 8-9 | 8 |
| ჰონკონგი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-18 | 5 |
| ინდოეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 8-22 | 3 |

E ჯგუფი

მალაიზიაში

| | | |
|---|---|---|
| 01.05.93 | საუდის არაბეთი — მაკაო | 6:0 |
| | მალაიზია — ქუვეითი | 1:1 |
| 03.05.93 | ქუვეითი — მაკაო | 10:1 |
| | მალაიზია — საუდის არაბეთი | 1:1 |
| 05.05.93 | ქუვეითი — საუდის არაბეთი | 0:0 |
| | მალაიზია — მაკაო | 9:0 |

საუდის არაბეთში

| | | |
|---|---|---|
| 14.05.93 | ქუვეითი — მალაიზია | 2:0 |
| | საუდის არაბეთი — მაკაო | 8:0 |
| 16.05.93 | ქუვეითი — მაკაო | 8:0 |
| | საუდის არაბეთი — მალაიზია | 3:0 |
| 18.05.93 | მალაიზია — მაკაო | 5:0 |
| | საუდის არაბეთი — ქუვეითი | 2:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდის არაბეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 20-1 | 10 |
| ქუვეითი | 6 | 3 | 2 | 1 | 21-4 | 8 |
| მალაიზია | 6 | 2 | 2 | 2 | 16-7 | 6 |
| მაკაო | 6 | 0 | 0 | 6 | 1-46 | 0 |

F ჯგუფი

იაპონიაში

| | | |
|---|---|---|
| 08.04.93 | იაპონია — ტაილანდი | 1:0 |
| | არაბთა საემიროები — შრი ლანკა | 4:0 |
| 11.04.93 | იაპონია — ბანგლადეში | 8:0 |
| | ტაილანდი — შრი ლანკა | 1:0 |
| 13.04.93 | ბანგლადეში — შრი ლანკა | 1:0 |
| | არაბთა საემიროები — ტაილანდი | 1:0 |
| 15.04.93 | იაპონია — შრი ლანკა | 2:0 |
| | არაბთა საემიროები — ბანგლადეში | 1:0 |
| 18.04.93 | იაპონია — არაბთა საემიროები | 2:0 |
| | ტაილანდი — ბანგლადეში | 4:1 |

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში

| | | |
|---|---|---|
| 28.04.93 | იაპონია — ტაილანდი | 1:0 |
| | არაბთა საემიროები — შრი ლანკა | 3:0 |
| 30.04.93 | იაპონია — ბანგლადეში | 4:1 |
| | არაბთა საემიროები — ტაილანდი | 2:1 |
| 03.05.93 | არაბთა საემიროები — ბანგლადეში | 7:0 |
| | ტაილანდი — შრი ლანკა | 3:0 |
| 05.05.93 | ტაილანდი — ბანგლადეში | 4:1 |
| | იაპონია — შრი ლანკა | 6:0 |
| 07.05.93 | ბანგლადეში — შრი ლანკა | 3:0 |
| | არაბთა საემიროები — იაპონია | 1:1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 8 | 7 | 1 | 0 | 28-2 | 15 |
| არ. საემიროები | 8 | 6 | 1 | 1 | 19-4 | 13 |
| ტაილანდი | 8 | 4 | 0 | 4 | 13-7 | 8 |
| ბანგლადეში | 8 | 2 | 0 | 6 | 7-28 | 4 |
| შრი ლანკა | 8 | 0 | 0 | 8 | 0-26 | 0 |

ფინალური ტურნირი

ყატარში

| | | |
|---|---|---|
| 15.10.93 | ჩრდ. კორეა — ერაყი | 3:2 |
| | საუდის არაბეთი — იაპონია | 0:0 |
| 16.10.93 | კორეა — ირანი | 3:0 |
| 18.10.93 | საუდის არაბეთი — ჩრდ. კორეა | 2:1 |
| | ირანი — იაპონია | 2:1 |
| 19.10.93 | ერაყი — კორეა | 2:2 |
| 21.10.93 | იაპონია — ჩრდ. კორეა | 3:0 |
| 22.10.93 | ერაყი — ირანი | 2:1 |
| | კორეა — საუდის არაბეთი | 1:1 |
| 24.10.93 | ერაყი — საუდის არაბეთი | 1:1 |
| 25.10.93 | იაპონია — კორეა | 1:0 |
| | ირანი — ჩრდ. კორეა | 2:1 |
| 28.10.93 | კორეა — ჩრდ. კორეა | 3:0 |
| | საუდის არაბეთი — ირანი | 4:3 |
| | ერაყი — იაპონია | 2:2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდ. არაბეთი | 5 | 2 | 3 | 0 | 8-6 | 7 |
| კორეა | 5 | 2 | 2 | 1 | 9-4 | 6 |
| იაპონია | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 6 |
| ერაყი | 5 | 1 | 3 | 1 | 9-9 | 5 |
| ირანი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-11 | 4 |
| ჩრდ. კორეა | 5 | 1 | 0 | 4 | 5-12 | 2 |

# მეოთხე იტალიელი და პირველი ბუდისტი

ისევე როგორც შარშანწინ მარკო ვან ბასტენმა, იტალიელმა რობერტო ბაჯომ შარშან მსოფლიოს და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა ყველა გამოკითხვაში პირველი ადგილი დაიკავა. ჯერ იყო და დეკემბრის შუა რიცხვებში თავისი ანკეტის შედეგები გამოაქვეყნა „უორლდ სოკერმა". ამ გამოკითხვაში მხოლოდ ჟურნალის მკითხველები მონაწილეობენ და ამიტომ დანარჩენ ორთან შედარებით ნაკლებად კომპეტენტურია, თუმცა გულშემატკივრებს არაფერი შეშლიათ და ბაჯო პირველ ადგილზე გაიყვანეს (13,5 პროცენტი). მეორე ადგილზე დენის ბერხკამპი გავიდა (11), მესამეზე კი — რუუდ გულიტი (9). ათეულში შევიდნენ: რომარიო (7,5), ფაუსტინიო ასპრილია (7), რაიან გიგზი (6,5), ერიკ კანტონა (6), ფრანკ რაიკაარდი (5,5), მიქაელ ლაუდრუპი (5,25) და რაი (5).

შემდეგ ლას-ვეგასის წილისყრის დროს გამოცხადდა, რომ ბაჯო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია ფიფა-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, რომელშიც 71 ქვეყნის ნაკრებთა მწვრთნელებმა მიიღეს მონაწილეობა. აქ „იუვენტუსის" ვარსკვლავმა 152 ქულა დააგროვა. შემდეგ ადგილებზე გავიდნენ: რომარიო (84 ქულა), ბერხკამპი (58), პეტერ შმაიხელი (29), ხრისტო სტოიჩკოვი (22), ასპრილია (21), ბებეტო (16), რონალდ კუმანი, ენტონი იებოა და რაი.

და ბოლოს, 28 დეკემბერს თავისი ტრადიციული გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა „ფრანს ფუტბოლმა": ბაჯომ ოქროს ბურთი მიიღო 142 ხმით. მას საკმაოდ ჩამორჩნენ ბერხკამპი (83) და კანტონა (34).

26 წლის რობერტო ბაჯო მეოთხე იტალიელია, ვინც „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვის შედეგად ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად სცნეს. მანამდე იგივე პატივი წილად ხვდენიათ ომარ სივორის, ჯანი რივერასა და პაოლო როსის. ფეხბურთი იქით იყოს და ბაჯო, თურმე ნუ იტყვით, ბუდისტი ყოფილა, რასაც ნაწნავიც მოწმობს. ამ რწმენას რობერტო მაშინ ზიარებია, მძიმედ დაშავებული რომ ყოფილა და მალე მომჯობინებულა. ასე რომ, ბაჯო პირველი ბუდისტია მრავალ ქრისტიანთა და თითო-ოროლა ათეისტის შემდეგ, ვინც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მიიღო.



**რობერტო ბაჯო**

დაიბადა 1967 წლის 18 თებერვალს კალდონიოში

1982-85 სერია C „ვიჩენცა" 36 მატჩი, 3 გოლი
1985-90 სერია A „ფიორენტინა" 94 მატჩი, 39 გოლი
1990- სერია A „იუვენტუსი" 107 მატჩი, 62 გოლი
ევროპულ ტურნირებში — 37 მატჩი, 19 გოლი
იტალიის ნაკრებში — 32 მატჩი, 19 გოლი
დებიუტი ნაკრებში — 1986 წლის 16 ნოემბერს
(პოლანდიასთან 1:0)




ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ლას-ვეგასის წილისყრამდე ორი კვირით ადრე ფიფა-მ მოაწყო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომლის შედეგებიც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლად ფეხბურთის უმეცარი ქვეყნის არჩევა მთლად გამართლებული ვერ უნდა იყოს. თურმე ნუ იტყვით, ამერიკელთა ორ მესამედს ჯერაც არ სცოდნია, მათს ქვეყანაში ამ ზაფხულს მსოფლიო ფეხბურთის დიდი შოუ რომ უნდა ჩატარდეს. ფიფას ნუგეშად ისღა თუ ექნება, რომ მეგაპოლისებში გამოკითხულთა 57 პროცენტი თამაშების ტელერეპორტაჟების ცქერას აპირებს. და კიდევ ის, რომ ბრაზილიაში იგივე მაჩვენებლები ერთი მეასედისა (!!) და 93 პროცენტის ტოლია.

ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲘᲡ ნაკრები, მეტსახელად „სუპერ-არწივები" რომ ჰქვია, დიდ სამზადისშია მსოფლიო პირველობისთვის. იანვარში იგი ჯერ ინდოეთში ისპარეზებს ჯავაჰარლალ ნერუს თასზე, მერე კი სამხრეთ აფრიკაში ოთხთა ტურნირში გამოვა. ნიგერიელებმა შარშან 10 თამაში გამართეს, რომელთაგან 5 მოიგეს, 3-ჯერ ფრეს დასჯერდნენ, 2-ჯერ კი დამარცხდნენ. ამ მაჩვენებლებით „არწივებმა" ფიფასეულ კლასიფიკაციაში უკან მოიტოვეს კამერუნელი და ზამბიელი „ლომები". ნიგერია ერთადერთი აფრიკული გუნდია, ვინაც ორ კურდღელს მისდევს: მარტში აფრიკის ერთა თასზე ტუნისში ისპარეზებს, ივნის-ივლისში კი აშშ-ში, მსოფლიო თასზე. აქამდე მის ტექნიკურ მრჩევლად, ანუ უფროს მწვრთნელად ჰოლანდიელი კლემენს ვესტერჰოფი ილვწოდა, მაგრამ როგორც ირკვევა, ქვეყნის სპორტის საბჭოს მეთაურს, ბელადჟ აკინვუნმის დიდი გეგმები აქვს და თანამწვრთნელს ეძებს. ბელადს ერთბაშად ოთხი კაცისთვის დაუჭამს თვალი, თანაც ოთხივე მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ყოფილა ინგლისთან: ტერი ვენეიბლზი „ტოტენჰემისა" და „ბარსელონის" მწვრთნელი ყოფილა, სტივ კოპელი — „კრისტალ პალასის" ექს-მენეჯერი, არგენტინელი ოსვალდო არდილესი ისევ და ისევ „ტოტენჰემის" ამჟამინდელი მწვრთნელია, ბობი რობსონი კი ინგლისის ნაკრებს წვრთნიდა, ახლახანს კი ლისაბონის „სპორტინგმა" გააგდო. აკინვუნმის თქმით, მისთვის მთავარი მწვრთნელის განსწავლულობა ყოფილა, ისე კი ვენეიბლზი თურმე ყველას ურჩევნია. არადა, ვენეიბლზი და კოპელი ინგლისის ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატებად ითვლებიან, პირველ მათგანს კი უელსიც ებატიჟება ტერი იორატის ნაცვლად.

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ ფეხბურთი მორიგ ინტრიგებსა და შინაომებში გაეხვია. ვან ბასტენი საფუძვლიანადაა დაშავებული, გულიტს კი დიკ ადვოკაატის ქვეშევრდომობა არა სურს და ნაკრებს არ ეკარება, გინდათ თუ არა, იოჰან კრუიფი დანიშნეთ მწვრთნელადო. მართლაც, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია ლას-ვეგასის წილისყრის კვირაძალს მოელაპარაკა „ბარსელონის" მწვრთნელს, მაგრამ ვერ მოურიგდა: კრუიფს ნაკრების თავკაცობისათვის მეტისმეტად ბევრი ფულიც უთხოვია და, გარდა ამისა, ჰოლანდიის ნაკრებისა და თავად კრუიფის საბიზნესო საქმეები თურმე ერთმანეთს არ ეთავსება, რაკილა ისინი ტანისამოსის სხვადასხვა მწარმოებლებს უწევენ რეკლამას. კრუიფს მოსაფიქრებლად მეტი დრო მოუთხოვია, მაგრამ ფედერაციას უთქვამს, ლას-ვეგასის წარმოდგენა ბოლო ვადა იყოო. ამასობაში გაირკვა, რომ ჰოლანდიელები დიკ ადვოკაატს 1994 წლის 1 აგვისტოდან ოთხწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ. საამერიკოდ გუნდის მომზადებაც მას დააკისრეს და საფიქრად დროც ბევრი მისცეს. ჰოდა, ადვოკაატიც დაყაბულდა და ჰოლანდიის ფეხბურთის კრუიფისმოძულე მამებმაც 23 დეკემბერს დიდი ზარ-ზეიმით აუწყეს მსოფლიოს, რომ მსოფლიო პირველობაზე ნაკრებს გაწვრთნის დიკ ადვოკაატი.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲛ და ინგლისმა გადაწყვიტეს, რომ გადადონ ამხანაგური თამაში, ამ ქვეყნების ნაკრებებს 20 აპრილს ჰამბურგში რომ უნდა გაემართათ. საქმე ისაა, რომ 20 აპრილს ჰიტლერის დღეობაა, სტუმარ-მასპინძელი კი შიშობენ, რომ თამაშს მრავლად დაესწრებიან ორივე ქვეყნის ნეონაცისტი „ფანები" და ემანდ არ იჩხუბონო.

ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘᲡ „მოუთვინიერებელ ლომებს" კარგად ვერა აქვთ საქმე: ჯერ იყო და ჰერცელში წააგეს ისრაელთან 1:5, ორი დღის თავზე კი ფიფამ აუკრძალა შინ, იაუნდეს ეროვნულ სტადიონზე თამაშების გამართვა. საქმე ისაა, რომ ქალაქის ერთადერთი სპორტული ბაზა, 65 ათას კაცს რომ იტევს და 1972 წელს აფრიკის ერთა თასის სამასპინძლოდ ნაჩქარევად რომ აუშენებიათ, ისე გაპარტახებულია, რომ დანგრევის პირასაა და მისი დირექტორის ვინსენტ ანანას თქმით, თუ სასწრაფოდ 345 ათასი დოლარი არ გამოინახა სარემონტოდ, მერე საქმეს ალარაფერი ეშველებაო. არადა, ქვეყანაში კრიზისი ყოფილა და მთავრობა ამდენ ფულს ფეხბურთს თურმე ვერ დაახარჯავს.

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐᲛ ფიფას სთხოვა, რომ კლაუდიო კანიჯას შეუმსუბუქოს 13-თვიანი დისკვალიფიკაცია, „რომაში" თამაშისას კოკაინის ხმარებისათვის რომ მისცეს და მაისში რომ მთავრდება. თუ შუამდგომლობამ გაჰრა, კანიჯამ შესაძლოა ითამაშოს 3 მარტს, რიო-დე ჟანეიროში ბრაზილიის წინააღმდეგ, შემდეგ კი მაისში ისპარეზოს „კირინის თასზე", რომელიც იაპონიაში გაიმართება.

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲗᲐ უმრავლესობამ 1993 წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენად ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მსოფლიო პირველობის ფინალში გასვლა მიიჩნია. ნაკრების ინგლისელი მწვრთნელი ჯეკ ჩარლტონი ქვეყნის უპოპულარულესი ადამიანია. მას ხმა მისცა გამოკითხულთა 38 პროცენტმა. ჩარლტონმა შორს მოიტოვა სამი პოლიტიკოსი, ხალხს ოლსტერის კრიზისის მოგვარებას რომ პირდებიან: კათოლიკეთა წინამძღოლი ჯონ ჰიუმი, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ალბერტ რეინოლდზი და „შინ ფეინის" ექსტრემისტი ლიდერი ჯერი ადამზი.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ნაკრების კრიზისი გრძელდება. 26 დეკემბერს ფეხბურთელებმა პრეს-კონფერენცია მოაწყვეს და განაცხადეს, რომ სადირინის ხელმძღვანელობით არ ითამაშებდნენ. პასუხმა არ დააყოვნა და ამჯერად მართლმადიდებლური შობის წინა დღეს უკვე კოლოსკოვი და სადირინი შეხვდნენ ჟურნალისტებს. საბჭოთა და ამჯერად რუსული ფეხბურთის უცვლელმა ლიდერმა აღიარა ფედერაციის ზოგი შეცდომა და განაცხადა, რომ ფეხბურთელებს ყველაფრის შესახებ მოელაპარაკება, გარდა ერთისა — ნაკრების მწვრთნელი ყველა შემთხვევაში სადირინი იქნებაო. რუსეთის პრესა ეჭვს გამოთქვამს, რომ მოლაპარაკება შედგება და ყველაფერი ნაკრებისთვის სასიკეთოდ დამთავრდება.

## ესპანეთი

XVII ტური. 2 იანვარი. სევილია — რეალ სოსიედადი 1:0, რეალი — ალბასეტე 2:0, სპორტინგი — ბარსელონა 2:0, სელტა — სარაგოსა 1:0, ვალენსია — ოსასუნა 0:0, ლოგრონიესი — ვალიადოლიდი 0:0, რაიო ვალეკანო — ლა კორუნია 0:0, ლერიდა — ოვიედო 1:1, ტენერიფე — ატლეტიკო 1:1, ატლეტიკი — სანტანდერი 1:2.

XVIII ტური. 8-9 იანვარი. ატლეტიკი — რეალ სოსიედადი 0:0, ალბასეტე — სევილია 2:2, სარაგოსა — სპორტინგი 3:0, ოსასუნა — სელტა 0:1, ვალიადოლიდი — ვალენსია 1:1 ლა კორუნია — ლოგრონიესი 3:0, ოვიედო — რაიო ვალეკანო 5:0, ატლეტიკო — ლერიდა 0:0, სანტანდერი — ტენერიფე 1:0, ბარსელონა — რეალი 5:0.

შაბათს ტურის ცენტრალურ მატჩში „ბარსელონამ" ისტორიული გამარჯვება მოიპოვა თავის მთავარ მოქიშპე „რეალთან". ასეთი ანგარიში ამ გუნდებს შორის 20 წლის წინ აღინიშნა, როცა „ბარსამ" სტუმრად მოიგო. ორივე გამარჯვების სულისჩამდგმელი იოჰან კრუიფი იყო: პირველად როგორც ფეხბურთელი და ახლა — როგორც მწვრთნელი. თამაშმა გაძევებებისა და აყალ-მაყალის გარეშე ჩაიარა და მსაჯმა მხოლოდ სტოიჩკოვი გააფრთხილა. შემადგენლობები ასეთი იყო: „ბარსელონა": სუბისარეტა, ფერერი, გვარდიოლა, კუმანი, სერხი, ბაკერო, ნადალი, სტოიჩკოვი (ლაუდრუპი 58), ამორი, რომარიო, გოიკოეჩეა (ივანი 80). „რეალი": ბუიო, ლორენტე, ლასა, ალკორტა, სანჩისი, მიია (ბუტრაგენიო 54), ლუის ენრიკე, მიჩელი, სამორანო, პროსინეჩკი, ალფონსო (იერო 25). ბუიოს გოლები გაუტანეს რომარიომ (24, 56, 81), კუმანმა (47) და ივანმა (86).

ზეგ პირველი წრის ბოლო ტური გაიმართება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა კორუნია (3) | 18 | 11 | 5 | 2 | 24-5 | 27 |
| ბარსელონა (1) | 18 | 11 | 3 | 4 | 38-18 | 25 |
| ატლეტიკი (8) | 18 | 9 | 4 | 5 | 30-21 | 22 |
| სპორტინგი (13) | 18 | 10 | 2 | 6 | 23-20 | 22 |
| რეალი (2) | 18 | 9 | 3 | 6 | 26-22 | 21 |
| სევილია (7) | 18 | 7 | 6 | 5 | 26-18 | 20 |
| ალბასეტე (17) | 18 | 5 | 9 | 4 | 26-24 | 19 |
| სანტანდერი (დ) | 18 | 8 | 3 | 7 | 19-17 | 19 |
| სოსიედადი (12) | 18 | 7 | 5 | 6 | 23-24 | 19 |
| ვალენსია (4) | 18 | 7 | 5 | 6 | 20-22 | 19 |
| ატლეტიკო (6) | 18 | 5 | 8 | 5 | 28-23 | 18 |
| სარაგოსა (9) | 18 | 7 | 4 | 7 | 28-24 | 18 |
| ოვიედო (16) | 18 | 6 | 6 | 6 | 19-22 | 18 |
| სელტა (11) | 18 | 5 | 6 | 7 | 15-21 | 16 |
| რაიო ვალ. (14) | 18 | 6 | 3 | 9 | 24-34 | 15 |
| ტენერიფე (5) | 18 | 6 | 3 | 9 | 21-30 | 15 |
| ლოგრონ. (15) | 18 | 4 | 6 | 8 | 23-29 | 14 |
| ვალიადოლ. (დ) | 18 | 3 | 6 | 9 | 12-25 | 12 |
| ოსასუნა (10) | 18 | 4 | 3 | 11 | 15-27 | 11 |
| ლერიდა (დ) | 18 | 3 | 4 | 11 | 10-24 | 10 |

ბომბარდირები:

რომარიო (ბარსელონა) — 16
დავორ შუკერი (სევილია) — 13
უგო სანჩესი (რაიო ვალეკანო) — 12
მეხო კოდრო (სოსიედადი) — 10
ოლეგ სალენკო (ლოგრონიესი) — 10

## იტალია

XVII ტური. 2 იანვარი. კალიარი — ლეჩე 2:1, ჯენოა — კრემონეზე 1:0, ინტერი — ატალანტა 1:2, ლაციო — სამპდორია 1:1, ნაპოლი — ფოჯა 1:1, პიაჩენცა — პარმა 1:1, რეჯანა — მილანი 0:1, ტორინო — რომა 1:1, უდინეზე — იუვენტუსი 0:3.

XVIII ტური. 9 იანვარი. სამპდორია — ნაპოლი 4:1, მილანი — ლეჩე 0:0, ფოჯა — ლაციო 4:1, ტორინო — პიაჩენცა 1:0, რეჯანა — ინტერი 1:0, კრემონეზე — იუვენტუსი 1:1, პარმა — უდინეზე 0:1, რომა — ჯენოა 1:1, კალიარი — ატალანტა 1:1.

გადატანილი მატჩი. 23 დეკემბერი. უდინეზე — მილანი 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი (1) | 18 | 10 | 7 | 1 | 20-8 | 27 |
| სამპდორია (7) | 18 | 11 | 3 | 4 | 32-23 | 25 |
| იუვენტუსი (4) | 18 | 9 | 6 | 3 | 32-18 | 24 |
| პარმა (3) | 18 | 9 | 4 | 5 | 25-14 | 22 |
| ლაციო (5) | 18 | 7 | 7 | 4 | 22-19 | 21 |
| ტორინო (9) | 18 | 8 | 4 | 6 | 23-17 | 20 |
| ინტერი (2) | 18 | 7 | 6 | 5 | 22-16 | 20 |
| ნაპოლი (11) | 18 | 7 | 5 | 6 | 26-21 | 19 |
| კრემონეზე (დ) | 18 | 6 | 7 | 5 | 20-16 | 19 |
| ფოჯა (12) | 18 | 4 | 10 | 4 | 24-21 | 18 |
| რომა (10) | 18 | 5 | 8 | 5 | 17-17 | 18 |
| კალიარი (6) | 18 | 6 | 5 | 7 | 24-30 | 17 |
| პიაჩენცა (დ) | 18 | 4 | 7 | 7 | 14-24 | 15 |
| ჯენოა (13) | 18 | 4 | 6 | 8 | 14-23 | 14 |
| რეჯანა (დ) | 18 | 4 | 6 | 8 | 11-21 | 14 |
| ატალანტა (8) | 18 | 4 | 6 | 8 | 19-31 | 14 |
| უდინეზე (14) | 18 | 3 | 6 | 9 | 11-24 | 12 |
| ლეჩე (დ) | 18 | 1 | 3 | 14 | 14-30 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი ერის პირველობა

# უცვლელი არაფერი ყოფილა

ხუთი ერის პირველობა, რომელიც შაბათს იწყება, უნიკალური და უდიდესი ტრადიციების მქონე ასპარეზობაა. თუ მის მონაწილეთა ურთიერთშეხვედრების ბალანსს გადავხედავთ, იოლად დავრწმუნდებით, რომ არათუ რაგბის, ბურთაობის რაგინდარა სახეობის მასშტაბით მას ძნელად თუ დაეძებნება ბადალი. საუკუნე თუ არა, ნახევარი ასწლეული ან მეტი ხანი მაინცაა, რაც ზამთარ-გაზაფხულის ორი გამორჩეული უიკ-ენდის განმავლობაში ბრიტანელთა, ირლანდიელთა და ფრანგთა რაგბზე გადარეული ოჯახები გუდა-ნაბადს აიკრავენ და თავიანთ ნაკრებს საქომაგოდ სტუმრად მიყვებიან, იქ კი თამაშის შემდეგ შედეგის მიუხედავად ლუდხანებში იქაურ გულშემატკივრებს უმეგობრდებიან და მათ დიდი თამაშის დღეგრძელობაში ეჯიბრებიან. ეს სანაქებო ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემა და სპორტის სხვა სახეობათა მიმდევრებს შურით ავსებს.

აი, რაც შეეხება შეჯიბრების უნიკალურობას, უფრო კი ორიგინალურობას, საქმე ისაა, რომ ესოდენ ცნობილი ტურნირი შარშანდლამდე არაოფიციალური იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ არ არსებობდა ორგანო, რომელიც მას განაგებდა, შეჯიბრებას არ ჰქონდა დებულება და არც გამარჯვებულის სარგო ჯილდო, და მონაწილე ქვეყნების რაგბის კავშირებს ოფიციალურ საბუთებში თუ გამოცემებში ამ შეჯიბრებზე არაფერი ეწერათ.

ამის მაგივრად შეჯიბრება წარმოადგენდა ტრადიციულ ყოველწლიურ საერთაშორისო თამაშების სერიას, რომელიც მას შემდეგ, რაც ჩვენი გულშემატკივარი რაგბს ეზიარა, ყოველთვის ნაახალწლევს იწყებოდა და გაზაფხულზე მთავრდებოდა. პირველობის ცხრილს ადგენდა მხოლოდ მედია და ადგილებსაც არაოფიციალურად ანაწილებდა.

პირველი პირველობა 1884 წელს მოეწყო, როცა ოთხივე ბრიტანული ქვეყანა ეთამაშა ერთმანეთს. როგორც ისტორიკოსებმა დაადგინეს, დაახლოებით 1894 წელს პრესამ შეჯიბრება პირველად მოიხსენია საერთაშორისო ჩემპიონატად. 1910 წლიდან, როცა ბრიტანეთის ყველა გუნდი ეთამაშა საფრანგეთს, ფორმალურად ფრანგებიც ჩაებნენ შეჯიბრებაში, მაგრამ 1920-იან წლებამდე ბრიტანული გაზეთები ცხრილებს რომ აქვეყნებდნენ, საფრანგეთს სათვალავში არ აგდებდნენ.

1932 წლიდან ბრიტანულმა პრესამ ისევ გაიხარა, რაკიღა ფრანგებს ფარული პროფესიონლიზმი დაბრალდათ და მოკვეთილ იქნენ. მეორე მსოფლიო ომის მოახლოებამ ბრიტანელები ფრანგებთან შეარიგა, მაგრამ მათთან თამაშების განახლება ომის შემდეგღა მოხერხდა და მასუკან ხუთი ერის პირველობა ერთი გამონაკლისის გარდა დიდთოვლობასა და ყინვას თუღა შეუფერხებია.


ინგლის— უელსის შარშანდელი თამაში

დღესდღეობით თამაშთა განრიგი ემყარება გამოწვლილვითს როტაციულ სისტემას, რომლის თანახმადაც ტურნირის კალენდარი ხუთ და ათწლიანი ციკლებით მეორდება. მატჩები იმართება იანვრის პირველ შაბათს, თებერვლის პირველი და მესამე შაბათსა და მარტის პირველსა და მესამე შაბათს. გუნდები წელიწადგამოშვებით მასპინძლობენ და სტუმრობენ ერთმანეთს ერთსა და იმავე სტადიონებზე, თითოეული მათგანი თავთავისი ქვეყნის სარაგბო მექად რომაა ცნობილი.

ტურნირს უდიდესი რეზონანსი აქვს. ოდენ ბილეთების გაყიდვით თითოეული რაგბის კავშირი ყოველწლიურად ორი თამაშის მასპინძლობით მილიონ გირვანქაზე მეტ ხეირს ნახულობს, ბილეთების განაწილება კი თუმცა ერთნაირად რაგბის კლუბის მეშვეობით ხდება, მაგრამ შავი ბაზარი მათით მუდამ სავსეა და ფასი 500 გირვანქასაც აღწევს ხოლმე.

ამ ქვეყნად უცვლელი არაფერია და სიახლე ხუთი ერის პირველობასაც შეეხო. შარშან დაიწერა დებულება, რომელშიც სამად-სამი (!) მუხლია, ვინმე ლორდმა ბურგჰერშმა კი გამარჯვებულისათვის დააწესა ვერცხლის თასი, სამ ბოთლ შამპანიურს რომ იტევს. კონსერვატორობით ცნობილი ინგლისელები ამასაც არ დასჯერდნენ და ბრძანეს, ხომ არ აჯობებდა, ტურნირი მარტ-აპრილის ხუთ მომდევნო უიკ-ენდზე რომ გაგვემართა, თორემ შინაური ჩემპიონატის გამართვაში ხელს გვიშლისო. არადა სულ რაღაც ათი წლის წინ ინგლისს საკლუბო ჩემპიონატის გაგონებაც არ სურდა!

ინგლისის მენეჯერ ჯეფ კუკს სხვა იდეაც ჰქონია. მისი აზრით ხუთი ერის პირველობა იტალიის, კანადის ან რუმინეთის მიზიდვით ჩრდილოეთ ნახევარსფეროს პირველობის ზედა ჯგუფად უნდა იქცეს, იერარქიის მომდევნო დონეებად კი ფირა-ს არსებული სტრუქტურებიც ივარგებენო. არადა მეექვსე მონაწილის დამატება ახლაც არაა საპრობლემო — საკმარისია დღევანდელი ხუთეული დაყაბულდეს და ერთ ტურში უქმობის ნაცვლად ამ მეექვსე გუნდს ეთამაშოს, მაგრამ როგორ შეურიგდება მაჩანჩალის ელიტიდან გავარდნას, დღესაც ძნელი წარმოსადგენია.

ერთი სიტყვით, აღდგომა და ხვალეო!

**ზაალ ბიბინეიშვილი**

ქვემოთ გთავაზობთ ხუთი ერის პირველობის შემაჯამებელ ცხრილს სადაც ნაჩვენებია თითოეული გუნდის მიერ მოგროვილი ქულების რაოდენობა წლების მიხედვით. აქედან იოლად ირკვევა, ვინ რომელი ადგილი დაიჭირა. შარშანდლამდე გუნდები ქულებს თუ თანაბრად დააგროვებდნენ, უკეთეს ადგილს, მათ შორის — პირველსაც, გაიყოფდნენ ხოლმე.

ცხრილში, წლიურ მონაგართა შემდეგ მოტანილია თამაშთა ჯამური რაოდენობა (თ), ქულათა ჯამი (ქ), ჩემპიონობის რიცხვი (ჩ), ერთპიროვნული ჩემპიონობის რაოდენობა (ე), დიდი სლემის (ანუ ოთხივე მეტოქის ძლევის) რაოდენობა (დს) და ვაითვოშის (ოთხივე თამაშის წაგების) ოდენობა (ვ).

პირველობის მთელი ისტორიის მანძილზე სულ სამი მატჩი არ გაიმართა: 1914 წელს შოტლანდია არ ეთამაშა საფრანგეთს იმიტომ, რომ წინა წელს არ მოეწონა პარიზელი მაყურებლის საქციელი. 1972 წელს ალსტერის სისხლიანი კვირის საბაბით დიდი ბრიტანეთის გუნდები — უელსი და შოტლანდია მოერიდნენ ირლანდიის რესპუბლიკის დედაქალაქ დუბლინში სტუმრობას.

| ინგლისი | |
|---|---|
|  | ვარდი |
| მოსახლეობა | 48 000 000 |
| სარაგბო გაერთიანება | Rugby Football Union (1871) |
| კლუბები; მოთამაშეები | 1 800; 260 000 |
| მთავარი ასპარეზი | თვიქნემი, ლონდონი (56 000; 1909) |
| კვართის ფერი | თეთრი |

| საფრანგეთი | |
|---|---|
|  | მამალყინწა |
| მოსახლეობა | 55 800 000 |
| სარაგბო გაერთიანება | Federation Francaise de Rugby (1920) |
| კლუბები; მოთამაშეები | 1 785; 230 000 |
| მთავარი ასპარეზი | პარკ დე პრენსი, პარიზი (49 500; 1906, 1973) |
| კვართის ფერი | ლურჯი |

| ირლანდია | |
|---|---|
|  | სამყურა |
| მოსახლეობა | 5 000 000 (სრულიად ირლანდია) |
| სარაგბო გაერთიანება | Irish Rugby Football Union (1874) |
| კლუბები; მოთამაშეები | 275; 16 000 |
| მთავარი ასპარეზი | ლენზდაუნ როუდი, დუბლინი (51 500; 1878) |
| კვართის ფერი | მწვანე |

| შოტლანდია | |
|---|---|
|  | ნარშავი |
| მოსახლეობა | 4 800 000 |
| სარაგბო გაერთიანება | Scottish Rugby Union (1873) |
| კლუბები; მოთამაშეები | 265; 15 000 |
| მთავარი ასპარეზი | მარიფილდი, ედინბურგი (53 000; 1925) |
| კვართის ფერი | იისფერი |

| უელსი | |
|---|---|
|  | პრასი |
| მოსახლეობა | 2 800 000 |
| სარაგბო გაერთიანება | Welsh Rugby Union (1881) |
| კლუბები; მოთამაშეები | 555; 30 000 |
| მთავარი ასპარეზი | არმზ პარკი, კარდიფი (52 500; 1884) |
| კვართის ფერი | წითელი |

ქვეყანა
მოსახლეობა
ტოტემი
სარაგბო გაერთიანება (შექმნის წელი)
კლუბთა და მოთამაშეთა რაოდენობა
მთავარი ასპარეზი (ტევადობა, ნათლობის წელი)
კვართის ფერი

## წლევანდელი განრიგი

15 იანვარი. უელსი — შოტლანდია; საფრანგეთი — ირლანდია
5 თებერვალი. შოტლანდია — ინგლისი; ირლანდია — უელსი
19 თებერვალი. უელსი — საფრანგეთი; ინგლისი — ირლანდია
5 მარტი. ირლანდია — შოტლანდია; საფრანგეთი — ინგლისი
19 მარტი. შოტლანდია — საფრანგეთი, ინგლისი — უელსი

## შარშანდელი შედეგები

შოტლანდია 15 (2 ლ) — ირლანდია 3, ინგლისი 16 (1) — საფრანგეთი 15 (2); საფრანგეთი 11 (1) — შოტლანდია 3, უელსი 10 (1) — ინგლისი 9; შოტლანდია 20 (1) — უელსი 0, ირლანდია 6 — საფრანგეთი 21 (2); ინგლისი 26 (3) — შოტლანდია 12, უელსი 14 (1) — ირლანდია 19 (1); საფრანგეთი 26 (3) — უელსი 10 (1), ირლანდია 17 (1) — ინგლისი 3

## ჯამური შედეგები (თ: მ, ფ, წ)

უელსი — ინგლისი 99: 48, 12, 39; უელსი — საფრანგეთი 67: 36, 3, 28; უელსი — ირლანდია 96: 57, 6, 33; უელსი — შოტლანდია 97: 53, 2, 42

ინგლისი — საფრანგეთი 69: 38, 7, 24; ინგლისი — ირლანდია 105: 60, 8, 37; ინგლისი — შოტლანდია 110: 54, 17, 39

საფრანგეთი — ირლანდია 66: 36, 5, 25; საფრანგეთი — შოტლანდია 64: 31, 3, 30

ირლანდია — შოტლანდია 104: 45, 4, 55

| | 191. | | | | | 192. | | | | | | | | | | 193. | | 194. | | | 195. | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 0 | 1 | 7 | 8 | 9 | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| უელსი | 6 | 8 | 4 | 5 | 6 | 6 | 4 | 7 | 2 | 2 | 2 | 5 | 2 | 2 | 5 | 4 | 7 | 6 | 3 | 2 | 8 | 3 | 8 | 6 | 6 | 6 | 6 | 4 | 5 | 4 |
| ინგლისი | 7 | 4 | 6 | 8 | 8 | 6 | 8 | 5 | 6 | 8 | 5 | 3 | 4 | 8 | 4 | 5 | 1 | 6 | 1 | 4 | 2 | 2 | 6 | 7 | 6 | 3 | 4 | 8 | 6 | 4 |
| საფრანგეთი | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 4 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 2 | 0 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 3 | 6 | 2 | 2 | 6 | 6 | 4 | 0 | 4 | 5 |
| ირლანდია | 3 | 6 | 6 | 2 | 4 | 0 | 2 | 2 | 2 | 4 | 5 | 6 | 6 | 6 | 5 | 4 | 4 | 4 | 6 | 6 | 3 | 7 | 4 | 5 | 2 | 1 | 4 | 4 | 2 | 4 |
| შოტლანდია | 4 | 0 | 4 | 4 | 0 | 6 | 2 | 4 | 4 | 4 | 8 | 6 | 6 | 2 | 6 | 3 | 4 | 0 | 4 | 4 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 4 | 2 | 4 | 3 | 3 |

| | 196. | | | | | | | | | | 197. | | | | | | | | | | 198. | | | | | | | | | | 199. | | | | თ | ქ | ჩ | ე | დს | ვ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 0 | 1 | 2 | 3 | | | | | | |
| უელსი | 4 | 4 | 4 | 2 | 6 | 6 | 6 | 2 | 3 | 7 | 6 | 8 | 6 | 4 | 4 | 6 | 8 | 6 | 8 | 6 | 4 | 4 | 2 | 5 | 4 | 4 | 4 | 2 | 6 | 2 | 0 | 1 | 4 | 2 | 255 | 295 | 22 | 15 | 6 | 1 |
| ინგლისი | 7 | 3 | 4 | 7 | 3 | 3 | 1 | 4 | 4 | 4 | 2 | 3 | 0 | 4 | 3 | 2 | 0 | 4 | 4 | 3 | 8 | 4 | 5 | 1 | 2 | 3 | 4 | 2 | 4 | 5 | 6 | 8 | 8 | 4 | 256 | 284 | 21 | 15 | 10 | 2 |
| საფრანგეთი | 7 | 7 | 6 | 4 | 3 | 5 | 5 | 6 | 8 | 1 | 6 | 4 | 2 | 4 | 4 | 4 | 6 | 8 | 6 | 5 | 2 | 8 | 2 | 6 | 6 | 6 | 6 | 8 | 6 | 6 | 4 | 6 | 4 | 6 | 255 | 253 | 18 | 10 | 4 | 8 |
| ირლანდია | 0 | 2 | 1 | 3 | 2 | 5 | 3 | 4 | 5 | 6 | 4 | 3 | 4 | 4 | 5 | 4 | 2 | 0 | 2 | 4 | 4 | 0 | 6 | 6 | 0 | 7 | 0 | 4 | 2 | 2 | 2 | 1 | 0 | 4 | 254 | 222 | 11 | 5 | 1 | 7 |
| შოტლანდია | 2 | 4 | 5 | 4 | 6 | 1 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 2 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 2 | 0 | 2 | 2 | 4 | 5 | 2 | 8 | 0 | 6 | 4 | 2 | 5 | 8 | 4 | 4 | 4 | 254 | 218 | 10 | 4 | 3 | 9 |

# მაგათ რა დააძღებთ

RUGBY WORLD CUP

კვირას, 2 იანვარს, „სანდი თაიმსმა" სენსაციური ცნობა გამოაქვეყნა. თურმე ნუ იტყვით, მსოფლიო რაგბის მამებს უხუმრად გადაუწყვეტიათ მსოფლიო თასის მესამე გათამაშების ფორმატის შეცვლა. ახლა და მედია არ ისვენებს და წამდაუწუმ გვახსენებს, სამხრეთ აფრიკაში შეჯიბრების გამართვა სახიფათო რომაა, ჩვენც ყურად ვიღეთ მათი გაფრთხილება და გადავწყვიტეთ, უსაფრთხოებისათვისა და ხარჯების შესამცირებლადაც თამაშები 13-ის ნაცვლად ოთხ ქალაქში უნდა გაიმართოსო.

მერე აღარ იკითხავთ, რომელი ოთხი ქალაქი იგულისხმება? — რაღა თქმა უნდა, ის ექვსეული, ქვეყნის საშინაო შეჯიბრის — ქარრის თასის გათამაშების ცალკე, ელიტარულ ჯგუფში რომ გამოყავს თითო გუნდი, ე.ი. იოჰანესბურგი, პრეტორია, დურბანი, ბლუმფონტეინი, პორტ-ელიზაბეთი და კეიპტაუნი. არადა, თუ სადმე ტერორისტული ალიაქოთი, სროლა, ცემა-ტყება, აფეთქებები და კაცის კვლა, უპირველესყოვლისა დურბანსა და იოჰანესბურგის გარეუბნებში.

ერთი სიტყვით, უსაფრთხოებაზე ზრუნვა ყურით მოთრეულ მიზეზსა ჰგავს. სიმართლეს უფრო ის შეეფერება, რომ დიდ ექვსეულს, რომელიც დიდძალ ფულს ატრიალებს, არა სურს, წილში სხვაც რომ ჩაუდგეს. პირველი განაწილების მიხედვით ჩემპიონატის 32 თამაშიდან ოთხ-ოთხი ერგოთ იოჰანესბურგს, პრეტორიასა და დურბანს, სამ-სამი — კეიპტაუნს, პორტ-ელიზაბეთსა და რიუსტენბურგს, ორ-ორი — ბლუმფონტეინს, პოჩეფსტრუმს, პიტერმარიცბურგსა და ისტ-ლანდონს, თითო კი — ვიტბანკს, ველინგტონსა და სტელენბოსხს. ადვილი გამოსათვლელია, რომ თუ მამებს ხრიკი გაუვათ, უძღები მეგაპოლისები დამატებით 12 თამაშსაც დაინაწილებენ და ალბათ დაძღებიან.




ისე კი, მსოფლიო თასებზე აქამდე კარგი ტრადიცია იყო, შეჯიბრების სულისკვეთება ერთბაშად ბევრ ქალაქს რომ დაეგემოვნებინა. 1987 წელს ახალზელანდიასა და ავსტრალიაში თამაშები ერთბაშად 11 ქალაქში გაიმართა, 1991 წელს, ხუთი ერის პირველობის ქვეყნებში კი — ერთბაშად 19 ადგილას. თუ გაისად ასე ვერ მოხდა, მსოფლიო რაგბი ბევრს დაკარგავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰოპ-ლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

## 1993 წლის ჩემპიონი 1994 წელს გაირკვევა



საქართველოს რაგბის კავშირის მორიგ ყრილობას, 25 დეკემბერს რომ გაიმართა სპორტკომიტეტის სხდომათა დარბაზში, მრავალი საკითხი უნდა გადაეწყვიტა. ყველა მათგანი კი დაკავშირებული იყო უმთავრესთან — როგორმე დალაგებულიყო და სამშვიდობოს გამოსულიყო პრობლემათა ჩიხში შესული და აწეწილ-დაწეწილი საქართველოს სარაგბო ცხოვრება.

საზოგადოდ, საქართველოს რაგბის კავშირის (შემდგომში სრკ) ყრილობები ხანგრძლივობით გამოირჩევა ხოლმე. წესი არც ახლა დაირღვა, რადგან ყრილობა მუშაობის დასაწყისშივე გაჭიანურდა. „ვესტას" და ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა არ მოიწონა ხმათა განაწილების პრინციპი: კლუბებს — ორ-ორი ხმა, პრეზიდიუმის წევრებს — თითო, ვეტერანთა ფედერაციას — სამი, და განაცხადა: „თუ ეს კლუბების კავშირია, ხმის უფლება მხოლოდ კლუბებს ჰქონდეთ და ისინიც თითო მანდატს დასჯერდნენო". ამის თაობაზე ამტყდარი დავა ზუსტად 27 წუთს გაგრძელდა და საბოლოოდ კლუბებმა მართლაც თითო ხმა მიიღეს, რასაც ვეტერანთა ფედერაციის ერთი მანდატიც დაემატა. ამასობაში „ამირანის" დელეგატმა და მწვრთნელმა რევაზ ჩხეიძემ კატეგორიული უარი განაცხადა ყოველგვარ კენჭისყრაში მონაწილეობაზე, ზოგიერთი კლუბის დელეგატებმა ნელ-ნელა დატოვეს ყრილობა და დასაწყისში გაცემული 16 მანდატი 12-მდე შემცირდა.

კავშირის აწ უკვე ვიცე-პრეზიდენტყოფილმა გოჩა აბაშიძემ 1993 წლის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ სრკ-ის თითქმის ყველა კომიტეტმა მუშაობა კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლოსკენ არავის არაფერი გაუკეთებია. ბატონმა გოჩამ ეს ქვეყანაში არსებული სიტუაციით და ჩემპიონატის რამდენჯერმე დაწყება-ჩაშლით ახსნა. ვერ გამოვლინდა ქვეყნის ჩემპიონიც — ეს საკითხი მომავალი წლისთვის გადაიდო. საერთოდ კი, შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით აბაშიძემ კავშირის მოღვაწეობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

ამას არ დაეთანხმა რუსთავის „აზოტის" მწვრთნელი საშა ლობჟანიძე და თქვა, „რომელ საანგარიშო მოხსენებაზეა ლაპარაკი, როცა ჩემპიონატი არ დამთავრებულაო." რუსთავის მეორე წარმომადგენელმა გურამ მოდებაძემ შეარბილა კოლეგის ნათქვამი და დასძინა„ ყრილობაც უნდა ჩაგვეტარებინა და ანგარიშიც მოგვესმინა, ოღონდ კავშირის მუშაობას დამაკმაყოფილებლად რალას ვაფასებთო."

სიტუაციის განმუხტვის მიზნით რამდენიმე ოფიციალურმა პირმა სცადა კავშირის დაცვა. მათ გამოსვლებში ითქვა, რომ საქმე არც მთლად დალუპულია. გაკეთდა ბევრი კარგი რამ, კერძოდ ნაკრები გუნდები გაემგზავრნენ უცხოეთში ოფიციალურ შეჯიბრებებზე. ისიც ითქვა, მართალია კავშირმა ბევრი შესცოდა, მაგრამ არც კლუბები არიან მამა აბრამის ბატკნები. ამღვრეულ წყალში ყველა ცდილობდა სხვაზე დიდი თევზის დაჭერასო."

თემურ ბენდიაშვილმა კვლავ აიღო სიტყვა და ბრძანა: „კავშირის მუშაობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან ასეთი რამ საერთოდ არ ყოფილა. თუ ორი კაცის მოღვაწეობა გვინდა კავშირის მუშაობად გავასაღოთ, ეს სხვა საქმეაო."

ასე იყო თუ ისე, კენჭისყრის შედეგად სრკ-ის მოღვაწეობა 1993 წელს არადამაკმაყოფილებლად შეფასდა.

ამ ძირითადი საკითხის პარალელურად ხშირად გამოითქმებოდა აზრი მედიის საქმიანობის შესახებ. ყრილობა უკმაყოფილო იყო ჩვენი მუშაობით და ისიც ბრძანეს, ზოგიერთი საგაზეთო პუბლიკაცია რალაც საშინელებააო. ერთი სიტყვით, ქართული რაგბის ცუდ დღეში ჩავარდნაში თურმე მედიის წარმომადგენლებს მიგვიძღვის ბრალი. არადა, რად უნდა იმას თქმა, რომ საქართველოში ჟურნალისტის სიტყვას არა აქვს იმდენი ძალა, სპორტის რომელიმე სახეობის საქმეებზე გავლენა რომ იქონიოს. სამაგიეროდ, ადვილია ჟურნალისტის განტევების ვაცად გასაღება. რა ვქნათ, ეგეთი პროფესია გვაქვს. ისე, თუ ჩვენს პუბლიკაციებს სერიოზული ცვლილებები მოუხდენია საქართველოს სარაგბო ცხოვრებაში, უნდა გვიხაროდეს — პრესა ძლევამოსილი გამხდარა და ჩვენს საზოგადოებას კიდევ ერთი ნაბიჯი გადაუდგამს დემოკრატიის მშენებლობის რთულ და მძიმე გზაზე.

შემდეგ ნაკრები გუნდების მწვრთნელებს მოუსმინეს. ჭაბუკთა მწვრთნელმა ლევან მგელაძემ ისაუბრა საფრანგეთში ფირა-ს ეგიდით გამართული „მსოფლიო ჩემპიონატის" მატჩებზე. ნაკრების მუშაობა ჩაშლილი ყოფილა. სეზონის დასაწყისიდან კლუბების მწვრთნელები არ უშვებდნენ მოთამაშეებს. შემდეგ, როცა ნაუცბათევად გამოჩნდა საფრანგეთში გამგზავრების პერსპექტივა, ნაკრებს უამრავი ხალხი მიაწყდა, მაგრამ ცაიტნოტში ბევრის გაკეთება ვერ მოესწრო. „მოკლედ, — დასძინა მგელაძემ, — ჩემმა გუნდმა, რაც შეეძლო, იმაზე მეტი გააკეთა." ალბათ ამის გამო ჭაბუკთა გამოსვლა 1993 წელს თითქმის ერთხმად დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

სამაგიეროდ დელეგატებს არ მოეწონათ ეროვნული ნაკრების ასპარეზობა. მიუხედავად თემურ ბენდიაშვილის ხანგრძლივი, პროფესიული და არგუმენტირებული საუბრისა ( ბატონ თემურს მრავალჯერ გამოუთქვამს აზრი პრესაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ამიტომ მის მოსაზრებებს აღარ გავიმეორებთ), ყრილობამ მისი გუნდის მიმართ შემწყნარებლობა არ გამოიჩინა.

შემდეგ სრკ-ის სტრუქტურა განიხილეს და ფაქტიურად უპრობლემოდ დაამტკიცეს. ამიერიდან სრკ-ს ეყოლება პრეზიდენტი, რომელიც კავშირის მთელი საქმიანობის კოორდინატორი იქნება, ძირითად აღმასრულებლად კი პირველი ვიცე-პრეზიდენტი მოგვევლინება. მის არყოფნაში ამ საქმეებს ვიცე-პრეზიდენტი ითავებს. გენერალური მდივანი უცხოეთთან გააბამს და განამტკიცებს კავშირებს, ხოლო ხაზინადარი ფინანსურ საკითხებს უხელმძღვანელებს.

კავშირში იმუშავებს ოთხი კომისია: საშეჯიბრო, სადისციპლინო, მწვრთნელთა საბჭო და მსაჯთა კოლეგია. სრკ-ის სტრუქტურაში ძლევამოსილი მედიისთვისაც გამოინახა ადგილი: აგიტაცია-პროპაგანდის კომიტეტი საინფორმაციო სამსახურად იქცა. იგი დაექვემდებარება უშუალოდ პრეზიდენტსა და სხდომას, რომელიც იქნება რაგბის კავშირის უმაღლესი ორგანო ყრილობებს შორის.

შემდეგ ჯერი არჩევნებზე მიდგა: საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტად თითქმის ერთხმად (ერთი წინააღმდეგი, ერთმაც თავი შეიკავა) აირჩიეს მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი მურმან ომანიძე. ბატონ ომანიძესთან ქართული რაგბის მამებს ადრევე ჰქონიათ საუბარი და მისი პრეზიდენტობის საკითხი მაშინ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ თურმე ისევ ამ წყეული ჟურნალისტების გამო ცოტა ხნით გადაიდო. ერთი სიტყვით, მურმან ომანიძე სრკ-ის პრეზიდენტია და მის მომავალ საქმიანობაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი რაგბის ბედი. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს სარაგბო საზოგადოებრიობას მისი ფინანსური დახმარების დიდი იმედი აქვს. ბატონ მურმანს პირველი ნაბიჯიც გადაუდგამს ამ მხრივ — ამას წინათ პარიზში გამართულ ფირა-ს კონგრესზე მან ლუქსემბურგის რაგბის ფედერაციას დაუბრუნა ის 1200 დოლარი, რომელიც სრკ-მა ისესხა ამ ქვეყანაში ეროვნული ნაკრების სტუმრობისას.

პირველ ვიცე-პრეზიდენტად გოჩა აბაშიძის კანდიდატურა იყო ყველაზე რეალური, მაგრამ დელეგატთა ნაწილმა თქვა, „თუ ბატონ გოჩას ამ თანამდებობაზე ავირჩევთ, მსაჯთა კომიტეტი ვეღარ იარსებებს, მსაჯები აღარ გვეყოლება და ჩემპიონატი ჩაიშლებაო. ბატონი გოჩა სამსაჯო საქმეების ჩინებული ორგანიზატორია და მოდი იქ ვამუშაოთ, სადაც მის ყოფნა სასიცოცხლოდ აუცილებელიაო." ყრილობამ დაუჯერა ამ აზრს და პირველ ვიცე-პრეზიდენტად ვეტერანთა ფედერაციის თავმჯდომარე თენგიზ რუხაძე აირჩია, რომელიც თავიდან უარზე იყო: „საქმეში მეტად პრინციპული კაცი ვარ და ამ თვისების გამო ვინმლო ბევრ მორაგბე მეგობარსა და ძმაკაცს ვაწყენინოო." დელეგატებმა კი ბრძანეს: „ამ ადგილს დიახაც ბატონი თენგიზისებრი პრინციპული და ენერგიული კაცი ესაჭიროება" და საკითხიც გაირკვა.

ვიცე-პრეზიდენტი ჯერ არ აურჩევიათ. სასურველია, ამ თანამდებობაზე დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელი ყოფილიყო, რათა ლიხსიქითა რაგბს კოორდინატორი ჰყავდეს. ახლა დასავლეთის გუნდები მოითათბირებენ, შესაფერის კანდიდატურას წარუდგენენ სხდომას, რომელიც გაარკვევს კიდეც აღნიშნული ვაკანსიის ბედს.

გენერალურ მდივნად კვლავ იმუშავებს ზურაბ რეხვიაშვილი, რომელიც არჩევისას იძახდა: „ძირითადი სამსახურის გამო მეტად მოუცლელი ვარ და თუ ვინმეს გსურთ გენერალური მდივნობა, მობრძანდით, იმუშავეთ, მე კი რა გამოცდილებაც მაქვს, გაგიზიარებთო." ხაზინადარად მიტო ქურდობაძე დარჩება.

გოჩა აბაშიძე მსაჯთა კომიტეტს უხელმძღვანელებს, ავთანდილ ღიბრაძე — სადისციპლინო კომისიას, მწვრთნელთა საბჭოს რამაზ სანებლიძე ჩაუდგა სათავეში. ნაკრები გუნდების მწვრთნელებს სწორედ მწვრთნელთა საბჭოს წარდგინებით დაამტკიცებს კავშირის სხდომა. კომერციული დირექტორი უშუალოდ პრეზიდენტთან შეთანხმებით დაინიშნება. მედიის ორ წარმომადგენელს ერგო პასუხსაგები თანამდებობები — ტელევიზიელი თემურ ჯაფარიძე საინფორმაციო სამსახურს უთავკაცებს, ხოლო „სარბიელელი" ზაალ გიგინეიშვილი საშეჯიბრო კომიტეტს. ოღონდ, ბატონი ზაალი არც ყრილობას დასწრებია და არც ვინმე შეუთავაზებია მისთვის წინასწარ აღნიშნული პოსტის დაკავება.

ამასობაში კი თითქმის ყველას მიავიწყდა, რომ საქართველოს 1993 წლის ჩემპიონი არა ჰყავს. ამ საკითხთან დაკავშირებული მოვლენები კარგადაა ცნობილი და ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით. მრავალ აზრთაგან — ჩემპიონატი ამ დონეზე შევწყვიტოთ; ამერს და იმერს ცალ-ცალკე ჩემპიონები ჰყავდეთ; ახალ წლამდე გამოვავლინოთ ჩემპიონი; იანვარში ვითამაშოთ — გაიმარჯვა ერთმა: 1993 ჩემპიონი გამოვლინდება 1994 წლის სეზონის დაწყების წინ! ანუ, მომავალი ჩემპიონატი 1994 წლის 15 აპრილს იწყება, ფინალური კვარტეტი — „აზოტი", „აია", „ერქვანი", „შევარდენი" 20-30 მარტს შეიკრიბება რომელიმე ნეიტრალურ მოედანზე და ლებულების მიხედვით ერთ წრედ გაითამაშებს საქართველოს ჩემპიონის ტიტულს.

მაშ ასე, ყრილობამ დააგვირგვინა მორაგბეთა სეზონი და თავის, ალბათ მსოფლიოში უმაგალითო გადაწყვეტილებით გვიჩვენა, რომ საქართველოში რაგბი კვლავ ცოცხლობს!

მერაბ რატიშვილი

# ოთხი წლის თავზე

უსახელოდ გასრულდა მორიგი საშინაო სეზონი. ქვეყნის პირველობა, რომელიც სინამდვილეში ამერის ჩემპიონატი იყო, კი დამთავრდა, მაგრამ რაგბის ხელისუფალთა უნდობლობის გამო ერთპიროვნული ჩემპიონი არ გამოვლენილა. სამაგიეროდ, შეწყდა „ვესტას" ზეობა, წელიწადნახევრის წინ „აიას" მლევით რომ დაიწყო.

ერთი სიტყვით, შინაურ რაგბში „ეროვნული ჩემპიონატის" შემოღებიდან ოთხი წლის თავზე უმეფობის ხანა დადგა, რაც იმის პირდაპირი შედეგია, რომ სარაგბო ხელისუფლება ჯიუტად ცდილობდა შეენარჩუნებინა ის სტატუსკვო, ქართულ რაგბში 1989 წლისათვის რომ არსებობდა. მასუკან დიდი ხანი გამოხდა, მაგრამ ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ ხელოვნურად შენარჩუნებულიყო უწინდელი უფროს-უმცროსობა იმერისა და ამერის, ქალაქებს, კლუბებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, რაგბის განმგებლებსა და მოთამაშეებს შორისაც. პოდა, თავისუფალი მეტოქეობის შეზღუდვამა და უქონლობამ ჩვენს რაგბის დაუკარგა არაერთი პიროვნება თუ გაერთიანება, დღესა და ხვალ დიდი ძალა რომ იქნებოდა. ერთი-ორი ბედნიერი გამონაკლისის გარდა, დამოუკიდებლობის მეოთხე წლისთავზე ისევ ერთი ასპარეზის, ორიოდე ძლიერი გუნდის, კინკილა მსაჯისა და რამდენიმე ადმინისტრატორისა და რაგბის მიმომხილველის ანაბარა ვრჩებით.

სარაგბო თემი გამცირერიცხოვანდა და მისი თითოეული წევრი შეუცვლელი და დაუსჯელი გაგვიხდა, რაკი მორაგბეებს თავი აღარაფრით ჰქონდათ მოსაწონებელი, თავიანთი ქმედების საზოგადოებისგან დაფარვას ცდილობდნენ. მაშინ, როცა კალათბურთი და ხელბურთი პურსა და სანახაობას დანატრებულ გულშემატკივარს წამდაუწუმ თვალში ეჩხირება, რაგბი თავისი ნებით უჩინარდება. შინაურ რაგბს არ გადასცემს არცერთი ტელეარხი, არ მიმოიხილავს არცერთი რადიოპროგრამა, არ აშუქებს არცერთი საზოგადო გაზეთი, რაც რაგბის ხელისუფალთა გულარხეინობის ბრალია.

მაშინ, როცა კალათბურთი ვარსკვლავთა მატჩს მართავს, რაგბი კვლავ ჯიუტად უარობს ამერ — იმერის შერკინების გამართვას, აქაოდა კუთხურობა არ დაგვბრალდესო. მაშინ, როცა კალათბურთი თბილისის ცენტრში მდებარე ვერის ბაღს არ გასცილებია, რაგბის უმთავრესი თამაშები თურმე უნდა გაიმართოს სადღაც გადაკარგულში — ე.წ. ნეიტრალურ მოედანზე, სადაც მას არც ამერის თემი ნახავს და ვერც იმერისა. აქედან ცხადი ხდება, რომ ჩვენს რაგბში პრიორიტეტების ერთობ ორიგინალური სისტემა მოქმედებს. სახელდობრ, რაგბი უწინარესად არსებობს იმისთვის, რომ მისი მამების არსებობა გამართლდეს; მერე იმისთვის, რომ გუნდებმა იარსებონ და ითამაშონ; და ბოლოს იმისთვისაც, რომ პოტენციურმა, თანაც მცოდნე მაყურებელმა, რომლის რცხვი ზემოთხსენებული ორი კატეგორიის წარმომადგენლებზე ბარემ ათჯერ მეტია, იხილონ თამაში.

ისევ მიუბრუნდეთ ამერ-იმერად დაყოფას, რომელიც დრომ მოიტანა და რომელსაც მსოფლიოში პრეცედენტი მრავლადა აქვს. არსებობს იმერის ქვეკავშირი, ამერის ქვეკავშირის შექმნა კი ყველას გაავთრებულ წინააღმდეგობას აწყდება. მათი ეჭვის გასაფანტავად შევნიშნოთ, რომ ამერის მდგომარეობა ჩვენს რაგბში ზუსტად ემთხვევა რუსეთის სტატუსს სსრკ-ში, როცა რსფსრ-ს თავისი არც კომპარტია ჰყავდა, არც მეცნიერებათა აკადემია ჰქონდა და არც ტელევიზია, მაგრამ რა ხვითოც ბრძანდებოდა, ყველას კარგად მოგვეხსენება.

დასასრულ, „სარბიელის" ტრადიციისამებრ ვაქვეყნებთ არაოფიციალურ ცხრილებს, გუნდების მიერ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში გამართული თამაშების შედეგთა მიხედვით რომაა შედგენილი. ჩვენი ნიხრით მოგება ოთხ ქულად ფასდება, ფრე — ორად, ღირსეულად (7 ან ნაკლები ქულით) წაგება კი — ერთად. საბოლოოო შედეგი პროცენტობითაა გამოყვანილი.

ზაალ გიგინეიშვილი

### პირველი ჯგუფი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | I-II | 10:6 | 21:3 | 35:21 | 36:7 | +:-- | 7:15 |
| ამირანი | 8:11 | IV | 0:3 | 19:18 | 21:0 | 16:10 | 16:23 |
| ვესტა | 30:6 | 11:13 | III | 29:0 | 39:8 | 56:31 | 18:3 |
| თბილისი | 19:37 | --:+ | 13:34 | V | 20:22 | 12:12 | 18:31 |
| ქორები | 6:58 | 12:42 | 15:31 | 7:21 | VII | 18:21 | 17:22 |
| ყოჩები | 6:45 | 6:15 | 7:45 | 17:22 | 10:6 | VI | 25:33 |
| შევარდენი | 13:30 | 18:17 | 12:9 | 29:17 | 42:6 | 29:5 | I-II |

### მეორე ჯგუფი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | VI | --:+ | 15:60 | 44:0 | --:+ | 17:24 | --:+ |
| ლავრი | 18:11 | I | 27:10 | 89:0 | 31:5 | 15:0 | +:+ |
| ლელო | 98:3 | 53:5 | II | 124:5 | 29:28 | 48:3 | 59:7 |
| მარაო | --:+ | --:+ | --:+ | VII | 0:46 | 5:31 | 12:21 |
| რაში | 17:3 | 8:24 | 46:20 | +:-- | III | 58:7 | +:-- |
| უნივერსიტეტი | 31:5 | 3:19 | 14:124 | +:-- | 9:27 | IV | 41:3 |
| ხაშური | +:-- | 11:17 | 8:41 | 55:5 | 0:32 | +:-- | V |

| | თ | მ | ფ | ღ | წ | ბ | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 18 | 15 | 0 | 0 | 3 | 443:270 | 83.33 |
| ვესტა | 18 | 14 | 1 | 2 | 1 | 485:186 | 83.33 |
| აზოტი (რ) | 18 | 13 | 0 | 2 | 3 | 461:220 | 75.00 |
| ამირანი | 18 | 11 | 1 | 6 | 0 | 319:208 | 72.22 |
| ყოჩები | 16 | 5 | 1 | 3 | 7 | 204:374 | 39.06 |
| ქორები | 21 | 3 | 0 | 4 | 14 | 179:582 | 19.05 |
| თბილისი | 19 | 2 | 1 | 2 | 14 | 307:576 | 15.79 |
| ლავრი | 20 | 17 | 0 | 2 | 1 | 500:167 | 87.50 |
| ლელო | 19 | 14 | 0 | 2 | 3 | 825:256 | 76.32 |
| ივერია | 6 | 4 | 0 | 0 | 2 | 164:74 | 66.67 |
| რაში | 14 | 7 | 0 | 3 | 4 | 301:200 | 55.56 |
| უნივერს. | 17 | 6 | 0 | 1 | 10 | 199:477 | 36.76 |
| აკადემია | 14 | 3 | 0 | 2 | 9 | 160:460 | 25.00 |
| ხაშური | 11 | 2 | 0 | 2 | 7 | 145:319 | 22.73 |
| მარაო | 7 | 0 | 0 | 0 | 7 | 27:410 | 00.00 |

# ძია ბურძგლას რჩეულნი



გურამ მოდებაძე, იგივე ბურძგლა, ერთი ჩვეულებრივი, რიგისქუჩელი, 46 წლის თბილისელი კაცია. ჩვეულებრივია იმდენად, რომ ერთდროულადაა ექიმიცა და მორაგბეც, ამ უკანასკნელი განხრით კი ერთმანეთს უთავსებს მწვრთნელობას, აღმზრდელობას, კონსულტანტობას, მსაჯობას, ორი მორგბის მამობას, კოლექციონერობასა და ჯელ მორაგბეთა იმ შესაკრები პუნქტის მასპინძლობას, მის ბინაზე ამათ რომ გაუხსნიათ. რაკილა რაგბში ძია ბურძგლას ფრიადი განსწავლულობა უეჭველია, თავად რაგბით სულდგმულობს, თამაშს არ აკლდება და ჟიხურებში „სარბიელის" თავგამოდებული მძებნელიცაა, ამიტომ ამერის სიმბოლური ნაკრების შედგენაც მას მივანდეთ.

| სამდღეო ნაკრები | | სამომავლო ნაკრები |
|---|---|---|
| ირაკლი ლეჟავა (აზოტი) | 15 | ზეზვა ქავთარაძე (ლელო) |
| სპირიდონ ლიპარტელიანი (ამირანი) | 14 | გიორგი ბუგიანიშვილი (ვესტა) |
| ნუგზარ მგელაძე (შევარდენი) | 13 | მიხეილ ჩაჩუა (ამირანი) |
| ლევან ჩიქვინიძე (აზოტი) | 12 | პალიკო ჯიმშელაძე (აზოტი) |
| მამუკა მინდორაშვილი (აზოტი) | 11 | დავით დგებუაძე (თბილისი) |
| დავით ჩავლეიშვილი (ვესტა) * | 10 | შოთა მოდებაძე (შევარდენი) * |
| ზაზა ხუციშვილი (აზოტი) * | 9 | გუჯა იოვაძე (ვესტა) |
| ვიქტორ დიდებულიძე (ამირანი) | 1 | დავით ჩიტაძე (აზოტი) |
| ირაკლი ჩიქავა (შევარდენი) * | 2 | აკაკი მაჭუტაძე (ამირანი) * |
| სოსო პარწიკანაშვილი (შევარდენი) | 3 | ლევან ცაბაძე (აზოტი) |
| დიმიტრი ობოლაძე (ვესტა) * | 6 | რატი ურუშაძე (ლელო) |
| თამაზ ხუადე (ვესტა) * | 4 | ალეკო ლიბრაძე (ვესტა) |
| ვანო ნადირაძე (შევარდენი) | 5 | სოსო პარწიკანაშვილი (შევარდენი) |
| ზაზა ლეჟავა (ყოჩები) | 7 | გიორგი ლაბაძე (ლელო) |
| გია რაფავა (აზოტი) | 8 | ნოდარ დაუშვილი (ვესტა) |

1993 წელს უთამაშია: * ეროვნულ ნაკრებში; ˙ ჭაბუკთა ნაკრებში

კალათბურთი

# «კაქტუსის» იტალიური მოგზაურობა

როგორც იცით, პროფესიული საკალათბურთო კლუბი „კაქტუსი" საშობაოდ იტალიაში იმყოფებოდა. ამ მოგზაურობის შესახებ ვესაუბრეთ მწვანეების მთავარ მწვრთნელ თამაზ ოქრუაშვილს.




— საშობაო ტურნირს მოველოდით, — გვიამბო ბატონმა თამაზმა — მაგრამ ორგანიზატორებმა, როგორც ჩანს, ის ვერ მოაწყვეს და ცალკეული საკონტროლო შეხვედრებისაგან შემდგარი ტურნე გამოგვივიდა. გაზლდით აბრუცის პროვინციაში, რომელიც რომის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. გავმართეთ სამი მატჩი — ერთი ქალაქ ტერამოში, რომელიც მთიან მხარეშია, აქვს შესანიშნავი სპორტის სასახლე და სადაც კალათბურთი ძლიერ პოპულარულია. მეორეც მის მახლობლად მდებარე ქალაქ კამპლში და მესამეც იქვე ადრიატიკის სანაპიროზე ქალაქ ჯულიანოვაში. თუ რა ძალის გუნდებს ვეთამაშეთ, ცხადი წარმოდგენა რომ შეგვექმნას, გეტყვით, რომ იტალიაში უმაღლესი ლიგის ქვემოთ არსებობს A და B ჯგუფი. თითოეული თავის მხრივ ორ ჯგუფად არის დაყოფილი და იერარქიულად ასე არიან განლაგებული: B ჯგუფის მეორე ქვეჯგუფი ყველაზე სუსტია, მასში გამარჯვებული, იმავე ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში გადადის, რომლის გამარჯვებული თავის მხრივ A ჯგუფის მეორე ქვეჯგუფის საგზურს იღებს. შემდეგ არის A-ს პირველი ქვეჯგუფი და უმაღლესი ლიგა. ზემოჩამოთვლილ ქვეჯგუფებში 16-16 გუნდი მონაწილეობს. კამპლში ჩვენ A ჯგუფის მეორე ქვეჯგუფის ლიდერს ვეთამაშეთ, რომელიც ზედა საფეხურზე ასასვლელად თავის მეტოქესთან პლეი-ოფის სათამაშოდ ემზადებოდა. ამ გუნდს ძლიერი პატრონი ჰყავს და სამომავლოდ ამერიკელების ყიდვას და უმაღლეს ლიგაში გადასვლას აპირებს. მასპინძლებმა შეხვედრას წმინდა სავარჯიშო ხასიათი მისცეს, მაყურებელი არ დაისწრეს და ოქმში არც პერსონალური ჯარიმები გააფორმეს. მეტოქის გუნდში თამაშობდნენ როგორც უმაღლესლიგანანახი ვეტერანები, ასევე ახალგაზრდები. მათი ცენტრი 214 სმ იყო. ეს შეხვედრა ჩვენი ახალგაზრდა კალათბურთელებისათვის მეტად სასარგებლო იყო. ის ფაქტიც, რომ პერსონალურებს არ ითვლიდნენ, კამპლელებმა მეტად გონივრულად გამოიყენეს და გაიმარჯვეს 102:88. მეორე თამაში B ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში მოასპარეზე ტერამოს გუნდთან გავმართეთ. ეს დაახლოებით ჩვენი ჩემპიონატის ლიდერების დონის გუნდი იყო. შეხვედრა ჩვენ მოვიგეთ 86:81. მესამე მატჩი ჯულია ნოვას გუნდთან, რომელიც ტერამოსთან ერთად ასპარეზობს, პირველი ტაიმი 31:31 დამთავრდა, საბოლოოდ კი ჩვენმა ბიჭებმა შეძლეს გამარჯვება 87:76. სპორტული თვალსაზრისით ეს ტურნე ბრწყინვალე იყო. პირდაპირ შევხვდით ჩამოთვლილ გუნდებს, ტელევიზიით ვნახეთ უმაღლესი ლიგის თამაშები. ეს ლიგა ალბათ ევროპაში უძლიერესია, იტალიელები კალათბურთს დიდძალ ფულს ახარჯავენ, ყიდულობენ ამერიკელ მოთამაშეებს.

**— ჩვენებიდან ვინმემ გამოიჩინა თავი?**

— ჩვენი გუნდის ლიდერმა, ვახტანგ ნაცვლიშვილმა ტურნირზე საშუალოდ თამაშში 34 ქულა მოიპოვა, თანაც შეხვედრების ხასიათიდან გამომდინარე მას ვასვენებდით, შეუცვლელად არ თამაშობდა

**— ხომ არ შესთავაზეს იტალიელებმა რომელიმე „კაქტუსელს" დარჩენა?**

— რაღაც საუბარი კი იყო ამის შესახებ, მაგრამ ჩვენ მივუხვდით მასპინძლებს. ისინი ცდილობენ სპორტსმენი კაპიკებად იყიდონ, ერთი-ორი წელი თავად გამოზარდონ და შემდეგ ძვირად მიჰყიდონ უმაღლესი ლიგის გუნდებს. ჩემი აზრით, ჩვენი გამოსავალი მოთამაშეების ამგვარი გაყიდვა არ არის. რამენაირად ამერიკელებთან დაკავშირება და მათთან სტაჟირება უნდა შევძლოთ.

ილია ბაბუნაშვილი

ხელბურთი

# ქართველი თურქ პოლიციელთა გუნდში

ქართულ ხელბურთში ლეგიონერები დიდი იშვიათობაა. ამიტომ, როგორც კი მცირე ხნით თურქეთიდან დაბრუნდა თბილისის „მამულისა" და საქართველოს ნაკრების მოთამაშე, 21 წლის ტიტე კალანდაძე, მაშინვე გავესაუბრეთ.

**— ტიტე, როგორ მოხვდი თურქეთში?**

— თურქეთში საკუთარი ინიციატივით წაველი და ასე ვთქვათ, თვითონ შევთავაზე თავი იქაურ კლუბებს. მანამდე არავის ვიცნობდი და არც ისინი მიცნობდნენ. რამდენიმე კლუბის მწვრთნელთა თვალწინ მცირე გამოცდის შემდეგ, ყველას ქალაქ ესქიშეპირის „პოლისგუჯუს" ხელმძღვანელობამ დაასწრო.

**— ახლოს გაგვაცანი შენი ახალი კლუბი.**

— ესქიშეპირი სიდიდით თურქეთის მეხუთე ქალაქია, ანკარიდან ორასიოდე კილომეტრზე. „პოლისგუჯუს" პატრონია ქალაქის პოლიცია. გუნდი შარშანდელ ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა. წელსაც სამეულში მოხვედრას ვარაუდობს, რაც ევროპის თასზე გამოსვლის საშუალებას მისცემს. პირველი წრის შემდეგ დაგეგმილი გრაფიკით მივდივართ.

**— ჩემპიონატი რა სისტემით ტარდება?**

— თურქულ უმაღლეს ჯგუფში 16 გუნდია. ორწრიანი ტურნირის შემდეგ ექვსი უძლიერესი აგრძელებს ბრძოლას პირველობისთვის. ახლა ჩემპიონატში შესვენებაა. იანვრის ბოლოს დაიწყება მეორე წრე და მეც იმ დროისთვის გავემგზავრები.

**— როგორ შეეჩვიე ახალ გარემოს?**

— თავიდან ცოტა გამიჭირდა. მთავარი შეფერხება შეუთამაშებლობა და ენის უცოდინარობა იყო. მაგრამ საკმაოდ მალე, მეტნაკლებად ვისწავლე თურქული, თანაგუნდელებთანაც გამოვნახე საერთო ენა და თანდათან ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ყოველ მატჩში საშუალოდ 6-7 გოლი გამქონდა, რაც მძაფრი კონკურენციის პირობებში კარგ მაჩვენებლად ითვლება.

**— როგორი პირობები შეგიქმნეს?**

— ნორმალური, ვცხოვრობდი სასტუმრო „პოლისევში" (პოლიციის სახლი), კვებაც კლუბის ხარჯზეა. ჯამაგირად ხუთი მილიონი ლირა დამინიშნეს, რაც დაახლოებით ხუთასი დოლარია. მაგრამ, რატომღაც სიტყვას ვერ ასრულებენ და დღეს ძალიან ჩემთან კალიშია.

**— მიზეზი რა არის?**

— კლუბი ფინანსურად საკმაოდ ძლიე-



რია, ზოგიერთს თვეში ორი ათას დოლარამდე უხდის. კლუბმა თავიდანვე კატეგორიული უარი განმიცხადა კონტრაქტის გაფორმებაზე, ყველაფერი სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე უნდა მომხდარიყო. ისინი კი ამ მოლაპარაკებას არღვევენ. ეს ჩემი გამოუცდელობის ბრალიცაა. ამ ჩემპიონატს „პოლისგუჯუში" დავამთავრებ, მერე კი ალბათ სხვა გუნდს მოვნახავ.

**— დიდი სხვაობაა იქაური და ჩვენი ხელბურთის დონეებს შორის?**

— ჩემი აზრით, უძლიერესი ქართველი ხელბურთელები წარმატებით ითამაშებდნენ თურქეთის კლუბებში, ხოლო „შევარდენი" და „ამირანი" საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებდნენ.

**— ქართველ სპორტსმენებს თუ შეხვედრიხარ იქ?**

— „პოლისგუჯუს" მეტოქე თასების მფლობელთა თასზე ისრაელის „მაკაბი" იყო. თელ-ავივში მატჩის წინა დღეს თვალი მოვკარი კაცს, რომელსაც მაისურზე ეწერა „საქართველო". ცხადია, გამოვეცნაურე. იგი აღმოჩნდა გინესის წიგნის რეკორდსმენი ჯუმბერ ლეჟავა, რომელიც ამჟამად ველოსიპედით მოგზაურობს მსოფლიოს გარშემო. ბატონმა ჯუმბერმა დიდი პატივი დამდო, მეორე დღეს თამაშზე მობრძანდა და მხურვალედაც ქომაგობდა ჩვენს გუნდს.

ზვიად შათირიშვილი

ძიუდო

# არშემდგარი „იაპონური ოდისეა"

ქართველმა ძიუდოისტებმა ახალი სეზონი მორიგი ნერვების აშლითა და გაუგებრობით დაიწყეს. ჟამთასვლის გამო უმეტესად შინ გამოკეტილი გუნდი ჩემოდნებიდან ჩამოსვეს და იაპონიაში, „შორიკის თასზე" მიმავალები შინ დააბრუნეს.

არადა, იაპონელებმა ორი თვის წინ აცნობეს ჩვენს ძიუდოს ფედერაციას: სამ ფალავანს — ხახალეიშვილს, დგებუაძესა და ვაზაგაშვილს მთლიანად ჩვენი ხარჯებით ვიწვევთ და თვითმფრინავის ბილეთებიც შეუკვეთეს მათთვის. დანარჩენები ვინც გსურთ, თქვენი ფულით წამოიყვანეთო — ბრძანეს იაპონელებმა. ქართველები დაფაცურდნენ და ძიუდოისტ-მწვრთნელიან-სპონსორიანად 15 კაცი მოაგროვეს. ამასობაში მასპინძლებმა ახალი უსტარი გვიძლვნეს: „შორიკის თასის" შემდეგ (ანუ 10 იანვრიდან) ტოკიოდან ას კილომეტრში, ტოკაის უნივერსიტეტში გადავიდეთ და ერთობლივი ერთკვირიანი შეკრება გავიაროთო. ძიუდოს ფედერაციამ უსახსრობა მოიმიზეზა და ხარჯების დაფარვა იაპონელებს სთხოვა, რაზედაც ამათმა თანხმობა... დასტური მისცეს. ეს მოხდა ტურნირის დაწყებამდე 29 დღით ადრე, 10 დეკემბერს.

უცხოეთში გამგზავრების გაწამაწიას დაჩვეულმა ძიუდოისტებმა სწრაფად მოაწესრიგეს საბუთები, დათქმულ ვადაზე ჩააბარეს იაპონიის საელჩოს და ლოდინი დაიწყეს.

ვიზები, წესით, 24 დეკემბრისთვის უნდა გაეფორმებინათ, მაგრამ საელჩოს ნაცნობი მოხელეს პირით ჩვენებმა შეიტყვეს — იაპონელები თანხმობას არ იძლევიან თქვენს ჩაბრძანებაზე და ალბათ დარჩენა მოგიწევთო. ოფიციალური პასუხის მოლოდინში რამდენიმე ხანი გავიდა და ის იყო, ახალი წლის პირველ დღეებში საელჩოზე გადამწყვეტი იერიში უნდა მიეტანათ, რომ იაპონიიდან ახალი ამბავი მოვიდა: ხახალეიშვილმა, დგებუაძემ და ვაზაგაშვილმა აღებული ავიაბილეთები უკან ჩააბარონო. წლეულს ვერავის მოგიწვევთ, ვერც ჩვენი და ვერც თქვენი ხარჯებით და გაისად ენახოთო.

ასეთია საქართველოს ნაკრების არშემდგარი „იაპონური ოდისეა". მთელი ყურადღება „შორიკის თასზე" რომ გადაიტანეს, ძიუდოისტებს ავსტრიის ტურნირიც გამორჩათ, რომელიც ამ დღეებში იწყება ვენაში. თუმცა, ფული მაინც არ იყო და არც არავის უფიქრია ამაზე სერიოზულად. ძიუდოს ფედერაციამ გამოსავალი იპოვა — [illegible] თვითონ სახსრები არა აქვს, ტურნირებში [illegible] გადაიხადეს. [illegible] რაღაცეების საშუალება აქვთ და თებერვალში, უმაღლესი, „A" კატეგორიის ტურნირებს პარიზსა და ვარშავაში „მთაწმინდა" უმიზნებს, ბუდაპეშტს — „რაინდები" ეშურებიან, ხოლო ოსლოს — დუშეთის კლუბი. 26-27 თებერვალს მიუნხენის ტურნირზე ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს, ამიტომაც ფედერაცია ამ საგზურს ჯერჯერობით არავის სთავაზობს და სპორტკომიტეტის შეწევნის იმედით ნაკრების გაგზავნას ლამობს.

მარტში სამი ტურნირია — სამივე იტალიაში. იქამდე რა მოხდება, კაცმა არ იცის. სეზონის უმთავრესი შეჯიბრებები კი მაისში და ივლისში გველის: გაზაფხულზე პოლონეთის ქალაქ გდანსკში ევროპის ჩემპიონატი, ხოლო ზაფხულში — „კეთილი ნების თამაშები" სანქტ-პეტერბურგში.

ნეტავ ამ ტურნირზე წასვლის სახსრები თუ გამოუჩნდებათ ქართველ ძიუდოისტებს?

მერაბ რატიშვილი

ავტოსპორტი

# ჯიმი სამუშია

## ქართველი მრბოლი ნევის ნაპირებიდან



სანქტ-პეტერბურგში ყოფნისას პირად საქმეებზე პეტერბურგის კიროვის სახელობის ლენინის ორდენოსან სატყეო ტექნიკურ აკადემიაში მოვხვდი. მაშინ, როდესაც საქართველოში ყოველ საშუალო სკოლაში მინიმუმ ორი უმაღლესი სასწავლებელია გახსნილი და გუშინდელ მოწაფეებს სკოლის შენობიდან ფეხის გაუდგმელად შეუძლიათ უმაღლესის დიპლომი (და არა ცოდნა) მიიღონ, გამაოცა აკადემიის მასშტაბურობამ: — ხუთად-ხუთი ათასი სტუდენტისთვის რამდენიმე ათეულ ჰექტარზე უამრავი სასწავლო, საკვლევი, სავარჯიშო თუ საცხოვრებელი შენობა იდგა. გულმა სტადიონისკენ გამიწია, იქვე ფიზკულტურის კათედრის შენობაა, სადაც შემთხვევით წავაწყდი სტენდს, რომელიც ავტოსპორტს ეძღვნებოდა. სტენდზე გამოსახული იყო ქართული იერის ახალგაზრდა. დავინტერესდი მისი ვინაობით და აღმოვაჩინე, რომ იგი ჯუანშერ (ჯიმი) სამუშია ყოფილა, ჩვენი ცნობილი ენათმეცნიერის კალისტრატე სამუშიას ვაჟი. აკადემიის კათედრის გამგეს, სსრკ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სსრკ ნაკრების მწვრთნელს ავტოსპორტში ედუარდ სინგურიდის ჯიმი სამუშიას სახელის გაგონებაზე უმალ შეეცვალა ღიმილიანი სახე და კარგა ხნის დუმილის შემდეგ აი რა მომიყვა:

— 1975 წელის ზამთარი იყო, როდესაც ჩემთან მოვიდა შავგვრემანი სიმპათიური ახალგაზრდა კაცი. მან ჩემი ყურადღება იმით მიიქცია, რომ ყველა ქართველისგან განსხვავებით თითქოსდა შემცბარი ილიმებოდა. იგი იმ ქართველებს არ ჰგავდა, რომლებიც მუდამ ერთად იკრიბებიან, ყაყანებენ და ამით იქცევენ ყველას ყურადღებას. ჯიმი მორიდებული, უტყვი ბიჭი იყო. მითხრა, დიდი ხანია თქვენს მანქანას ვუტრიალებ, მაინტერესებს ეს ყველაფერი და თუ შეიძლება თქვენთან ვივლიო. ჯიმი აკადემიაში სწავლობდა, თან მძღოლად მუშაობდა — აკადემიის რექტორს ატარებდა. დაიწყო ავტოსპორტში ჩემთან ვარჯიში. უმალ შევამჩნიე, რომ ნიჭიერი არ იყო, მაგრამ იმდენი კაცური თვისება ჰქონდა, გავვოცდი. იგი უაღრესად შრომისმოყვარე იყო, თანაც ყველაფერს უსიტყვოდ აკეთებდა. ნელ-ნელა მოუმატა და ერთ-ერთი საუკეთესო მრბოლი გახდა აკადემიაში, ჩემი საყვარელი მოწაფე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არამცთუ ლენინგრადის ნაკრებში, არამედ ორიოდ წელიწადში საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც გზა ხსნილი ჰქონდა, რადგან მე სსრკ ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ვიყავი. ჯიმიმ რამდენიმე რბოლაში მიიღო მონაწილეობა, ზოგი მოიგო, ზოგშიც ათეულში მოხვდა. გახდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი. საჭირო იყო კიდევ ორი რბოლის არათუ მოგება, არამედ უბრალოდ დამთავრება და იგი სპორტის ოსტატი გახდებოდა.

ამასობაში მან აკადემია დაამთავრა. ჩვენი ხელით ავაშენეთ მე და ჯიმიმ აკადემიის ავტოსპორტის კათედრა, ბოქსები. აკადემიის დამთავრებისთანავე კათედრაზე დატოვეს, არადა, ჩაუწერავს არავის ტოვებდნენ, მხოლოდ მას ერგო ასეთი პატივი.

ახლოვდებოდა საკავშირო ჩემპიონატი კლაიპედაში. ჯიმის უკვე დიდი რბოლებისთვის ვამზადებდი. მივეცი ჩემი სარბოლო მანქანები, საუკეთესო შტურმანი, ჩემი თილისმაც — მანქანაზე მისაწებებელი ჩაიდანიც კი ვაჩუქე. ერთი სიტყვით, შეილივით მყავდა და იმედი მქონდა, რომ მისი სახელი მალე გასცდებოდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს.

კლაიპედაში ტრასის მეხუთედი გაიარა, მეექვსე მიდიოდა და მეტად კურიოზულ ავარიაში მოჰყვა: მოსახვევში დიდი სისწრაფით შესულს მოუცურდა მანქანა, რომელიც გზისპირა ბეტონის ბორდიურს დაეჯახა. მანქანა ორჯერ ამოტრიალდა და დაეცა. ასეთი ავარიები ასობით ხდება რბოლისას, მაგრამ აბსოლუტურად უხიფათოა, რადგან მრბოლი ყოველმხრივ დაცულია. როდესაც მანქანასთან მივვარდით, შტურმანი იცინოდა კიდეც, ჯიმი კი უგონოდ იწვა. მყისვე საავადმყოფოში წავიყვანეთ. ავარია დეტალურად გამოვიკვლიეთ. ვერაფრით აგვეხსნა საიდან მიიღო თავის ტრამვა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ ავარიის ადგილას აღმოვაჩინე ბეტონის პატარა დამტვრეული ბოძი, ჯიმის მანქანა პარპრიზით სწორედ ამ ბოძს დასცემოდა და დარტყმის სიძლიერე ზუსტად ჯიმის თავზე მოდიოდა. ასეთი შემთხვევა მილიონში ერთი შეიძლება მოხდეს. ეს იყო ბედისწერა, რომელსაც ვერავინ გაექცევა.

ჯიმი თერთმეტი თვე იწვა უგონოდ, მხოლოდ ერთხელ მოვიდა გონს და მითხრა: „ბატონო ედუარდ, მე თქვენი იმედები ვერ გავამართლე." ეს იყო და ეს, იგი გონზე აღარ მოსულა, ისე გარდაიცვალა. ვერც შეიძმა ოპერაციამ უშველა.

მსგავსი სახელი არავის დაუტოვებია აკადემიაში, იგი დღემდე ახსოვთ. ქალები ხომ გადარეულები იყვნენ, ყველას უყვარდა. აკადემიაში ათი სპორტის ოსტატი გაიზარდა, მაგრამ, ვიმეორებ, მისნაირი სახელი არავის დაუტოვებია. მის დებს — მარინასა და რუსუდანს, რომლებიც დღესაც პეტერბურგში ცხოვრობენ, ჯიმის მეგობრები ჩიტის რძეს არ აკლებენ. აი, ასეთი ბიჭი იყო ჯიმი სამუშია. რასაც აქ უყურებ, ყველაფერი მისი ხელით არის გაკეთებული და რომ დაცლოდა, ვინ იცის, რა წარმატებებს მიაღწევდა ავტოსპორტში.

მამუკა კვარაცხელია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯომოლუნგმა ანგ რიტას ბროდვეი

ალპინიზმში, მოგეხსენებათ, ოფიციალური რეკორდები არ აღინიშნება. არადა სპორტის ეს სახეობა აღსავსეა ფრიად საინტერესო მიღწევებით, რომელთა ავტორები, სამწუხაროდ, ნაკლებად ცნობილნი არიან. ამიტომ დღეს გვინდა გაგაცნოთ ერთ-ერთი მათგანი, უთვალსაჩინოესი მთამსვლელი ანგ რიტა



ანგ რიტა ნეპალელი შერპი ალპინისტია. შარშან, როცა 44 წლისა იყო, დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა (იგივე ევერესტი – 8848 მ.) მერვედ დალაშქრა. დალაშქრა და დაიქადნა, კვლავაც ავალ საგარმატხაზეო (საგარმატხა მის მშობლიურ ენაზე ჯომოლუნგმას სახელწოდებაა).

სამწუხაროდ, ანგ რიტას წლევანდელი ასვლების შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება, თუმცა, მან რომ ექსპედიციებში მონაწილეობა საერთოდ აღარ მიიღოს, ძნელი სავარაუდოა, რომ მისი რეკორდი მრავალი წლის განმავლობაში ვინმემ გააუმჯობესოს. ამ საქმეში ანგ რიტას უახლოესი მდევარი, მისი თანამემამულე სონდარე ჯომოლუნგმაზე „მხოლოდ“ ოთხჯერ ყოფილა, თანაც ცკანასკნელად 1985 წელს, როცა 34 წლისა იყო. სონდარეს მოჰყვება იაპონელი ნობორუ იამადა, რომელმაც, თავის მხრივ, ჯომოლუნგმა უკანასკნელად 1988 წელს, მესამედ დალაშქრა. თუმცა, საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ იამადა დაშვებისას შეხვდა ჯომოლუნგმაზე ამავალ თანაგუნდელთა მეორე ჯგუფს და მათთან ერთად კვლავ მწვერვალისაკენ მიმავალ გზას დაადგა, ორსაათნახევრის მერე კი ისევ „დედამიწის სახურავზე“ დადგა.

აქვე უნდა გავიხსენოთ ანგ რიტას კიდევ ერთი რეკორდი, რომელიც სხვა „რვაათასიან“ მწვერვალზე, დჰაულაგირზე (8167 მ.) დაამყარა. თავდაპირველად მან სწორედ ეს მწვერვალი ამოირჩია და იქიდან პირველად 1979 წელს გადმოიხედა. დჰაულაგირი ანგ რიტას პირველი „რვაათასიანი“ მწვერვალი იყო. მეორედ დჰაულაგირზე 1980 წლის 13 მაისს ავიდა, მესამედ კი ექვსი დღის მერე.

ანგ რიტასთვის ერთ-ერთი იღბლიანი აღმოჩნდა 1984 წელიც. იღბლიანი არა მარტო იმიტომ, რომ მაშინ მან ერთ სეზონში კვლავ ორი „რვაათასიანი“ დალაშქრა, არამედ იმიტომაც, რომ ამ ასვლებში სიკვდილს გადაურჩა. მაშინ იგი ჩეხოსლოვაკიელთა ექსპედიციების წევრი იყო და მათთან ერთად 13 მაისს ჯერ ჩო-ოიუზე (8202 მ.) ალპურ სტილში ავიდა, მერე კი 15 ოქტომბერს მეორედ დალაშქრა ჯომოლუნგმა, მაგრამ დაშვებისას ერთ-ერთი თანაგუნდელი დაეღუპა.

ასეთი ტრაგიკული შემთხვევები ანგ რიტას მოიერიშეებს მანმდეც საკმაოდ ჰქონდათ და მას შემდეგაც. ამიტომაც ჭეშმარიტად ქუდბედიანი ყოფილა ანგ რიტა.

როცა ანგ რიტას ასვლებზე ვსაუბრობთ, ნურავინ იფიქრებს, თითქოს მას ჯომოლუნგმა, გნებავთ დჰაულაგირი, ბროდვეისავით იმიტომ გაუტკეპნია, რომ ამ მწვერვალებზე იოლად დასამორჩილებელი გზები არჩია. ჯერ ერთი, იგი ამ ასვლებს სხვადასხვა მარშრუტებით ახორციელებდა, თანაც ჟანგბადის აპარატურის გამოუყენებლად. მეორეც, არც ჯომოლუნგმაზე, არც დჰაულაგირზე და საერთოდ არცერთ „რვაათასიანზე“ იოლი მარშრუტი არ არსებობს.

ხომოლუნგმაზე პირველი წარმატებული ექსპედიციის მეთაური, ინგლისელი ლორდი ჯონ ჰანტი ამბობს: „ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ ევერესტზე ასვლა, თუნდაც 1953 წლის მარშრუტით, უბრალო გასეირნებაა. გარწმუნებთ, რომ ეს ასე არ არის. ყოველი ასვლა სახიფათოა. საკმარისია გავიხსენოთ მსხვერპლთა რაოდენობა. როგორც კი ძლიერი ქარი ამოვარდება, მწვერვალის ქედზე თავს ვერავინ შეიკავებს. და ასეთი დღეები წელიწადში უმრავლესია.

მართლაც, ჯომოლუნგმაზე დაიღუპა იმაზე მეტი მთამსვლელი რამდენმა ექსპედიციამაც მიზანს მიაღწია.

სახელგანთქმულ ინგლისელ მთამსვლელ კრისტიან ბონინგტონს უთქვამს: „ჰიმალაიში დაბრუნებას კვლავ ვისურვებდი, მაგრამ ევერესტზე – არა.“

1984 წელს ჯომოლუნგმაზე ჩეხოსლოვაკიელ მთამსვლელთა წარმატებული ექსპედიციის წევრმა ზოლკო დემიანმა რომელიც დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ანგ რიტასთან და იოზეკ პსოტკასთან ერთად ავიდა (ეს კუანასკნელი დაშვებისას დაიღუპა) ევერესტისა და კიდევ ერთი „რვაათასიანის“ ლჰოცზეს შედარებისას თქვა: „როცა ლჰოცზეზე გაცილებით ძნელი და ტექნიკურად რთული პირველი ასვლა განვახორციელეთ, მცირე შესვენების შემდეგ შემეძლო იმავე გზას გავდგომოდი, ევერესტზე ასვლის განმეორების თავი კი აღარ მქონდა. ეს თითქმის „ცხრაათასიანია“.

რაკი ანგ რიტას რეკორდებზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა ითქვას, რომ იგი სხვა მიღწევების თანაავტორიცაა. ამ მხრივ ფრიად საინტერესო აღმოჩნდა მისი მონაწილეობა ჯომოლუნგმაზე მოწყობილ ნორვეგიელთა პირველ ექსპედიციაში, რომელიც 1988 წელს მოეწყო.

ნორვეგია ალპინიზმში თავს მანამდე ვერ მოიწონებდა, მაგრამ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ასვლისას მისმა ექსპედიციამ, რომელშიც სხვა ქვეყნების მთამსვლელებიც მონაწილეობდნენ, ძალზე იყოჩაღა და რამდენიმე რეკორდი დაამყარა – მწვერვალზე ერთდროულად მდგომთა რაოდენობამ, რომელთა შორის ანგ რიტაც იყო, რვას მიაღწია. ამსვლელთა საერთო რიცხვიც ასევე რეკორდული აღმოჩნდა – 17 კაცი.

55 წლის რიჩარდ ბასი ჯომოლუნგმას დამპყრობთაგან უხუცესი იყო. ბასმა დევიდ ბრეშიეზთან ერთად, ამ ასვლით ყველა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალის დალაშქვრა დაასრულა და დიდი ხნის ოცნება აისრულა (ბასი აშშ – გფ?-ის ექსპედიციის წევრებთან ერთად, რომელთა შორის ანგ რიტაც იყო, 1983 წელსაც ცდილობდა ამ მიზნის მიღწევას, მაგრამ შერპისგან განსხვავებით მაშინ მწვერვალს ვერ მიაღწია).

ექსპედიცია კიდევ ერთი საინტერესო რეკორდით აღინიშნა – კრისტიან ბონინგტონმა პერსონალური კომპიუტერი მეორე ბანაკში აიტანა და 6400 მეტრის სიმაღლეზე აკუმულიატორებითა და მზის ბატარეებით ამუშავა, რაც მანამდე არავის გაუკეთებია (ბონინგტონი მწვერვალზეც ავიდა და ექსპედიციასაც დაეხმარა ორგანიზაციულ საკითხებში – კომპიუტერის წყალობით წერდა წერილებს, დღიურს, აწარმოებდა ფინანსურ ანგარიშებს...)

და კიდევ, სონდარემ სწორედ იმ ექსპედიციაში დაამყარა რეკორდი – მეოთხედ ავიდა ჯომოლუნგმაზე, ანგ რიტასთვის კი ის ასვლა „მხოლოდ“ მესამე იყო.

აბა, რა იცოდა მაშინ სონდარემ ან სხვებმა, რომ ანგ რიტა კიდევ ხუთჯერ ავიდოდა ყველა მწვერვალთა მწვერვალზე.

არადა, ანგ რიტას ჭაბუკობისას ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს ბიჭი ოდესმე დედამიწის უმაღლეს მწერვალებს შეებმებოდა და დაამარცხებდა კიდეც. მეგობრებში იგი სუსტ ბიჭად ითვლებოდა და ხულაც არ მიუწევდა გული მთებისკენ. მისი თანატოლები რომ ალპინისტობაზე ოცნებობდნენ და მათი ბარგის თრევაში წლებზე ფეხს იდგამდნენ, ანგ რიტა ქვემოთ ჯდომას ამჯობინებდა, მერე კი თანდათან „რვაათასიანებს“ ძირში მიეპარა, მწვერვალებიდან ჩამოსულ მყინვართა ენებზეც შედგა ფეხი, ზემოთაც აიწია და 1978 წელს ესპანელებთან ერთად დჰაულაგირზე ამოჰყო თავი.

ასე შექმნეს ესპანელებმა სუსტი ბიჭისაგან „ჰიმალაის ვეფხვი“, როგორც „რვაათასიანი“ ზღვარის დამპყრობ შერპებს უწოდებენ. მაგრამ ვერც ამ ტიტულის მინიჭების შემდეგ იფიქრებდა ვინმე, რომ ანგ რიტა ვეფხვთა ვეფხვი გახდებოდა.

ავთანდილ ბურახაშვილი

# მწვერვალთა ნათლობა

განვლილი ალპინისტური სეზონი ქართველი ალპინისტებისათვის საიუბილეო იყო. უწინარეს ყოვლისა, ეს სეზონი საიუბილეო იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთამსვლელებისათვის, რადგან 70 წლის წინათ პროფესორ გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით მათ მყინვარწვერზე ასვლით სათავე დაუდეს არა მხოლოდ ქართულ,, არამედ საბჭოთა ალპინიზმის ისტორიასაც.

ამასთან დაკავშირებით შევხვდით და ვესაუბრეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო კვლევით პრობლემური ლაბორატორიის გამგეს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ შოთა მირიანაშვილს.



– წლეულს არა მხოლოდ ქართულ ალპინიზმის, არამედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 75 წლის იუბილე აღინიშნებოდა, – გვეუბნება შოთა მირიანაშვილი. – ამიტომ თბილისის უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბის წლევანდელი ყველა ღონისძიება ამ ორ თარიღს მიეძღვნა. ამ ზაფხულს თავდაპირველად ჭაუხების მასივს თანრიგოსან მთამსვლელთა 56-კაციანი ჯგუფით ვესტუმრეთ, სხვადასხვა სირთულის მწვერვალებზე რამდენიმე ასვლა მოვაწყვეთ, რითაც ჩვენმა ალპინისტებმა ოსტატობაც აიმაღლეს და გამოცდილებაც გაიმდიდრეს. ამას გარდა, წინასწარ შეგულებული ორი მწვერვალიც დავზვერეთ, რათა მათზე მოგვიანებით ავსულიყავით და გიორგი ნიკოლაძისა და ვაჟაფშაველას სახელები გვეწოდებინა. მართლაც, მოგვიანებით ჭაუხებს ექვსკაციანი ჯგუფით კვლავ ვესტუმრეთ, ამჯერად ბარისახოს მხრიდან და იმ მწვერვალზეც ავედით და სახელებიც დავანათლეთ.

**— კი მაგრამ, პამირში ხომ არსებობს გიორგი ნიკოლაძისა, ხოლო ტიან-შანში ვაჟა-ფშაველას სახელობის მწვერვალები?**

– დიახ, ქართველმა მთამსვლელებმა გიორგი ნიკოლაძის სახელი 1954 წელს უწოდეს პამირის ერთ-ერთ მწვერვალს. ხოლო ვაჟა-ფშაველასი 1961-ში ტიან-შანზე პიკ-„პობედას“ მასივის ტრავერსირებისას ამავე მასივის დასავლეთით მდებარე განშტოების უსახელო მწვერვალს დაანათლეს. ეს სახელები მტკიცედ დამკვიდრდა კიდეც, მაგრამ ბოლო წლებში გამოსულ ალპინისტურ ლიტერატურაში, კერძოდ საბჭოთა კავშირის მწვერვალთა მარშრუტების კლასიფიკაციაში „ვაჟა-ფშაველას“ სახელით ცნობილ მწვერვალს ვეღარ ვხვდებით. მას მოიხსენიებენ როგორც დასავლეთ „პობედას“. ალბათ იგივე ბედი ელით ქართველ მთამსვლელთა მიერ პირველამსვლელთა უფლებით მონათლულ შუა აზიის სხვა მწვერვალებსაც, საიდანაც მათ საკავშირო ჩემპიონატების მრავალი „ოქრო-ვერცხლიც“ ჩამოუტანიათ. ამიტომაც გადავწყვიტეთ, მწვერვალები „ვაჟა-ფშაველა“ და „გიორგი ნიკოლაძე“ მშობლიურ კავკასიონზე „გადმოგვეტანა“. აქ მათ ვერავინ შეეხება. მწვერვალ „ვაჟა-ფშაველაზე“ გაკვალული გზა მე-2 ა კატეგორიის სირთულისა აღმოჩნდა. იგი ამ რაიონში ყველაზე მაღალია და მთელ ფშავ-ხევსურეთს გადმოყურებს. მწვერვალი „გიორგი ნიკოლაძე“ მას სიმაღლით ოდნავ ჩამორჩება, სამაგიეროდ ჩვენს მიერ მასზე გაკვალული ბილიკი უფრო რთული – მე-3 ბ კატეგორიისა აღმოჩნდა. იგი კარგად მოჩანს ხევსურეთიდან და ბურსაჭირის ხეობიდან. ამ მწვერვალებზე მრავალი სხვადასხვა სირთულის მარშრუტის შერჩევა შეიძლება, მათ შორის მე-5 კატეგორიისაც.

ამ შემოდგომას ჩავატარეთ ჩვენი უნივერსიტეტის ტრადიციული, რიგით 49-ე ალპინიადაც, რომელსაც გეოლოგიის ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომელი მირიან მირიანაშვილი ხელმძღვანელობდა.

თუ შესაძლებელია, უთუოდ აღნიშნეთ, რომ ამ ტრადიციული ალპინიადების ორგანიზების საქმეში, რასაც დიდი შრომა და ენერგია მიაქვს, მუდამ აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის სპორტკლუბის ყოფილი ინსტრუქტორი ოთარ გოჩიაშვილი. ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ პენსიაზე იყო, მაინც არ ისვენებდა და წლევანდელი ალპინიადის ორგანიზებაშიც დიდი წვლილი შეიტანა. სამწუხაროდ, ალპინიადიდან ჩამოსვლის მეორე დღეს, სოფელში წასვლას რომ აპირებდა, რკინიგზის ვაგზალზე გარდაიცვალა.

გოჩიაშვილი ახალგაზრდობაში ძალოსანი გახლდათ. 50-იანი წლების დასაწყისში არაერთხელ მოიპოვა თბილისისა და საქართველოს ჩემპიონისა თუ რეკორდსმენის სახელი, მაგრამ მისი ნამდვილი სიყვარული მაინც მთები იყო. 50-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში ჩატარებული თითქმის ყველა მასობრივი ასვლების მონაწილე თუ ორგანიზატორი იყო, განსაკუთრებით კი თავისი მშობლიური უნივერსიტეტის ალპინიადებს შეალია ძალა და ენერგია.

**— როგორი შედეგებით დაამთავრეთ ალპინიადა?**

– დავიწყოთ იმით, რომ ჩვენს ალპინიადაში მონაწილეობდნენ სტუმრებიც თბილისის სამხატვრო აკადემიიდან, უცხო ენათა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტებიდან, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტიდან და გორის კლუბ „ტონათიიდან“. სულ 85-მა კაცმა მოიყარა თავი. თავის მხრივ, მანამდე ჩვენი უნივერსიტეტის თანრიგოსანი მთამსვლელებიც იყვნენ სხვათა ალპინიადების სტუმრები. რაც შეეხება ყაზბეგის რაიონში, ხდის ხეობაში მოწყობილი ჩვენი ალპინიადის შედეგებს, 50-მდე ახალბედამ ყუროს ცენტრალურ მწვერვალზე მიიღო ალპინისტური ნათლობა, თანრიგოსანმა მთამსვლელებმა კი აღმოსავლეთ მწვერვალზე ახალი მარშრუტი გაკვალეს და რამდენიმე სხვა პიკიც დალაშქრეს. აღსანიშნავია, რომ მათ მწვერვალ „ბორის ძნელაძეს“ სახელწოდება გამოუცვალეს და მირიან მეფის სახელი დაანათლეს, ხოლო მისი მეუღლის, ნანა დედოფლის სახელი პიკ „გამარჯვებას“ უწოდეს. სამწუხაროდ, ეს ალპინიადა დაგვიანებით, ნოემბერში მოეწყო. მთაში უკვე საკმაოდ ფინავდა, მერე ქვემოთაც ჩამოთოვა და ასვლების სიმრავლე შემცირდა.

**— კი მაგრამ, თქვენი ალპინიადები ხომ ჩვეულებრივ სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დასაწყისში ეწყობა?..**

– ახლა იმიტომ დაგვიგვიანდა, რომ ჩვენი უნივერსიტეტის თანრიგოსანი მთამსვლელები სხვებთან ერთად სვანეთში აფხაზეთიდან ლტოლვილების დასახმარებლად იყვნენ წასულები და აბა მაშინ რა გვეალპინიადებოდა?

**— დღეს საქართველოში არ არსებობს გუნდი, სპორტკლუბი, სპორტსმენი ნიადაგ ფინანსური გაჭირვება რომ არ აწუხებდეს. გამონაკლისი ალბათ არც თქვენი უნივერსიტეტის ალპინიადა უნდა იყოს, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება.**

– რა თქმა უნდა, არც ჩვენ გვილხინს. ეგ კი არა, ეს საიუბილეო ალპინიადა ლამის ჩაიშალა. უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი თანხა ორი კაცის ყაზბეგში აქეთ-იქით მგზავრობასა და კვებას არ ეყოფოდა, აღარას ვამბობ სხვებზე და სხვა ხარჯებზე. ისევ უნივერსიტეტის ალპინისტური კლუბი, როგორც იტყვიან, მიდგა-მოდგა და სპონსორები იშოვა, რამაც ალპინიადა გადაარჩინა. ასე რომ, გამოდის, ალპინიადა უნივერსიტეტისა კი არა, მისი ალპინისტური კლუბისა ყოფილა.

ავთანდილ ბურახაშვილი

# სარბიელი

# ტოტალიზატორი
## "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგების კოეფიციენტია — 4,0.

ფსონის მინიმალური თანხაა 5 000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

მოგებები გაიცემა ქვითარში აღნიშნული ბოლო მატჩის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე.

დაწვრილებით წესებს შეგიძლიათ გაეცნოთ ეროვნული სტადიონის V სალაროში.

### უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 15-16 იანვარი | ტოტენჰემი — მანჩესტერ. იუნ. | | 2,6 | 2,1 | 1,8 |
| | ქპრ — ნიუკასლი | | 1,6 | 2,2 | 3,0 |
| | სოსიედადი — ალბასეტე | | 1,4 | 2,2 | 4,0 |
| | სევილია — ბარსელონა | | 2,6 | 2,1 | 1,8 |
| | რეალი — სარაგოსა | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | სპორტინგი — ოსასუნა | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | სელტა — ვალიადოლიდი | | 1,4 | 2,2 | 4,0 |
| | ლოგრონიესი — ოვიედო | | 1,6 | 2,0 | 3,5 |
| | ტენერიფე — ბილბაო | | 1,8 | 2,0 | 3,0 |
| | უდინეზე — კალიარი | | 1,8 | 2,2 | 2,6 |
| | ნაპოლი — კრემონეზე | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | ინტერი — ფოჯა | | 1,3 | 2,2 | 4,8 |
| | ჯენოა — მილანი | | 2,8 | 2,2 | 1,6 |
| | ლეჩე — პარმა | | 4,0 | 2,2 | 1,4 |
| | ლაციო — რეჯანა | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | იუვენტუსი — რომა | | 1,3 | 2,2 | 4,8 |
| | პიაჩენცა — სამპდორია | | 2,6 | 2,2 | 1,7 |
| | ატალანტა — ტორინო | | 1,7 | 2,0 | 3,2 |
| 22-23 იანვარი | ბლექბერნი — ლიდსი | | 1,7 | 2,0 | 3,2 |
| | რაიო ვალეკანო — სანტანდერი | | 1,7 | 2,0 | 3,2 |
| | ლოგრონიესი — ატლეტიკო | | 2,0 | 2,0 | 2,5 |
| | სელტა — ლა კორუნია | | 3,0 | 2,0 | 1,8 |
| | სპორტინგი — ვალიადოლიდი | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | რეალი — ოსასუნა | 0:1 | 1,4 | 2,2 | 3,0 |
| | სევილია — სარაგოსა | | 1,4 | 2,2 | 4,0 |
| | სოსიედადი — ბარსელონა | | 2,5 | 2,2 | 1,8 |
| | ალბასეტე — ბილბაო | | 2,0 | 2,2 | 2,3 |
| | რეჯანა — ატალანტა | | 1,6 | 2,0 | 3,5 |
| | კალიარი — ჯენოა | | 1,5 | 2,0 | 4,0 |
| | კრემონეზე — ინტერი | | 2,3 | 2,0 | 2,2 |
| | სამპდორია — იუვენტუსი | | 1,8 | 2,0 | 3,0 |
| | პარმა — ლაციო | | 1,6 | 2,0 | 3,5 |
| | ფოჯა — ლეჩე | 0:1 | 1,5 | 2,1 | 3,0 |
| | ტორინო — ნაპოლი | | 1,6 | 2,1 | 3,3 |
| | მილანი — პიაჩენცა | 0:1 | 2,0 | 2,0 | 2,0 |
| | რომა — უდინეზე | | 1,3 | 2,2 | 4,8 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი

| | ჩემპიონი (17.07) | ფინალი (13.07) | 1/2 (10.07) | 1/4 (05.07) | 1/8 (30.06) |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3,2-1,8 | 2,5-1,9 | 1,8-2,1 | 1,6-2,5 | 1,5-200,0 |
| გერმანია | 3,5-1,8 | 2,5-1,9 | 1,8-2,1 | 1,6-2,5 | 1,5-150,0 |
| იტალია | 3,5-1,8 | 2,5-1,9 | 1,8-2,1 | 1,6-2,5 | 1,5-50,0 |
| არგენტინა | 4,0-1,8 | 2,8-1,9 | 1,9-2,1 | 1,6-2,5 | 1,5-30,0 |
| ჰოლანდია | 5,0-1,8 | 3,5-1,9 | 2,0-2,0 | 1,6-2,5 | 1,5-20,0 |
| კოლუმბია | 10,0-1,7 | 7,0-1,7 | 4,0-1,6 | 1,7-2,3 | 1,5-3,0 |
| მექსიკა | 12,0-1,6 | 8,0-1,7 | 5,0-1,6 | 1,7-2,3 | 1,5-2,8 |
| აშშ | 15,0-1,6 | 10,0-1,6 | 5,0-1,6 | 1,7-2,3 | 1,5-2,7 |
| ესპანეთი | 15,0-1,6 | 10,0-1,6 | 5,0-1,6 | 1,7-2,3 | 1,5-2,7 |
| კამერუნი | 25,0-1,6 | 15,0-1,6 | 5,0-1,6 | 2,0-2,0 | 1,6-2,4 |
| ნიგერია | 25,0-1,6 | 15,0-1,6 | 5,0-1,6 | 2,0-2,0 | 1,6-2,4 |
| ბელგია | 30,0-1,5 | 20,0-1,6 | 8,0-1,5 | 2,2-1,8 | 1,7-2,3 |
| მაროკო | 30,0-1,5 | 20,0-1,6 | 8,0-1,5 | 2,2-1,8 | 1,7-2,3 |
| ნორვეგია | 30,0-1,5 | 20,0-1,6 | 8,0-1,5 | 2,2-1,8 | 1,7-2,3 |
| შვედეთი | 50,0-1,5 | 35,0-1,5 | 15,0-1,5 | 3,0-1,7 | 1,8-2,2 |
| ირლანდია | 75,0-1,5 | 50,0-1,5 | 25,0-1,5 | 4,0-1,6 | 1,8-2,2 |
| რუსეთი | 75,0-1,5 | 50,0-1,5 | 25,0-1,5 | 4,0-1,6 | 1,8-2,2 |
| რუმინეთი | 75,0-1,5 | 50,0-1,5 | 25,0-1,5 | 4,0-1,6 | 1,8-2,2 |
| ბოლივია | 100,0-1,5 | 70,0-1,5 | 30,0-1,5 | 5,0-1,6 | 1,9-2,1 |
| ბულგარეთი | 100,0-1,5 | 70,0-1,5 | 30,0-1,5 | 5,0-1,6 | 1,9-2,1 |
| საბერძნეთი | 100,0-1,5 | 70,0-1,5 | 30,0-1,5 | 5,0-1,6 | 1,9-2,1 |
| შვეიცარია | 100,0-1,5 | 70,0-1,5 | 30,0-1,5 | 5,0-1,6 | 1,9-2,1 |
| კორეა | 250,0-1,5 | 200,0-1,5 | 100,0-1,5 | 15,0-1,6 | 2,0-2,0 |
| საუდ. არაბეთი | 500,0-1,5 | 400,0-1,5 | 200,0-1,5 | 30,0-1,6 | 2,1-2,0 |

მაგალითისთვის: ბრაზილიის სტრიქონისა და ფინალის სვეტის გადაკვეთაზე წერია 2,5-1,9. პირველი რიცხვი (2,5) ნიშნავს კოეფიციენტს ფსონისთვის, რომ ბრაზილია გავა ფინალში, ხოლო მეორე რიცხვი (1,9) ნიშნავს კოეფიციენტს ფსონისთვის, რომ ბრაზილია ვერ გავა ფინალში.

**აღნიშნული კოეფიციენტები მოქმედებს 1 თებერვლამდე**

ქვითარზე აღინიშნება ფსონის ჩაბარების თარიღი და მოგების შემთხვევაში მიიღებთ თანხას იმ კოეფიციენტით, რომელიც მოქმედებდა ფსონის ჩაბარების დროს.

### 1 თებერვლამდე მოქმედი კოეფიციენტები
### ევროპული ტურნირები

ფრჩხილებში მითითებულია მოგებების გაცემის დაწყების თარიღი. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ერთი ჯგუფიდან ორი გასული გუნდის გამოცნობისას. მოითხოვეთ სპეციალური ქვითრები

ნახევარფინალში გასვლა (13.04)
ბარსელონა — 1,3
მონაკო — 1,6
სპარტაკი — 2,0
გალათასარაი — 2,0
მილანი — 1,3
ვერდერი — 1,6
პორტუ — 2,0
ანდერლეხტი — 2,0

ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა (13.04)
ბარსელონა — 1,4
მონაკო — 3,8
სპარტაკი — 4,5
გალათასარაი — 6,0
მილანი — 1,4
ვერდერი — 3,4
პორტუ — 4,8
ანდერლეხტი — 6,5

თასის აღება

ჩემპიონთა თასი (18.05)
მილანი — 2,2
ბარსელონა — 2,7
ვერდერი — 4,0
პორტუ — 5,5
ანდერლეხტი — 6,5
მონაკო — 7,0
სპარტაკი — 8,0
გალათასარაი — 8,5

თასების თასი (04.05)
აიაქსი — 3,2
პარმა — 3,2
რეალი — 3,2
არსენალი — 4,0
ტორინო — 5,5
პსჟ — 6,0
ბენფიკა — 7,0
ბაიერი — 7,0

უეფას თასი (11.05)
იუვენტუსი — 2,5
ინტერი — 2,5
აინტრახტი — 3,2
ბორუსია — 5,0
კალიარი — 8,0
კარლსრუე — 10,0
ბოავიშია — 25,0
კაზინო — 50,0

### ეროვნული ჩემპიონატების გამარჯვებულები

ინგლისი (08.05)
მანჩესტერ იუნაიტედი — 1,4
ლიდსი — 10,0
ბლექბერნი — 10,0
არსენალი — 10,0
ნიუკასლი — 25,0
ნორვიჩი — 25,0
ლივერპული — 40,0
ქპრ — 50,0
დანარჩენები — 100,0

გერმანია (08.05)
აინტრახტი — 3,2
ლევერკუზენი — 3,2
ბაიერნი — 3,2
ვერდერი — 4,0
კაიზერსლაუტერნი — 5,0
ჰამბურგი — 8,0
დორტმუნდი — 10,0
დუისბურგი — 20,0
დანარჩენები — 50,0

იტალია (01.05)
მილანი — 2,8
იუვენტუსი — 2,8
სამპდორია — 3,2
პარმა — 5,0
ინტერი — 5,0
ლაციო — 10,0
ნაპოლი — 30,0
დანარჩენები — 50,0

ესპანეთი (15.05)
ბარსელონა — 3,0
ლა კორუნია — 3,0
რეალი — 3,0
ბილბაო — 7,5
ატლეტიკო — 15,0
სპორტინგი — 30,0
დანარჩენები — 50,0

## შედეგთა დაფა

### ფრენბურთი

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. I წრე. 14-24 დეკემბერი, თბილისი. სატურნირო მდგომარეობა:

1. „კოლხი" (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 6 მოგება (თავისზე ქვემოთ მდგარ გუნდებს შესაბამისად მოუგო: 3:0, 3:1, 3:0, 3:0, 3:0, 3:0); 2. „შევარდენი" — 5 (3:0, 3:0, 3:0, 3:0, 3:0); 3. „მერცხალი" (გორი) — 4 (3:0, 3:0, 3:0, 3:0); 4. „ზიგა" (აგრარული უნივერსიტეტი) — 3 (3:0, 3:0, 3:0); 5. „ფრენა" (სახელმწიფო უნივერსიტეტი) — 2 (3:2, 3:0); 6. „ოლიმპიელი" — 1 (3:0); 7. სპორტული სკოლა — 0.

### კალათბურთი

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. II ტური. 20-24 დეკემბერი, თბილისი.

სტუ — ტანდემი 74:37, სტუ — გეი 84:50, სტუ — მართვე 76:35, სდუ — მეობა 73:77, სდუ — ტანდემი 76:35, სდუ — გეი 80:54, სდუ — მართვე 67:36, მეობა — ტანდემი 86:29, მეობა — გეი 131:36, მეობა — მართვე 109:44, ტანდემი — გეი 49:70, ტანდემი — მართვე 63:50, გეი — მართვე 73:61

II წრის გამოტოვებული მატჩი: სტუ — სდუ 77:61


PUMA®
PUMA AG Rudolf Dassler Sport

გთავაზობთ
ბოლო მოდელის
სპორტულ ტანსაცმელს
ხელსაყრელ ფასად
დარეკეთ 29 47 24
ფაქსი: (8832) 29 47 25

მაჭახი
Matchi

საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო

— თარგმნა გერმანულ და ინგლისურ ენებზე
— თარგმანისა და ნებისმიერი სხვა ტექსტის ბეჭდვა გერმანულად, ინგლისურად და რუსულად
— თარგმნა, ბეჭდვა, ფაქსისა და ტელექსის გაგზავნა გერმანულ და ინგლისურ ენებზე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში
— ტელექსისა და ფაქსის მიღება ნებისმიერი ქვეყნიდან
— ქსეროასლების დამზადება.

დავით აღმაშენებლის გამზირი 67
ტელეფონები: 95 11 62, 95 10 63, 95 11 02

კომერციული ბანკი
MB
Commercial Bank
მინაგობანკი MINAGOBANK

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"

სასტუმრო „აჭარა"
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407

შეზღუდული
პასუხისმგებლობის
საზოგადოება
„ლომბარდი"

თბილისი, ჟიქიას ქუჩა, 8

# ელეგანტური ბარონი

**დღევანდელი ოლიმპია საბერძნეთის პატარა პროვინციული ქალაქია და , სხვათგან არაფრით გამოირჩევა. თუმცა აქ ქალაქში არის ერთი ძეგლი, რომელიც მთელი მსოფლიოს სპორტსმენებისათვის და არა მხოლოდ მათთვის, ძვირფასია. ეს გახლავთ ძეგლი კაცისა, რომელმაც ანტიკური ოლიმპიური თამაშები აალორძინა და თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებს ჩუყარა საფუძველი. პიერ დე კუბერტენი, ფრანგი პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე...**



ეს ელეგანტური და სიმპათიური ბარონი, შეიძლება ითქვას, სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ასეთ პიროვნებებს, როცა მათ ღვაწლს იხსენებენ, ხშირად დაუმსახურებელ წვლილსაც აწერენ. ასე დაემართა კუბერტენსაც და სპორტის მრავალი მემატიანე დღემდე მას მიაწერს ახალი დროის ოლიმპიური მოძრაობის აღდგენის ინიციატივას. ასეთი მტკიცება გარკვეულწილად ალბათ მართალია იმდენად, რამდენადაც კუბერტენის ინიციატივამ პრაქტიკულად ელინური ოლიმპიური თამაშები აალორძინა და თანამედროვე ოლიმპიადებს დაუდო სათავე. მაგრამ ამ იდეის ცალმხრივად ფრანგი ბარონისადმი მიწერა სხვათა წინაშე უსამართლობა იქნება.

ოლიმპიადების მემატიანენი ასახელებენ სხვადასხვა პიროვნებებს, რომლებსაც აზრად მოსვლიათ ამ ძველთაძველი თამაშების აღდგენა და ზოგიერთ მათგანს პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაუდგამს. ამასთან, ანტიკური ოლიმპიადების დარად მის პროგრამაში ხელოვანთა პაექრობებიც შეუტანიათ.

როცა პიერ დე კუბერტენს ვიხსენებთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ დღემდე მას მიაწერენ პენსინვანიელი ეპისკოპოსის ლამაზ და შინაარსიან გამონათქვამს — „ოლიმპიურ თამაშებში მთავარია არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობა".

ვფიქრობთ კუბერტენს, ამ ერთ კაცს, იმდენი გაუკეთებია, რომ მრავალს ეყოფოდა საამაყოდ და სხვათა დამსახურებების მისთვის მიწერა ფრანგი მოამაგის სახელს ბევრს ვერაფერს შემატებს.

ოლიმპიური თამაშების ორგანიზების ცდები, პიერ დე კუბერტენის სიტყვებით, „ანტიკური ოლიმპიადების ათასწლეულზე მეტი ხნით მთვლემარე სულით იყო განპირობებული". თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ასაღორძინებელი ხელსაყრელი წინაპირობა მხოლოდ გასული საუკუნის მიწურულს გაჩნდა, როცა სატრანსპორტო და კავშირურთიერთობების საშუალებებმა გიგანტური ნაბიჯები გადადგა, როცა ჩამოყალიბდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, როცა მრავალ ქვეყანაში სპორტული ორგანიზაციები და კლუბები შეიქმნა. შეიქმნა და აი, სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა პიერ დე კუბერტენი, კაცი რომელსაც ოლიმპიური თამაშების აღორძინების იდეა აწუხებდა; კაცი, რომელიც ორგანიზატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული, იყო განათლებული და ენერგიით აღსავსე.

პიერ დე კუბერტენი ოლიმპიური თამაშების აღორძინებაში ხედავდა არამხოლოდ ადამიანის ფიზიკური განვითარების უებარ წყაროს, არამედ მას იგი მიაჩნდა სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრებთა გაერთიანების საშუალებადაც.

სპორტის მრავალი მკვლევარი იმ აზრისაა, რომ კუბერტენს ოლიმპიური მოძრაობის აღორძინების იდეა ჩაუნერგა ბავშვობაში წაკითხულმა თომას ჰიუზის წიგნმა „ტომ ბრაუნის სასკოლო დღეები". „მაგრამ კუბერტენის ადრეულ შრომებში საუბარია არა ოლიმპიურ მოძრაობაზე, არამედ იმ დროს საფრანგეთში გამეფებულ აღზრდის სისტემის ურთიერთდაპირისპირებულობასა და, უწინარეს ყოვლისა სკოლებში ფიზიკური გაკვეთილების სფეროში არსებულ არასასურველ მდგომარეობაზე", — წერს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ცნობილი მკვლევარი ლ. კუნი.

მართლაც, თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა სრულიად ახალგაზრდა ბარონმა იმით დაიწყო, რომ 1880 წელს, 17 წლის ჭაბუკი, სათავეში ჩაუდგა ლიბერალურ-რესპუბლიკელების ჯგუფს და ფიზიკური აღზრდის ეროვნული ლიგა ჩამოაყალიბა. ეს ლიგა ფართო ორგანიზატორული მუშაობის დახმარებით მიზნად ისახავდა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას და ნაბეჭდი პროდუქციის საშუალებით სპორტული მოძრაობის პროპაგანდას, რომელიც მთელი სფრანგეთის მოსახლეობას, მთელი. სასკოლო ფიზიკური აღზრდის სიტემას მოიცავდა.

იმისთვის, რომ საფრანგეთში ფიზიკური აღზრდის სიტემა ძირფესვიანად შეეცვალა, კუბერტენი მრავალ სპეციალურ ლიტერატურას გაეცნო. მასზე დიდი გავლენა მოახდინა პ. ა. ტაინერის „ინგლისურმა დღიურმა" და ანდრე ლორიეს „ცხოვრება ინგლისის კოლეჯებში". ამ წიგნების წაკითხვის შემდეგ ოცი წლის ბარონი ინგლისს გაემგზავრა, რათა უშუალოდ გაცნობოდა იქაურ ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებას. ბრიტანეთიდან დაბრუნებულმა 1887 წელს ჩამოაყალიბა ფიზიკური აღზრდის პროპაგანდის კომიტეტი, რომელსაც ფორმალურად საფრანგეთის განათლების მინისტრი ჟიულ სიმონი მეთაურობდა. ამ კომიტეტის როლი, რომელიც განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში შედიოდა, 1887-1890 წლებში არსებითად ოლიმპიური მოძრაობის საფუძვლების შექმნა იყო. სწორედ ამ იდეას მიეძღვნა კუბერტენის სტატია, რომელიც „ლე ტამის" ფურცლებზე გამოაქვეყნა, მერე კი ათლეტთა საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც კომიტეტმა პარიზში 1889 წლის 15 ივლისს მოიწვია, კუბერტენმა წამოაყენა წინადადება, რომ ძველი ოლიმპიადების დარად საერთაშორისო შეჯიბრებათა სერია ჩაეტარებინათ. 1892 წლის 25 ნოემბერს სორბონის უნივერსიტეტის საზეიმო დარბაზში ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული ოგანიზაციის — საფრანგეთის მძლეოსანთა კავშირის ფედერაციის შექმნის ხუთი წლის აღსანიშნავ თავყრილობაზე, რომლის გენერალური მდივანი კუბერტენი იყო, ბარონმა ოლიმპიური თამაშების აღდგენის წინადადება შემოიტანა. მანამდე მან იმოგზაურა ევროპაში, სადაც გამოჩენილ სპორტულ მოღვაწეთაგან თანამოაზრენი შემოიკრიბა, რათა ოლიმპიური მოძრაობისთვის იმთავითვე საერთაშორისო ხასიათი მიეცა.

სორბონის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციაში — „ოლიმპიადის აღორძინება", კუბერტენმა საკუთარი კონცეფცია ოლიმპიზმის რაობაზე განვრცობილი სახით წარმოადგინა და თავისი პედაგოგიური შეხედულებანიც წარმოაჩინა. იგი თვლიდა, რომ ოლიმპიური მოძრაობის იდეები კაცობრიობას „შთაბერავს თავისუფლების, მშვიდობიანი პაექრობის, ფიზიკური სრულყოფილების სულს", რომ იგი ხელს შეუწყობს ხალხთა კულტურულ თანამშრომლობას.

„მოდით, უცხოეთში გავგზავნოთ ნიჩბოსნები, მოფარიკავეები, მორბენლები და ამით სათავე დავუდოთ სპორტსმენთა თავისუფალ მოძრაობას, რისი შემწეობითაც ბებერი ევროპის სისხლის მიმოქცევას მშვიდობის იდეა ჩაეღვრება, — თქვა ლექციის დასასრულს კუბერტენმა. — ეს საშუალებას მომცემს თქვენი მხარდაჭერით შემოვიტანო წინადადება ოლიმპიური თამაშების ასაღორძინებლად, რომელიც თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად იქნება გარდაქმნილი."

— სპორტი ინტერნაციონალური უნდა გავხადოთ, უნდა ავაღორძინოთ ოლიმპიური თამაშები! — ბრძანა მანამდე კუბერტენმა და მსმენელთ დაუხატა ბრწყინვალე ელინური ცივილიზაცია, რომელიც ჰარმონიულად განვითარებული, გონიერი და მოხდენილი ადამიანის აღზრდისაკენ მიილტვოდა.

— და ჩვენ ვართ იმ ცივილიზაციის მემკვიდრეები, — თქვა ელინთა იდეალივით ჰარმონიულად განვითარებულმა ახალგაზრდა ბარონმა.

ლექციაზე დამსწრე საზოგადოება, კუბერტენის სიტყვებით, ტაშს უკრავდა, მოწონებას გამოხატავდა, წარმატებებს უსურვებდა, მაგრამ არსებითად საკითხის არსი ვერავინ გაიგო. ეს ნათლად გამოჩნდა მაშინ, როცა საქმე კონკრეტულად ოლიმპიური იდეის განხორციელებამდე მივიდა.

მაგრამ ყოველივე ამან გული ვერ გაუტეხა კუბერტენს და მომდევნო წელს ინგლისისა და ამერიკის ათლეტური კავშირების მდივანთა (კ.ჰერბერტი და ვ.მ.სლოანსი) დახმარებით დამფუძნებელი კონგრესის მოსამზადებელი კომიტეტი შექმნა. მან საერთაშორისო პაციფისტური მოძრაობის წყალობით კავშირები დაამყარა იმ ქვეყნებთან, სადაც სპორტულმა მოძრაობამ საკმაოდ ფართო გაქანება ჰპოვა. კუბერტენმა თანამოაზრეებთან ხშირი მიმოწერა გააჩაღა, მათთან ორი წინასწარი თათბირიც ჩაატარა და 1894 წლის 16 ივნისს იმავე სორბონის უნივერსიტეტში თავი მოუყარა ოლიმპიზმის მომხრეებს. აქ 12 ქვეყნის 72 დელეგატის წინაშე პიერ დე კუბერტენმა ოლიმპიური თამაშებისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) შექმნის თაობაზე დაწვრილებითი პროექტი წაიკითხა.

კუბერტენის წინადადებას ყველამ დაუჭირა მხარი და 23 ივნისს შეიქმნა სოკ-იც, რომლის შემადგენლობაში 12 ქვეყნის 14 წარმომადგენელი შევიდა. გადაწყდა, რომ „ფიზიკური აღზრდის ინტერესების მხარდასაჭერად და ამ სფეროში ხალხთა მეგობრული ურთიერთობის ხელშესაწყობად ოთხ-წელიწადში ერთხელ ელინური ოლიმპიადების მსგავსად ჩატარდეს დიდი თამაშები, სადაც ყველა ცივილიზებული ხალხები იქნებიან მოწვეულნი".

სოკ-ის პირველ პრეზიდენტად ოლიმპიური თამაშების სამშობლოს პატივისცემის ნიშნად, საბერძნეთის წარმომადგენელი დემეტრიუს ვიკალესი აირჩიეს, ხოლო გენერალურ მდივნად ბარონი პიერ დე კუბერტენი. ორი წლის შემდეგ ვიკალესი გადადგა, ხოლო პრეზიდენტის პოსტი კუბერტენმა დაიკავა და 1925 წლამდე ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, ხოლო ამის შემდეგ გარდაცვალებამდე საპატიო პრეზიდენტი იყო.

თავისი შესაშური ორგანიზატორული ტალანტის, ფიზკულტურასა და სპორტში დაგროვილი მდიდარი ცოდნის წყალობით კუბერტენმა უდიდესი წვლილი შეიტანა საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში. ეს მოძრაობა უფრო ფართოდ რომ გაშლილიყო, 1906 წელს პარიზში გამართულ სოკ-ის IV კონგრესზე, სადაც სპორტული ლიტერატურის გამოცემის საკითხიც განიხილებოდა, კუბერტენმა წამოაყენა წინადადება, რომ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, ანტიკური ოლიმპიადების მსგავსად ხელოვანთა, ლიტერატორთა, არქიტექტორთა და მუსიკოსთა კონკურსები ჩაეტარებინათ. ამ წინადადებამაც ჰპოვა მხარდაჭერა და პირველი კონკურსი V ოლიმპიურ თამაშებზე, სტოკჰოლმში გაიმართა. პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი, კულტურის პროგრამით, მიეკუთვნა ლექსს „ოდა სპორტს". ამ ოდამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ფრანგულ და გერმანულ ენებზე წარმოდგენილ ლექსს ჟორჟ ხოხროდი და მარტინ ეშბახი აწერდნენ ხელს.

„ფრანგული და გერმანული ტექსტები თარგმანს არ წარმოადგენენ, — განმარტავდა თავის გადაწყვეტილებას ჟიური. — ავტორის აზროვნების ხასიათი ლათინურს გვაგონებს, რაც შეეხება ლექსიკას, მას გერმანული საფუძველი ეტყობა. შესაძლოა ბატონებს ხოხროდსა და ეშბახს სურდათ ამგვარად გადმოეცათ ის აზრი, რომ ოლიმპიური ლიტერატურის მისია სწორედ სილამაზის კულტის საშუალებით ხალხის დაახლოებაში მდგომარეობს".

კუბერტენი სწორედ ამისთვის იბრძოდა.

როცა ჟიურიმ თავისი ვერდიქტი საბოლოოდ გამოიტანა, აღმოჩნდა, რომ ოდას ავტორი... თავად ხელოვანთა კონკურსების ჩატარების მოთავე ყოფილა, მაგრამ მან ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, რათა მის გვარს ჟიურის გადაწყვეტილებაზე გავლენა არ მოეხდინა.

ასე გახდა პიერ დე კუბერტენი ოლიმპიური ოქროს მედალოსანი.

„კუბერტენს ოლიმპიური იდეის გამოხატვა ალბათ გერმანულ-ფრანგული ფსევდონიმით სურდა, რომელიც ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ქვეყნებსაც კი აახლოვებს", — წერდა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მემატიანე დოქტორი ფერენც მეზიო, რომელიც თავადაც ოლიმპიური ჩემპიონი იყო.

პიერ დე კუბერტენი ავტორია აგრეთვე ოლიმპიური დროშისა, რომელზეც ხუთი რგოლია გამოსახული. 1914 წელს პარიზში გამართულ სოკ-ის კონგრესზე, როცა ამ დროშის პროექტი წარმოადგინა, კუბერტენმა განმარტა: „ხუთი რგოლი — ლურჯი, ყვითელი, მწვანე, წითელი და შავი სიმბოლოა დედამიწის ხუთი ნაწილისა რომლებიც ოლიმპიურ მოძრაობას აღიარებენ და მზად არიან ოლიმპიურ პაექრობაში მონაწილეობისათვის. დროშის თეთრი ფერი — რიგით მეექვსე — იმას ნიშნავს, რომ უკლებლივ ყველა სახელმწიფოს თავისი ეროვნული დროშით გამოსვლა შეუძლია.

ზემოთ ვთქვით, პიერ დე კუბერტენმა უდიდესი წვლილი შეიტანა ოლიმპიურ მოძრაობაშიო, მაგრამ მას, სამწუხაროდ ეს ყველაფერი დიდი ბრძოლის შედეგად უხდებოდა. მართალია მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, მაგრამ არც მოწინააღმდეგენი აკლდა, მათ შორის სამშობლოშიც. მაგალითად, 1910 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მისმა მოწინააღმდეგეებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ „საფრანგეთის მთავრობა ოლიმპიურ თამაშებს არ ცნობს." ამის გამგონე კაცს გული შეიძლება გასკდომოდა, მაგრამ კუბერტენმა პასუხად სოკ-ის VI კონგრესი სწორედ პარიზში მოიწვია (1914 წელს). კონგრესის შემდეგ კუბერტენმა სოკ-ის პრეზიდენტობიდან გადადგომაზე დაიწყო ფიქრი, მაგრამ ამ განზრახვაზე მას მისმა თანამშრომლებმა აალებინეს ხელი. ისინი ვარაუდობდნენ, რომ იმ დროს არსებული საერთაშორისო ვითარება მთელი ორგანიზაციის დაშლას გამოიწვევდა. ასეთი საფრთხე მართლაც არსებობდა და კუბერტენმა კიდევ ერთხელ საოცრად მოხერხებული დიპლომატიური მანევრის უნარი გამოამჟღავნა, რათა ოლიმპიური მოძრაობა შეენარჩუნებინა. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ იმ ხანად კარსმომდგარი პირველი მსოფლიო ომის პირობებში არსებობდა იმის საშიშროება, რომ გერმანიას სოკ-ის რეზიდენციის ბერლინში გადატანა მოენდომებინა. ამასთან, როგორც ლ. კუნი მოგვითხრობს, კუბერტენს სურდა ოლიმპიური მოძრაობა მოქიშპე მხარეთაგან უშუალო პოლიტიკური ზეწოლისაგან დაეცვა. ამიტომ მან საომარი დროის არეულობით ისარგებლა და 1915 წლის 10 აპრილს შვეიცარიის პეზიდენტის მხარდაჭერით სოკ-ის მუდმივი ადმინისტრაციული ცენტრი ლოზანაში დააარსა. მოგვიანებით ქალაქის ხელისუფლებამ მის განკარგულებაში გადასცა სასახლე, რომელიც დღემდე სოკ-ის რეზიდენციაა.

მიუხედავად ასეთი მოუღლელი და ნაყოფიერი მუშაობისა, კუბერტენს თავისი მოწინაღმდეგეები მაინც არ ასვენებდნენ და 1925 წელს სოკ-ის კონგრესის დამთავრების შემდეგ, რომელიც პრაღაში გაიმართა, ამ ორგანიზაციის პრეზიდენტობიდან გადადგა.

„თავისი გადადგომა კუბერტენმა ჯანმრთელობის მდგომარეობით ახსნა, სინამდვილეში, როგორც შემდეგ მისი მემკვიდრეებით გაირკვა, ასეთი ნაბიჯის გადადგმა უბიძგა შერყეულმა მატერიალურმა მდგომარეობამ და მისი ოლიმპიური კონცეფციების კრიზისმა. ამასთან ერთად, ასეთი ნაბიჯი განსაზღვრა პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებში საფრანგეთის ჰეგემონიის წინააღმდეგ მიმართულმა იმ ფონმაც, რომელზეც აისახა გერმანიასა და აშშ-ში გავრცელებული ანტიოლიმპიური ტენდენცია, რომელიც მის პიროვნებას ეხებოდა", — წერდა ლ.კუნი.

ასე იყო თუ ისე, პიერ დე კუბერტენი გადადგა და იმავდროულად სოკ-ის საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს.

1937 წლის 2 სექტემბერს 71 წლის პიერ დე კუბერტენის მოუღლელი გულისცემა შეწყდა. მისი ანდერძის თანახმად თანამედროვე ოლიმპიური თამაშების მამად წოდებული კაცის გული უძველესი ოლიმპიური ალტისის ტაძრის მარმარილოს კოლონის ძირას დამარხეს, ათენის ავეროფის სტადიონზე კი, ძველბერძნული ტრადიციებისამებრ, „მუდმივად ცარიელი" პიერ დე კუბერტენის ლოჟაა.

ავთანდილ გურასაშვილი

# რინგის ამბები



ლეგენდარულმა ჩანამელმა მოკრივემ, 42 წლის რობერტო დურანმა პროფესიულ რინგზე მეასე ბრძოლა გამართა. ბეი-სენტ-ლუისში მან მერვე რაუნდში სძლია 21 წლის ტონი მენესს და ჯილდოდ ოდენ 50 ათასი დოლარი მიითვალა. არადა, დურანი 1972 წლიდან მოყოლებული ჩემპიონი გამხდარ ოთხ(!) წონაში, ახლა კი თურმე მეხუთეში — ზესაშუალოში ასპაარეზობს, VIII-IX ნომრად ითვლება და იმედოვნებს, რომ მეორე ლეგენდას — მექსიკელ ხულიო სეზარ ჩავესსაც შეერკინება.

ამასობაში არც ჩავესი მჯდარა უქმად: შინ, პუებლაში შეერკინა ინგლისელ ენდი ჰოლიგანს, რომელსაც მანამდე წაუგებლად გაემართა 21 ბრძოლა, ოღონდაც ყველა დიდ ბრიტანეთში. რაც შეეხება მექსიკელს, რომელიც სამშობლოში კერპადა ჰყავთ შერაცხული და რომელმაც უპატრონო ბავშვების დასასაჩუქრებლად საშობაოდ ასი ათასობით დოლარი გაიღო, პუებლას ჩხუბი პროფესიულ რინგზე მისთვის 90-ე გამოსვლა და 25-ე საჩემპიონო ბრძოლა იყო. ჩავესს ერთი გამონაკლისის გარდა — სექტემბერში ფრეს რომ დასჭერდა პარნელ ვითეიკერთან (აშშ) — ყოველთვის ემარჯვნა და ახლაც ასე მოხდა: რეფერიმ მეექვსე რაუნდის დაწყება აღარ დაანება ჰოლიგანს და გამარჯვებულად მასპინძელი გამოაცხადა.

რუსმა მსუბუქწონოსანმა იური არბაჩაკოვმა მე-17 ბრძოლაც მოიგო და კვლავ უძლეველია: მან იაპონიაში, კიოტოში გალახა სამხრეთკორეელი შან ან ხუნი.

ლას-ვეგასში წლიური ყრილობა გამართა პროფესიული კრივის მსოფლიო საბჭომ. შეიკრიბა 64 ქვეყნის 600 დელეგატი. ჩვიდმეტწლიანწლიანი განკვეთის შემდეგ საბჭომ შეიწყნარა სამხრეთი აფრიკა; გარდა ამისა, სავალდებულოდ დასახა ყოველ შერკინებამდე 30 დღით ადრე მოკრივეთა შიდსის ვირუსზე გამოკვლევა. დადგინდა ისიც, რომ ყოველი საჩემპიონო შერკინების ჰონორარის 3 პროცენტი გადაირიცხოს საპენსიო ფონდში, რომლიდანაც წილის მიღების უფლება მოკრივეს სარბიელის მიტოვებიდან ხუთი წლის შემდეგ მიეცემა.

მძიმე წონაში პროფესიონალთა გამგებელ ოთხ ორგანიზაციას სამი ჩემპიონი ჰყავს. დეკემბრის დამდეგს კარგი პირი უჩანდა მოფლიოს უძლიერესი მოკრივის ტიტულის უნიფიკაციის პროცესს. რაკილა ლენოქს ლუისის (საბჭოს ჩემპიონის) და ევანდერ ჰოლიფილდის (ასოციაციისა და ფედერაციის ჩემპიონის) მენეჯერებმა ამ მოკრივეთა შეხვედრის მოსაწყობად მოლაპარაკება გააჩაღეს. მართალია, ლუისის ბანაკს შერკინების ბრიტანეთში გამართვა სურდა, მაგრამ მეტი ჰონორარის ხათრით ლას-ვეგასის კანდიდატურას იოლად დაყაბულდა. მაშინ სად იყო და სად არა, დეკემბრის ბოლოსწინა კვირაში ფედერაცია გამოხდა და განაცხადა, რომ ჰოლიფილდი ლუისამდე ჯერ ჩვენი სიით პირველ პრეტენდენტს მაიკლ ვორანს უნდა დაეჭიდოს, თორემ ლას-ვეგასის შერკინებას საჩემპიონო მატჩად არ მივიჩნევთო.

მეორე გაერთიანების — ე.წ. ორგანიზაციის ჭილა მაიკლ ბენთი ლონდონში ბრძანდებოდა. იქ მან განაცხადა, რომ თურმე ისტორია საუკეთესო მსაჯულია და მას ხორციელთაგან ვერავინ შეაშინებს, გინდ ლუისი იყოს და გინდ ჰოლიფილდიო. გარდა ამისა, ბენთი თურმე მზად ყოფილა შეერკინოს მაიკ ტაისონს, როცა ეს უკანასკნელი ციხიდან გამოვა.

ჰოლიფილდის გალახულ რიდიკ ბოუსაც თავისი გეგმები აქვს. იგი 5 თებერვალს შეერკინება სამხრეთაფრიკელ ფრანც ბოთას, რომელსაც 1990 წლიდან 25 ბრძოლა წაუგებლად გაუვლია. ამ შეხვედრის გამართვა საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების შემდეგ გახდა შესაძლებელი, თორემ ეს გაერთიანება რასისტთა ბოიკოტის წლებში სამხრეთ აფრიკაში შეხვედრებს არ ამართვინებდა და არც იქაურებს აკარებდა რინგს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ) კრივს თურმე კვლავაც ცუდი თვალით უყურებს: ხან რას მოუგონებს და ხან რას, როგორმე ოლიმპიადების პროგრამიდან რომ ამოიღოს. გამარჯვებულის დადგენა ჰირსო და მოკრივეებმაც საჯარო, თვლით მსაჯობა შემოიღეს. კრივი ტრავმატულიაო და ხელთათმანს ცერი გაუუქმეს, მონაწილეებს კი თავზე ჩაფხუტები დაახურეს. ამისდა მიუხედავად, სოკ-ს თურმე საიდუმლო პაქტი შეუდგენია, რომელშიც თამაშებიდან გასაძევებელი ხუთი სპორტი წერებულა, ერთი მათგანი კი კრივი ყოფილა. არადა თანამედროვე თამაშები პირველი მსოფლიო ომის შემდგომ უკრივოდ არასოდეს გამართულა. ბოლო, ბარსელონის ოლიმპიადაზე მოკრივეები 87-მა ქვეყანამ მიავლინა, მედლები კი 25 (!) ქვეყნის წარმომადგენლებმა დაირიგეს.

## ჰონკონგს ეჯიბრებიან!

ვიეტნამი, რომელიც ტოტალიტარიზმისგან თავის დაღწევას ცდილობს, თურმე აპირებს აღადგინოს დოღების გამართვა, რაც წინარე ხელისუფლებას ქვეყნის გაერთიანებისთანავე, 1976 წელს აუკრძალავს.

დოღი იმართებოდა საიგონის (ახლანდელი ხოშიმინის) იპოდრომზე, რომელიც ფრანგ კოლონიზატორებს აუშენებიათ 1933 წელს. სამხრეთ ვიეტნამში უკანასკნელი ჯიშიანი ბედაურიც 1971 წელს ფრანგებს ჩაუყვანიათ, მერე კი კომუნისტებს ყველაფერი გაუპარტახებიათ და რაკილა დღესდღეობით წმინდა სისხლის ცხენები აღარ მოეძებნებათ, საიგონელები ჯერჯერობით პონების დოღების ხილვას ჯერდებიან.

ვიეტნამელები შორს იცქირებიან და ცხენსაშენის აღდგენა განუზრახავთ. საამისოდ ქველ უფლისწულ ჰალიდ აბდულას მათთვის უკვე უჩუქნია ორი ულაყი და ერთიც ფაშატი.

ქალაქის სახალხო საბჭოს დიდმოხელეებს თურმე იმედი ჰქონიათ, რომ ოდესმე საიგონი დოღის ისეთივე საერთაშორისო ცენტრი შეიქნება, როგორიც დღესდღეობით ჰონკონგია, რომელიც ასევე კომუნისტების, ოღონდ ჩინელების ხელში უნდა გადავიდეს 1997 წელს.



# მარჩანჩალები

თავის დროზე მძლეოსანთა შტუტგარტის მსოფლიო პირველობა რომ მიმოვიხილეთ, რაღა თქმა უნდა, მოწინავეთა შედეგები მოვიტანეთ. ახლა, გერმანული „შპორტ-ბილდის" წყალობით, შეგვიძლია არანაკლებ საგულისხმო ცხრილი შემოგთავაზოთ.



მასში ნაჩვენები იქნება თითოეულ დისციპლინაში მარჩანჩალას ვინაობა, მისი სადაურობა და ის, თუ მისი შედეგი პროცენტულად რამდენით ჩამოუვარდება გამარჯვებულისას.

ცოდვა გამხელილი სჯობს და ამ ცხრილის გამოსაქვეყნებლად წინა „სარბიელში" კოლორიტული ზღვრისრეთელის ისევ და ისევ შპორტბილდისეული ფოტოს დაბეჭდვამ შეგვაგულიანა. სხვა რომ არა იყოს რა, ცხრილის წამკითხველი მსოფლიოში მძლეოსნობის გავრცელების არეალსაც გაეცნობა და ცოტათი გეოგრაფიაშიც წაივარჯიშებს. ისე კი ამ მარჩანჩალათა შედეგების აღრიცხვა უთუოდ გულს გაუწყალებდა მსაჯებს, ორგანიზატორებს ესოდენ კოხტად რომ შეუმოსავთ. (იხ. ფოტო). ცხრილში მარჩანჩალის შედეგის წინ მოყვანილია გამარჯვებულის შედეგი, ბოლოს კი მათ შორის პროცენტული სხვაობა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ვაჟები | | | | |
| 100 მ | ბაქარ ჩეჩუ ინზუდინი | კომორები | 9,87 | 11,99 | 21,48 |
| 200 მ | ფრედერიკ კენონი | ნაურუ | 19,85 | 24,14 | 21,61 |
| 400 მ | ფრანსისკო ფლორესი | ჰონდურასი | 43,65 | 50,86 | 16,52 |
| 800 მ | ნასერ ისმაილი | მალდივები | 1.44,71 | 2.02,70 | 17,18 |
| 1500 მ | ნასერ ისმაილი | მალდივები | 3.34,24 | 4.12,11 | 17,68 |
| 5000 მ | ტავაი კეირუანი | ვანუატუ | 13.02,75 | 15.43,73 | 20,57 |
| 10000 მ | ვადონ გოპალი | მიანმარი (ბირმა) | 27.46,02 | 29.56,61 | 7,84 |
| მარათონი | ფაი იუნდ ნგ | ჰონკონგი | 2:13.57, | 2:55.17, | 30,86 |
| 3000 მ ნ. | დავენდრა სინგჰი | ფიჯი | 8.06,36 | 9.21,15 | 15,30 |
| 110 მ თ. | არიოლა ტანილეუ | დას.სამოა | 12,91 | 19,31 | 49,57 |
| 400 მ თ. | ფრანსისკო ფლორესი | ჰონდურასი | 47,18 | 53,79 | 14,01 |
| სიმაღლე | ანტონიო პატალია | სან-მარინო | 2,40 | 2,05 | 14,58 |
| ჭოკი | დემინგო კაპალი | ბრუნეი | 6,00 | 4,45 | 25,83 |
| სიგრძე | ოლივე ფიფიტა | ტონგა | 8,59 | 6,86 | 20,14 |
| სამხტომი | სერგეი არზამასოვი | ყაზახეთი | 17,86 | 15,40 | 13,77 |
| ბირთვი | დამდენდევ მახაშირი | მონღოლეთი | 21,97 | 14,87 | 32,32 |
| ბადრო | ვესლი ტუილეფანო | ამერიკის სამოა | 67,72 | 27,34 | 59,63 |
| ურო | ჯეიმზ ვონგი | სინგაპური | 81,64 | 49,14 | 39,81 |
| შუბი | ედგარ ბაუმანი | პარაგვაი | 85,98 | 59,82 | 30,43 |
| ათჭიდი | ბერი ვოლში | ირლანდია | 8817 | 6632 | 24,78 |
| 20 კმ სიარ. | სვერე იენსენი | ნორვეგია | 1:22.31, | 1:35.53, | 16,20 |
| 50 კმ სიარ. | ალექსანდრ სტიგლენკო | ყირგიზეთი | 3:41.41, | 4:31.51, | 22,63 |
| | ქალები | | | | |
| 100 მ | საიდ ნასიანთი | კომორები | 10.82 | 14,70 | 35,86 |
| 200 მ | ამინათ ნაშიდა | მალდივები | 21,98 | 30,24 | 37,58 |
| 400 მ | რაკელ გოდონუ | ბენინი | 49,82 | 1.03,39 | 27,24 |
| 800 მ | თამადორ ისმაილი | სუდანი | 1.55,43 | 2.41,51 | 39,92 |
| 1500 მ | მართა პორტობანკო | ნიკარაგუა | 4.00,50 | 4.56,22 | 23,17 |
| 3000 მ | პალიმა ბუბაქარი | ნიგერია | 8.28,71 | 11.26,13 | 34,88 |
| 10000 მ | ტევდენშიგმედ ენოდი | მონღოლეთი | 30.49,30 | 40.32,86 | 31,53 |
| მარათონი | ვინი ნგ-ლაი-ჩუ | ჰონკონგი | 2:30.03, | 2:58.41, | 19,08 |
| 100 მ თ. | ივეტე სანჩესი | პანამა | 12,46 | 15,30 | 22,79 |
| 400 მ თ. | ივეტე სანჩესი | პანამა | 52,74 | 1.07,89 | 28,92 |
| სიმაღლე | ორლა ფენტერი | ნამიბია | 1,99 | 1,72 | 13,57 |
| სიგრძე | პასტორა ჩავესი | ჰონდურასი | 7,11 | 4,71 | 33,76 |
| სამხტომი | გრასიელა აკოსტა | ურუგვაი | 15,09 | 11,80 | 21,80 |
| ბირთვი | ტი აი სენგი | ბრუნეი | 20,57 | 12,23 | 40,54 |
| ბადრო | ორეპა ნასერი | დას. სამოა | 67,40 | 26,30 | 60,98 |
| შუბი | იამო ლაუნა | პაპუა ახალი გვინეა | 69,18 | 46,78 | 32,38 |
| შვიდჭიდი | ელისაბეთ არტეაგა | ბოლივია | 6837 | 4186 | 38,77 |
| 10 კმ სიარ. | პერი ვილიამზი | ირლანდია | 42.59, | 55.24, | 28,87 |

## აქეთური, იქითური

საფრანგეთმა დაიბრუნა მოტორბოლის გრან-პრის ეტაპი, რომელიც წელს ქვეყნის მთავრობის მიერ თამბაქოს საწინააღმდეგო კანონის მიღების გამო დაკარგა. ამ კანონით აიკრძალა [illegible] შეწევნა, რამაც ლე-მანის რბოლას სპონსორი დააკარგვინა. ორგანიზატორებმა საგაისოდ სამთავრობო სუბსიდია დაიბევეს და რბოლაც 17 ივლისისთვის დაიგეგმა.

*

უნგრელი მოცურავე ნორბერტ როჟა, ვინაც მარტიდან პერთში დამკვიდრებულიყო, სამშობლოში დაბრუნდა და სარფიანი კონტრაქტის ხათრით ამიერიდან ისევ მისი სახელით იასპარეზებს. სამაგიეროდ, ორი წელი გაუცდება გერმანელ მებრასე ქალს სილვია გერაშს, რომელსაც ორჯერვე ჩაუფლავდა დოპინგტესტი, ჩრდილოეთ ინგლისის ქალაქ გეითსჰედში გამართული სპრინტერული ჩემპიონტის დროს რომ ჩაუტარეს. გერაშს შარდში კოფეინის არაბუნებრივად ჭარბი ოდენობა აღმოუჩინეს.

*

„ვითბრედის" გარსაქვეყნო რბოლის მონაწილენი ფრიმენთლში ისვენებდნენ და 9 იანვრისათვის დათქმული მესამე ეტაპის სტარტისათვის ემზადებოდნენ. მას შემდეგ, რაც ნაავარიები „ბრუქსფილდის" საშველად წამულ „ვინსტონს" ორგანიზატორებმა 21-საათიანი შეღავათი დაუდგინეს, „ინტრუმ ჯუსტიცია" განაწყენდა და იჩივლა. მაშინ რბოლის მამებმა „ვინსტონს" შეღავათი დროებით გაუუქმეს და საკითხის განხილვა მესამე ეტაპის ფინიშზე, საოკლენდოდ გადადეს. რაც შეეხება „ბრუქსფილდის" მეორე მშველელს, ფრანგულ „ლაპოსტს", ამიერიდან მას უკაპიტნებს ქვეყნის უხუცესი აფროსანი, 62 წლის ერიკ ტაბოლი, რომლისთვისაც ეს მეოთხე „ვითბრედი" იქნება. ტაბოლი 30 წელია, რაც ოკეანეში დაცურავს და ორჯერ — 1964 და 1976 წლებში მარტოსაც გაუმარჯვნია ტრანსატლანტიკურ რბოლებში. „ლაპოსტის" ყოფილი სკიპერი დანიელ მალერი ტაბოლის თანაშემწედ დანიშნა საფრანგეთის ფოსტამ, რომელიც იახტის სპონსორია და რომელსაც „მაქსი" კლასში თავისიანების მესამე ადგილი თურმე წარუმატებლობად მიაჩნია — აქაო და სწრაფი ნავი რომ აგიგეთ, პირველნი რატომ არა ხართო!

*

ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩოგბურთში მსოფლიო კლასიფიკაციით [illegible] საუკეთესო ვაჟიდან 44 იმონაწილევებს. მელბურნის „ფლინდერს პარკზე" ვერ ითამაშებენ ჰოლანდიელი რიხარდ კრაიჩეკი (მე-15 ჩრგანი) და ამერიკელი ანდრე აგასი (24-ე). პირველს მუხლი აწუხებს, მეორეს კი — მაჯა.

*

მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში მეზობელ ინდონეზიელთა ტრიუმფით დასრულდა ბადმინტონის გრან-პრის ფინალები. ინდონეზიელებმა მოიგეს ქალთა და ვაჟთა ერთეულები და წყვილები. მხოლოდ შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს სხვებმა: ყველას აჯობა დუეტმა, რომელშიც ქალი შვედი იყო, კაცი კი — დანიელი.

*

კარგა ხანია, ჰოკეის რუს მწვრთნელ ვიქტორ ტიხონოვს ყველა ლანძღავს, დიქტატორი და რუსული ჰოკეის დამაქცევარიაო. ტიხონოვი ეროვნული ნაკრების მწვრთნელობიდანაც გადააყენეს და ოლიმპიური ნაკრები ჩააბარეს, მაგრამ მოძღვარს გული არ გასტეხვია და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნაყარ-ნუყარიდანაც შეუძლია კარგი გუნდის შედგენა. თავის დროზე ტიხონოვმა რიგითი მოთამაშეებისაგან შედგენილი რიგის „დინამო" საბჭოთა ჰოკეის ერთ-ერთ ბურჯად აქცია, ახლა კი ზედიზედ მეორე წელია, რაც „იზვესტიის" ტურნირის ფინალში ტიხონოვის ოლიმპიური გუნდი ბორის მიხაილოვის ეროვნულ ნაკრებს ამარცხებს, მაგრამ თუ შარშან ოლიმპიელებმა ძლივს მოიგეს, წელს პირველი შემადგენლობა 8:1 გაანადგურეს. აქვე დავძენთ, რომ რუსული ჰოკეის ნაღები ნჰლ-ში ასპარეზობს, რუსეთში კი ჰეშმარიტად ნაყარ-ნუყარი თუღა დარჩა.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)